საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№07 (572)
3 - 9 მარტი, 2021
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## მეამბოხე ბიზნესმენი 20 ქვეყანაში ფორმაშია

# ხელისბიჭების ჩემპიონატი 3



## სიმართლესა და სიცრუეს შორის



არავის აინტერესებს საქმეში გარკვევა. უფრო სწორად, ყველაფერი წინასწარ არის გარკვეული: როდესაც ანალოგიური ვითარება დასავლეთში იქმნება, ხელისუფლებაა მართალი, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები სხვაგან ვითარდება — ოპოზიცია, ეს არის ჩვეულებრივი ორმაგი სტანდარტი, რომელსაც დასავლეთი აღარც მალავს 6-7

მამა გიორგი (რაზმაძე):



## რომელ ისტორიულ მონაპოვარზეა საუბარი — დაკარგულ ტერიტორიებზე, წაგებულ ომსა და პოლიტიკურ სატყუარადქცეულ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე თუ ოცნებად დარჩენილ ვერაღდგენილ სამართლიანობაზე? 2




იცვლებიან ადამიანები, არ იცვლება გარემო, არ კეთდება არაფერი, რასაც მოსახლეობა შეაფასებდა წინგადადგმულ ნაბიჯად 5



## წამლის შემოტანას მოვითხოვთ, ბატონებო, წამლის! 9

## «აღარ გეყოთ ვაქცინებით ფულის კეთება, დოქტორო ფაუჩი?!» 11





ფლორიდის გუბერნატორმა ჯო ბაიდენს შეუტია

## «ცივილიზებულ» დასავლეთში ნატურალური საკვები ფუფუნების საგანი გახდა 15



## გაუფუთებთ შემოსავლების უთანასწორობა? 10



ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ საქართველოს მომავლის ბედი ერთი მუჭა კრიმინალებისა და კაცისმკვლელების ხელშეუხებლობაზე გადის, ასეთი არც მომავალი მინდა და არც ის ევროატლანტიკური პერსპექტივა, რომელიც, დიდი ხანია, ყბადაღებულ თემად იქცა“.**



### მამა გიორგი (რაზმაძე):

# რომელ ისტორიულ მონაპოვარზეა საუბარი — დაკარგულ ტერიტორიებზე, წაგებულ ომსა და პოლიტიკურ სატყუარადქცეულ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე თუ ოცნებად დარჩენილ ვერაღდგენილ სამართლიანობაზე?

**ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის მიერ „დემოკრატიული“ დასავლეთის მხარდაჭერითა და წაქეზებით წამოწყებულ ახალ პროპაგანდისტულ შტურმს, რომლის მთავარი გზავნილიც საზოგადოებისადმი არის ის, რომ, თურმე, მიმდინარე „პოლიტიკური რეპრესიები“ ქვეყნის ევროატლანტიკურ მომავალს ემუქრება, გარკვეული სასულიერო პირებიც შეუერთდნენ.**

ე.წ. ლიბერალური მედიის მიერ წლების განმავლობაში გაპიარებული და „პროგრესულებად“ შერაცხილი მღვდლების მთელი არმია განცხადებას განცხადებაზე აკეთებდნენ, რომ ქვეყნის „ისტორიული მონაპოვარი“ საფრთხეშია; ითქვა და დაიწერა, რომ საზოგადოების პოლარიზაციამ, შესაძლოა, 1990-იან წლებში დაგვაბრუნოს; რომ „ცივილიზებულმა სამყარომ“ საქართველოზე საბოლოოდ შეიძლება ხელი ჩაიქნიოს და ა.შ. ამ შეფასებებს შორის ყველაზე შთამბეჭდავი მაინც **მეუფე მელქისედეკის** განცხადება აღმოჩნდა, რომელმაც მიმდინარე მოვლენებს მედიასთან გაკეთებული კომენტარების პარალელურად სოციალურ ქსელშიც ვრცელი პოსტი მიუძღვნა: „ქრისტესმიერ საყვარელო ძმანო და დანო, შეშფოთებული ვაკვირდები ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენებს. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ სიტუაცია იმაზე კრიტიკულია, ვიდრე წარმოგვედგინა და ამ ყველაფერმა კი შეიძლება ძალიან ბევრი რამე და ვინმე დააზიანოს. გულდასმით გავეცანი უცხოელი ელჩების, ფასილიტატორების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჩვენი ქვეყნის მეგობრების შეშფოთებულ განცხადებებს. საფრთხე ექმნება საქართველოს ისტორიულ მონაპოვარს — ევროატლანტიკურ სწრაფვას, რამაც შეიძლება ჩვენი ქვეყნის მომავალი რადიკალურად შეცვალოს. იმ გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც რეგიონშია, იმ ეკონომიკური თუ ეპიდემიური კრიზისის ფონზე, რომელიც მსოფლიოში მძვინვარებს, საქართველოში მოქალაქეების, ჩვენი სისხლისა და ხორცის ურთიერთგახლეჩვა და პოლარიზება არავის ინტერესში არ შეიძლება შედიოდეს, გარდა ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოებრიობის მტრებისა“... მოგვიანებით ეს განცხადება „ლიბერალურმა“ მედიამ აიტაცა, თუმცა მეუფე ერთადერთი არ ყოფილა, რომელმაც მიმდინარე მოვლენების ფონზე მსგავსი პოზიცია გამოხატა, „ისტორიული მონაპოვრის“ დასაცავად შეშფოთება სხვა სასულიერო პირებმაც გამოთქვეს...

**რას ნიშნავს დღევანდელ ვითარებაში მაღალი იერარქის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ „საფრთხე ექმნება ქვეყნის ისტორიულ მონაპოვარს“, შეესაბამება თუ არა ეს პოზიცია მოსახლეობის უმრავლესობის თვალსაზრისს და თუ შეიძლება, ჩვენთვის „მონაპოვარი“ იყოს თანამედროვე დასავლური ლიბერალური დემოკრატია — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, ქვეყანაში ბოლოს განვითარებულ პროცესებს, ვგულისხმობ პოლიტიკურ კინკლაობას ხელისუფლებასა და მის ე.წ. პროდასავლურ ოპოზიციას შორის, ერთ-ერთი მაღალი იერარქი განცხადებით გამოეხმაურა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრთხე ექნება ქვეყნის ისტორიულ მონაპოვარს — ევროატლანტიკურ სწრაფვას. რას ფიქრობთ ამ განცხადებაზე?**

— დავიწყოთ იმით, რომ **ეს პროცესები და განსაკუთრებით ბოლოდროინდელი დაძაბულობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომელსაც „ლიბერალური“ მედია, ფაქტობრივად, ქართული დემოკრატიის გადარჩენისთვის გადამწყვეტ ბრძოლად გვიცხადებს, არის ჩვეულებრივი პოლიტიკური სპექტაკლი. ოღონდ ეს არის პროცესი, რომელშიც ხალხი საერთოდ არ მონაწილეობს და ეს გარკვეულწილად იმედისმომცემია, იმიტომ, რომ ხალხი ხვდება, რეალურად რა ბინძური თამაშიც მიდის.**

რაც შეეხება შეფასებებს, მათ შორის მაღალი იერარქისგან, რომ საფრთხე ექმნება „ისტორიულ მონაპოვარს“, ყველას თავისი აზრი აქვს და ვერავის კამათს ვერ დავუწყებ, შეურაცხყოფაზე ხომ, საერთოდ, ზედმეტია საუბარი, მაგრამ გულწრფელად მაინტერესებს, რომელ ისტორიულ მონაპოვარზეა საუბარი — დაკარგულ ტერიტორიებზე, წაგებულ ომსა და პოლიტიკურ სატყუარად ქცეულ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე თუ ოცნებად დარჩენილ ვერაღდგენილ სამართლიანობაზე, რომლის შედეგადაც ცხრა წლის განმავლობაში უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულების ჩამდენ ადამიანებს არა თუ ვერ ასამართლებს მართლმსაჯულება და ლამის გმირებადაც გამოგვიცხადონ ისინი? **ვისთვისაც ეს ყველაფერი მონაპოვარია, შეუძლია, მაგ რწმენით და შეგნებით იყოს მთელი სიცოცხლე, ჩემთვის კი მონაპოვარია ტრადიციული, ეროვნული სახელმწიფო, რომელშიც კაცისმკვლელებსა და გამაუპატიურებლებს, დავითგარეჯის გამყიდველებს, ეკლესიის დაუძინებელ მტრებსა და მაგინებლებს გმირებად კი არ გამოგიცხადებენ, არამედ თვითონ ღირსეულად, გარე ძალებთან შეუთანხმებლად შეძლებს მათზე მართლმსაჯულების განხორციელებას.** ეს არ გვაქვს და, სამწუხაროდ, ალბათ, კიდევ დიდხანს არ გვექნება. სამაგიეროდ, გვაქვს ფსევდოსახელმწიფო, რომელშიც **პარლამენტზე შტურმის მომწყობ, სახელმწიფო გადატრიალების დამგეგმავ ადამიანს პროკურატურა ეხვეწება: გადაიხადე გირაო, მოგვეცი საშუალება, შინ გაგიშვათო;** ხოლო რიგით მოქალაქეებს, რომლებსაც დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის აზერბაიჯანისთვის გადაცემის საჯაროდ „გამპრავებელთან“ ქუჩაში რაღაც კონფლიქტი მოუვიდათ, ორი თუ სამი წლით უშვებენ ციხეში. აი, ეს არის ჩვენი „მონაპოვარი...“

**— მელიას დაკავება „ისტორიულ მონაპოვარს“ საფრთხეს რომ უქმნის, ამაზე ამერიკელი მაღალჩინოსნებიც გვაფრთხილებენ. როგორ ფიქრობთ, რით შეიძლება დაისაჯოს საქართველო?**

— საქართველო და ქართველი საზოგადოება უკვე დასჯილია. იმაზე მეტი დასჯა რა გინდა, როცა დღეს ისევ არსებობს საფუძვლიანი შიში, ვაითუ ნაციონალები დააბრუნონ და ხელახლა ჩააბარონ ძალაუფლებაო. ამ შემთხვევაში ეჭვიც არავის ეპარება, რომ ნაციონალების მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში დატრიალებული უბედურებები მონაგონი იქნება. **რაც შეეხება იმას, რომ, თურმე, ძალიან ახლოს ვიყავით ნატოსთან, ევროკავშირთან და ბოლოდროინდელმა მოვლენებმა მანძილი გაზარდა, მართლა მაინტერესებს, რამდენია დღეს მანძილი, იქნებ გაზომონ და ზუსტად გვითხრან, ორი ნაბიჯი გვაშორებს, ხუთი თუ ათი.** ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ისე, ჩემი პირადი პოზიცია ასეთია: **თუ საქართველოს მომავლის ბედი ერთი მუჭა კრიმინალებისა და კაცისმკვლელების ხელშეუხებლობაზე გადის, ასეთი არც მომავალი მინდა და არც ის ევროატლანტიკური პერსპექტივა, რომელიც, დიდი ხანია, ყბადაღებულ თემად იქცა...**

**— თავის მხრივ, დასავლეთს რა სურს ჩვენგან? რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს, როცა გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს, მათ შორის „ნაციონალურ მოძრაობას“, კბილებით იცავენ?**

— ვფიქრობ, მათი მიზანია, ქვეყანაში ორპარტიული მმართველობა დამკვიდრდეს. როგორც ამერიკაში ცვლიან ერთმანეთს რესპუბლიკელები და დემოკრატები, აქ ერთმანეთს უნდა ცვლიდნენ ნაციონალები და „ოცნება“. ოღონდ საქართველოს შემთხვევაში ეს ყველაფერი გაცილებით მახინჯი ფორმებით ხორციელდება, იმიტომ, რომ **საუბარია სისხლის სამართლის დანაშაულებში მხილებული ძალის პოლიტიკურ რეაბილიტაციაზე.** მეორეც, აქ მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ ხალხი არ მონაწილეობს პროცესებში. **დარღვეულია მათ მიერვე დეკლარირებული ე.წ. ლიბერალური დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი სახის პოლიტიკური პროცესი უნდა წარიმართებოდეს საზოგადოების უმრავლესობის ნების შესაბამისად. დღეს ყველაფერი ისე კეთდება და სრულდება, რომ ხალხის პოზიცია საერთოდ არ ჩანს, ოღონდ არა იმიტომ, რომ ეს პოზიცია არ არსებობს ან არ იციან მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ავანგარდში მყოფმა ურეიტინგო ძალებმა, არა იმიტომ, რომ ხალხის პოზიცია არავის აინტერესებს.** საერთოდ, დღეს საქართველოში საზოგადოების ინტერესების უგულებელყოფა და ფეხებზე დაკიდება ხელისუფლებისთვისაც და „ოპოზიციისთვისაც“ ერთნაირად ადვილია. რატომ, იცით? იმიტომ, რომ იციან, საზოგადოების შეურაცხყოფისთვის, მისი უფლებების დარღვევისთვის პასუხს არავინ მოსთხოვთ — არც დასავლეთი შეშფოთდება, არც „არასამთავრობოები“ აყვირდებიან, არც სანქციებზე ალაპარაკდება ვინმე და ა.შ. რაც შეეხება მელიას დაკავებას, რომელმაც ყველაფერი გადაფარა, ობიექტური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, კაცის დაჭერა გასახარი არ არის, მაგრამ ვთქვათ სიმართლე: **მელია, ახლა კი არა, წლების წინათ უნდა დაეჭირათ. ამის უამრავი მიზეზი არსებობდა და, თუ ვინმეს ჰგონია, დაგვავიწყდა, მენაგვის ფორმაში გადაცმული რუსთაველზე მშვიდობიან დემონსტრანტებს როგორ არბევდა, ძალიან ცდება...** აქვე მინდა, გამოვეხმაურო **ღახარიას** გადადგომის საკითხსაც. დღეს ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ ამით მან რაღაც სახე შეინარჩუნა, რომ სწორი ნაბიჯი გადადგა და ა.შ. ეს აბსურდია. **ღახარიამ პოლიტიკური სახე დიდი ხნის წინათ დაკარგა, თუ გააჩნდა, საერთოდ. ამიტომ, თუ მას სახის შენარჩუნება სურდა, ახლა კი არ უნდა გადამდგარიყო, არამედ მაშინ, როცა მისმა პატრონებმა შუაგულ რუსთაველზე, მსოფლიოს დასანახად, ნარკორეალიზატორების, მამათმავლებისა და მათი დამცველებისთვის ბოდიშის მოხდა უბრძანეს.** სიმართლე გითხრათ, ძალიან მრცხვენია უკვე, რომ ამ ქვეყანაში ვცხოვრობ. **საქართველო არის ღირსებაშელახული და დაჩოქილი ქვეყანა, რომელსაც მართავს პატივაყრილი, გაუპატიურებული ხელისუფლება...**

### «საქართველო არის ღირსებაშელახული და დაჩოქილი ქვეყანა, რომელსაც მართავს პატივაყრილი ხელისუფლება»

**— დასაწყისში თქვით, საზოგადოება არ მონაწილეობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებშიო. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს ვითარება თუნდაც ნაწილობრივ შეიცვალოს და მოსახლეობა გამოვიდეს ამ საყოველთაო ნიჰილიზმიდან, რომელიც დღევანდელი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს?**

— ძალიან რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. აქამდე ვამბობდით, რომ აუცილებელია მესამე ძალის გამოჩენა და ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ რეალური პოლიტიკური ალტერნატივის ფორმირება იოლი ნამდვილად არ არის. გამოსავალი, რა თქმა უნდა, ძირეული, პოლიტიკური იდეოლოგიის დონეზე განხორციელებული ცვლილებებია. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ პროცესში ჩართული ნებისმიერი ძალა, ნებისმიერი მოქალაქე, მზად უნდა იყოს სერიოზული წინააღმდეგობებისთვის. ბრძოლა ნამდვილად უთანასწოროა და ეს ჩანს ყველაფერში, აგერ რა უქნეს **დონალდ ტრამპის** მომხრეებს ამერიკაში. თუმცა, **თუ გვინდა, რომ ქვეყანა საბოლოოდ გათავისუფლდეს მავნე ძალებისგან, რომლებიც როგორც ხელისუფლებიდან, ისე ოპოზიციიდან ერთნაირად ღრღნიან სახელმწიფოს, ეს ბრძოლა გადასატანია.** აი, ეს არის რეალობა, ამიტომ ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: **სასწრაფოდ, უახლოეს ხანში მოსაწვევია ეროვნული კრება, რომლის ფარგლებშიც გაერთიანდებიან ჭკვიანი, სუფთა წარსულის მქონე ადამიანები სხვადასხვა სფეროდან და იმსჯელებენ ქვეყნის მომავალზე.** სხვა გამოსავალი მე არ ვიცი და ვერ წარმომიდგენია. სხვა გამოსავალი ამ ვითარებაში, ალბათ, არც არსებობს...

### «სასწრაფოდ, უახლოეს ხანში მოსაწვევია ეროვნული კრება, რომლის ფარგლებშიც გაერთიანდებიან ჭკვიანი, სუფთა წარსულის მქონე ადამიანები სხვადასხვა სფეროდან და იმსჯელებენ ქვეყნის მომავალზე»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ჩვენ არც ევროპელები ვართ და არც აზიელები. ჩვენ ვართ ის, რა სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე. პლუს ის, რაც ევროპა-აზიიდან „ვისესხეთ“ და გავიქართულეთ — ჩვენ ქართველები ვართ!“ ჩვენ ყოველთვის ქართული ღირებულებებისთვის ვიბრძოდით და არა ევროპულისთვის, რადგანაც მათგან ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებს შორის ქორწინება — სისხლის აღრევა, „წმინდა ინკვიზიცია“ არ „გვისესხებია“ და არც გაგვიქართულებია.



ავი მუსაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელისბიჭების ჩემპიონატი

**ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ „საქართველო და მსოფლიო“ ერთ-ერთი გამონაკლისია იმ „მაკულატურიდან“, რომელიც, პრაქტიკულად, ნაცების პარტიული სპეცსამსახურია და რომელსაც ნაცები უსირცხვილოდ უწოდებენ დამოუკიდებელ მედიას. „საქართველო და მსოფლიო“ ყოველთვის იდგა და დგას ეროვნულ-მართლმადიდებლური ფასეულობების, დედაეკლესიის დაცვის სადარაჯოზე, რის გამოც არც ქება გვაკლია ეროვნულად მოაზროვნე მკითხველისგან და არც ლაძღვა-გინება მიშარასტებისგან. რაც შეეხება წინამდებარე წერილის მთავარ თემას, მინდა, ჩემი ბოლო „ავი მუსაიფის“ გახსენებით დავიწყო.**

გასული ოთხშაბათის „ავი მუსაიფი“ გენიალური რუსი მწერლების — **ილია ილფისა** და **ევგენი პეტროვის** კლასიკურ რომან „12 სკამთან“ ასოცირებული სათაურით გამოვაქვეყნე — „რუსი და ქართველი კისა ვორობიანინოვები“. „საქართველო და მსოფლიოს“ ერუდირებული მკითხველი იმთავითვე მიხვდებოდა, რომ რუს „კისა“-ში **ვლადიმერ პუტინის** ოპოზიციის „მრისხანე ლიდერი“ **ალექსეი ნავალნი,** ხოლო ქართველ „კისა“-ში ნავალნიზე არანაკლებ „მრისხანე“ **ნიკანორ მელია** ვიგულისხმე.

**სააკაშვილის** მიერ გამორჩეული და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერად დანიშნული ნიკანორ მელია, ლიდერი კი არა, სააკაშვილის „შნირია“, რომლის მსგავსი კიდევ ბევრი ჰყავს უკრაინაში გაქცეულ მამა-მარჩენალს ნათელაშვილის ფანჩატურში. ნიკანორს გაუმართლა და პირველმა გადაკვეთა სააკაშვილის მიერ ორგანიზებული „საშნირო“ მარულის ფინიშის ხაზი და, შესაბამისად, პოლიტპატიმრის კი არა, სააკაშვილის „შნირებს“ შორის ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

ამ ყველაფერმა, როგორც ამბობენ, შფოთი და შური გამოიწვია ნათელაშვილის ფანჩატურში, — რატომ მელია, რა, მე ნაკლები „შნირი“ ვარო? და სულ ტყუილად — უეფას ჩემპიონთა ლიგის თასის არ იყოს, „შნირობის“ ჩემპიონთა თასიც გარდამავალია. ნათელაშვილის ფანჩატური რევოლუციის მომწყობი არ არის და იქნებ დადგეს მომენტი, ნიკანორ მელიას ჩამოართვან „შნირობის“ ჩემპიონთა თასი და ნათელაშვილის ფანჩატურელებიდან სხვას გადასცენ. ოღონდაც ყველაფერში არ მიბაძოთ მიშას მიერ დანიშნულ ოპოზიციის ყოფილ ლიდერ **გუბაზ სანიკიძეს,** ცოტა ფხიზლად იყავით — ზეზეულად არ ჩამოგეძინოთ!

გეოპოლიტიკური მოვლენები ისეთი კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდება, რომ პროგნოზის გაკეთება, როგორც იტყვიან ხოლმე, უმადური საქმეა, საქართველოს მიმართ ხომ — უმადურზე უმადური.

ნათელაშვილის ფანჩატურში გაერთიანებული ოპოზიციის მხრიდან რევოლუციის მოწყობის მუქარის ფონზე პრემიერ **გიორგი გახარიას** მოულოდნელი (?) გადადგომა; ნიკანორ მელიას მიერ სამაჯურის დემონსტრაციული მოხსნაზე, მისი ასევე დემონსტრაციულ „ვერ დამიჭერთზე“, მრავალ თავხედურ განცხადებაზე, რომელიც უკვე საქართველოს სახელმწიფოს მიმართ დემარში და საქართველოს ხელისუფლებისთვის „ნასროლი ხელთათმანია“, ღირსეული პასუხი იყო პრემიერმინისტრად **ირაკლი ღარიბაშვილის** დანიშვნა, რაც ხელისუფლების დემარშად შეიძლება განვიხილოთ ნათელაშვილის ფანჩატურის მიმართ, რადგან ირაკლი ღარიბაშვილი ცნობილია თავისი ხისტი დამოკიდებულებით. „ქართულმა ოცნებამ“ თუ ვინმეს პასუხი აგებინა ნაცების მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულებისთვის, ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა. სწორედ შს მინისტრის პოსტზე ღარიბაშვილის ყოფნისას დააპატიმრეს **ბაჩანა ახალაია, ვანო მერაბიშვილი** და **გიგი უგულავა.** რაც შეეხება, ასე ვთქვათ, ქვეყნის გარეთ სიხისტეს, მიუხედავად დასავლელი „მეგობრების“ დაჟინებული „რეკომენდაციებისა“, საქართველოში კონსტიტუციურ ნორმად ოჯახი მხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორის ნებაყოფლობითი კავშირი რომ არის, ესეც პრემიერ ღარიბაშვილის დამსახურებაა.

ვფიქრობ, ზემოთქმულზე უფრო დიდი პოლიტიკური აჯაფსანდალის წარმოდგენაც კი ძნელი საქმეა და აქედან გამომდინარე, რომელ პროგნოზებზე შეიძლება ყოფილიყო საუბარი?! პროგნოზი არა, მაგრამ ღარიბაშვილის მეორედ გაპრემიერების შემდეგ, ზემოხსენებული პოლიტიკური აჯაფსანდალიდან გამომდინარე, ქართველი საზოგადოება ხელისუფლების ადეკვატური ქმედებების მოლოდინში იყო გარინდული — **გაბედავდა ირაკლი ღარიბაშვილი გათავხედებული ნიკანორ მელიას დაპატიმრებას? — გმირად შერაცხავდნენ...** ასეც დავწერე ბოლო სტატიაში თქვენმა მონამორჩილმა. თუმცა ეჭვი შემეპარა ჩემი ნათქვამის მართებულობაში და შეცდომა იქვე გამოვასწორე — მელიას დაპატიმრება, გმირობა კი არა, ქოცების მიერ ხელისუფლების შესანარჩუნებლად ჩატარებული სპეცოპერაცია იყო-მეთქი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნიკანორ მელიას დაპატიმრებას მოჰყვა საქართველოს მეგობარ აშშ-ევროპაში, ახლა ზემოთ დაეჭვების მართებულობა მაეჭვებს და ამ შეცდომას აქვე გამოვასწორებ.

არ ვიცი, ხვალ თუ ზეგ როგორ მოიქცევა კახელი (თუ, რატომ ღარიბაშვილის კუთხური წარმოშობის წარმოჩენა, ამაზე ქვემოთ) **პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, მაგრამ დღევანდელი მოცემულობით იგი მართლაც გმირია!** მოცემულობით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“, ცალკეულმა პოლიტიკოსებმა თუ ორგანიზაციებმა, ერთხმად დაგმეს ნიკანორ მელიას დაპატიმრება. განსაკუთრებული კატეგორიულობით გამოირჩეოდნენ ჩვენი „განსაკუთრებული მეგობარი და სტრატეგიული მოკავშირე“ აშშ და მისი ელჩი **კელი დეგნანი.**




**ლიბერასტული დასავლეთი ქოცების წინააღმდეგაა აფოფრილი, იქამდეც კი, რომ მელიას დაპატიმრებას პუტინისთვის მირთმეული საჩუქარი უწოდა. არადა, რუსეთს, სამწუხაროდ, საქართველო უკვე ფეხებზე ჰკიდია. სამწუხაროდ თუნდაც იმიტომ, რომ, ჩვენს ხელისუფლებას ერთმორწმუნე რუსეთთან ნორმალური, პარტნიორული ურთიერთობა რომ ჰქონდეს, აზერბაიჯანელები გარეჯზე სიტყვის დაძვრასაც ვერ გაბედავდნენ. ამის დასტური აზერებაიჯანელთა მიერ რუსეთის დახმარებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მაგალითიც კმარა**

ქალბატონმა დეგნანმა განაცხადა, მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარის დაპატიმრება როგორ შეიძლება, ეს ხომ ნატო-ევროპის გზაზე მდგარი საქართველოსთვის უკან გადადგმული ნაბიჯიაო! და ეს იმ ფონზე, როცა კაპიტოლიუმის შტურმით აღების მოწოდების თითიდან გამოწოვილი ბრალდებით, ამერიკელებმა ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** კინაღამ ოვალურ კაბინეტშივე დააპატიმრეს. ამავე „სიბრძნეს“ უკრიტიკოდ იზიარებენ ჩვენი ევროპელი „მეგობრებიც“ — ეს აღარც ყბადაღებული ორმაგი სტანდარტია და აღარც სხვის თვალში ბეწვის ძებნა...

ეს არის, ხატოვნად თუ ვიტყვით, ამერკელების მიერ შემოგდებული — „ჩემი ბადრიჯანი შენთვის კიტრია“ და უფრო კორექტულად და ქართულად — „მე ვარ და ჩემი ნაბადი“.

„ბრძენ“ ამერიკელებს მთელი მსოფლიოს ერთ დიდ შეერთებულ შტატებად გადაქცევა სურთ. ეროვნული სახელმწიფოების და, შესაბამისად, საზღვრების გარეშე მსოფლიოში ლგბტ დიქტატურის დამყარება, რაც, პრაქტიკულად, უკვე შექმნეს თანამედროვე აშშ-ში, რომლის კონგრესმა უკვე აკრძალა კაპიტოლიუმის ბორცვზე გენდერობის შემცველობის მიმართვები სენატორ-კონგრესმენთა შორის.

**ქოცები და ნაცები ერთი ხის ორი განშტოება რომ არიან, ანუ ორივეს ერთი უფროსი რომ ჰყავს აშშ-ის სახით და ორივენი უპირატესად იანკების მხარდაჭერისთვის იღვწიან და არა ქართველი ამომრჩევლის ინტერესების გასატარებლად, არაერთხელ აღმინიშნავს; ისევე, როგორც ის, რომ ქოცების მიმართ მეტ-ნაკლები მხარდაჭერა ცუდსა და უარესს შორის არჩევანის შედეგია და, მიუხედავად მათი უამრავი შეცდომა-დანაშაულისა, ვერავინ მათქმევინებს, რომ მიშას მმართველობის პერიოდი სჯობდა დღევანდელს.**

ახლაც ასეა — ლიბერასტული დასავლეთი ქოცების წინააღმდეგაა აფოფრილი, იქამდეც კი, რომ მელიას დაპატიმრებას პუტინისთვის მირთმეული საჩუქარი უწოდა. არადა, რუსეთს, სამწუხაროდ, საქართველო უკვე ფეხებზე ჰკიდია. სამწუხაროდ თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს ხელისუფლებას ერთმორწმუნე რუსეთთან ნორმალური, პარტნიორული ურთიერთობა რომ ჰქონდეს, აზერბაიჯანელები გარეჯზე სიტყვის დაძვრასაც ვერ გაბედავდნენ. ამის დასტური აზერებაიჯანელთა მიერ რუსეთის დახმარებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მაგალითიც კმარა.

**ქოცები კი რას სჩადიან? აღვირახსნილ რუსოფობიაში ეჯიბრებიან ნაცებს და, ადრე თუ სვეტიცხოველსა და ჯვარზე დაგვყავდა საპატიო სტუმრები, ახლა საქართველოს მთავარ ღირშესანიშნაობად მავთულხლართები იქცა და ნიანგის ცრემლების დასაღვრელად ახლა იქ დაჰყავთ ჩვენი „მეგობარი“ ევროჩინოსნები.**

არ ვიცი, შემთხვევითი ეპიზოდი იყო თუ საგარეო პოლიტიკის გადახედვის შესაძლებლობაზე მინიშნება, მაგრამ ფაქტია, რომ **შალვა რამიშვილის** გადაცემაში თვით **გოგა ხაინდრავასაც** კი დასცდა ამერიკის მიმართ მცირე საყვედური. **ქართველები საუკუნეების განმავლობაში მარტოდმარტონი ვიბრძოდით იმისთვის, რასაც დღეს დასავლური ღირებულებები ჰქვია, რათა ევროპის ნაწილი გავმხდარიყავით და რუსეთს ნუ შეაჭმევინებთ დასაბამიდან ევროპულ საქართველოსო** — დაახლოებით ეს ბრძანა ცნობილმა რეჟისორმა.

გოგა ბატონო, იმედია, არ მიწყენთ დიდი **ჭაბუას** ენით პასუხად ნათქვამს. **„ჩვენ არც ევროპელები ვართ და არც აზიელები. ჩვენ ვართ ის, რა სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე. პლუს ის, რაც ევროპა-აზიიდან „ვისესხეთ“ და გავიქართულეთ — ჩვენ ქართველები ვართ!“**

ჩვენ ყოველთვის ქართული ღირებულებებისთვის ვიბრძოდით და არა ევროპულისთვის, რადგანაც მათგან ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებს შორის ქორწინება — სისხლის აღრევა, „წმინდა ინკვიზიცია“ არ „გვისესხებია“ და არც გაგვიქართულებია...

გადაცემაში ცრუ თეზაზე საუბრისას რუსეთზე დიდი მტერი საქართველოს არ ჰყოლიაო, უმცროსი გრეჩიხასა (მომღერალი **გია გაჩეჩილაძე**) და ჯაპანას (მსახიობი **დავით ხურცილავა**) დუეტმა „დაგლიჯა“:

— მაშ, მტყუანის, რომ ჰყოლიაო! — შესძახა უმცროსმა გრეჩიხამ და შემდეგ ჯაპანასთან დუეტში, რომ იტყვიან, ცაში აიყვანა **მეფე ერეკლე, პატარა კახი,** — რუსეთთან შეერთება იმხანად ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო და ქართველი ერის ფიზიკური არსებობა, პატარა კახის დიდი დამსახურებააო. საღოლ, გრეჩიხასა და ჯაპანას უშიშრად ნათქვამი სიმართლისთვის, რომელსაც, თუ არ მიწყენთ, ორიოდე სიტყვას მეც დავამატებ: ორი საუკუნის განმავლობაში ვწოვდით რუსეთის ძუძუს, რომლიდანაც რძე კი არა „სგუშჩიონოე მოლოკოს“ მდინარე მოედინებოდა.

**დავით მხეიძე**

**P.S. ზემოთ ირაკლი ღარიბაშვილის კახელობის ხაზგასმის მიზეზს ქვემოთ გეტყვით-მეთქი და აჰა: ნიკანორ მელია ხომ ჩააყუდე „ვირის აბანოში“. ჰოდა, ერთი მაგ ევროპა-ამერიკელებსაც კახურად ლაზათიანად მაეფერე — „ყველამ თავის კახპა მამიდას მოუაროს-თქო და მართლა გმირი იქნები, ჯოო! გაიგე?..**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მელიას რომ ვუყურებ, ქართული მხატვრული ფილმი „ქვევრი“ მახსენდება: როგორ მოხვდი მანდაო და ბავშობიდან აქა ვზივარო... აი, ასეთ კარიკატურამდე დავიდა უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ სახე თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში და ნიკანორ მელია, როგორც არშემდგარი ნელსონ მანდელა“.**



### დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# პოლიტიკურმა ავანტიურამ ერთგვარი კატალიზატორის როლი შეიძლება შეასრულოს საქართველოში გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილებებისთვის

**პარლამენტზე შტურმის მომწყობ ნიკანორ მელიას მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებით შეშფოთებული „დემოკრატიული“ დასავლეთი ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადებებს ავრცელებს. ევროპარლამენტარები თუ ამერიკელი სენატორები და დიპლომატები „ოცნებას“ ერთხმად მოუწოდებენ, დამნაშავე დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს. მეტიც, მშენებარე ქართულ დემოკრატიაზე მზრუნველი ზოგიერთი „პარტნიორი“ ამბობს, რომ ნიკანორ მელია, როგორც კრემლიდან მართული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი, გმირია. რამდენიმე მათგანი კი უკვე შეშფოთების „კლასიკურ“ ფორმებს გასცდა და მმართველ გუნდზე საერთაშორისო ზეწოლის ამოქმედებაზეც ლაპარაკობს (საუბარია სანქციებზე, რომელთა ამოქმედებაც, აუცილებლობის შემთხვევაში, ანუ მელია თუ არ გათავისუფლდება, უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს).**

პირდაპირ ითქვა, რომ სანქციები ბიძინა ივანიშვილს უნდა დაუწესდეს. აი, რა განაცხადა 26 თებერვალს ამერიკის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის რესპუბლიკელთა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **კრის სოჩამ** ონლაინვებინარზე: „სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში მიმდინარეობს განხილვა სანქციების დაწესების შესახებ. არსებობს ორი ვარიანტი: პირველი — სახელმწიფო დეპარტამენტის სანქციებიდან ერთ-ერთია აშშ-ის ტერიტორიაზე მყოფი ანგარიშების გაყინვა, რომელიც, შესაძლოა, ფინანსთა დეპარტამენტმა სხვა სამინისტროებთან ერთად განიხილოს; მეორე — შეზღუდვა მოგზაურობაზე. თუ თვითონ ივანიშვილი არ მოგზაურობს აშშ-ში, მას ჰყავს შვილები, რომლებიც იმოგზაურებენ. საუბარია იმაზე, უნდა მოუხსნან თუ არა მის შვილებს აშშ-ში მოგზაურობისა და განათლების მიღების უფლება. ვფიქრობ, რომ ეს მას (ივანიშვილს) უნდა აღელვებდეს“. სოჩას შეფასებით, სანქციები მხოლოდ ივანიშვილს არ უნდა დაუწესდეს, შეზღუდვები ყველა იმ სუბიექტებზე უნდა გავრცელდეს, რომლებიც „პოლიტიკურად მოტივირებულ“ საქმეებში არიან ჩართულები...

**რა მიზანს ემსახურება დასავლეთის წნეხი, რომელიც დიპლომატიისა და დემოკრატიის საზღვრებს სცდება, და არის თუ არა მზად ხელისუფლება, ამ წნეხს გაუძლოს, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, მელიას დაკავებით შეშფოთებული „დემოკრატიული“ დასავლეთი უკვე დაუფარავად ემუქრება ხელისუფლებას, რომ, თუ დამნაშავეს არ გაათავისუფლებს, სანქციები გარდაუვალია. საუბარია არა მხოლოდ კონკრეტული სუბიექტებისთვის სანქციების დაწესებაზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზეც...**

— უწინარესად, ვირტყვი, რომ ეს პროცესები — **ოპოზიციის მიერ გამოცხადებული „უკომპრომისო“ ბრძოლა „უსამართლობასთან,“ მათი ვითომ დევნა და შემდეგ უკვე დასავლელი „კეთილისმსურველების“ განცხადებები საქართველოს უკანდახევაზე ევროატლანტიკური ოჯახიდან — არის სამარცხვინო პოლიტიკური მასკარადი. ეს არის ბინძური თამაში სულ სხვა მიზნებისთვის და არავითარ შემთხვევაში იმისთვის, რომ ქართული დემოკრატია გადარჩეს. ქართული დემოკრატია მათ მაშინ დაასამარეს, როცა ქართულ მართლმსაჯულებას პატივი აჰყარეს და სააკაშვილის კრიმინალური ბანდისთვის სრული ხელშეუხებლობა უზრუნველყვეს.**

რაც შეეხება განცხადებას ივანიშვილისა და მისი ოჯახისთვის გარკვეული სანქციების დაწესების თაობაზე, დავიწყოთ იმით, რომ ამის განმცხადებელი **კრის სოჩა** არ არის პოლიტიკოსი, ის სტაფის წარმომადგენელია, მუშაობს სენატში და პოლიტიკის განსაზღვრის საკითხებში ავტორიტეტი არ გააჩნია. ახლა მეორე — **ის არის ადამიანი, რომლის განცხადების პოლიტიკური მნიშვნელობაც ქართულ სამთავიან მედიაჰიდრას — „მთავარს“, „ტვ პირველსა“ და „ფორმულას“ — ხელოვნურად აქვს წამოწეული, რათა ასე უფრო მეტი ექსპრესიულობა, უფრო მეტი შთამბეჭდაობა შესძინოს ხელისუფლებაზე განხორციელებულ წნეხს...**

**— რეალურად რა ხდება?**

— რეალურად ხდება ის, რომ „ლიბერალური“ მედიის მიერ გმირად გამოცხადებულმა **ნიკანორ მელიამ** თვითონ აირჩია ხვედრი, ვინაიდან კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ ერთი აღკვეთის ღონისძიების ფორმა მიუღებელია ბრალდებულისთვის და ის ეწინააღმდეგება კანონის აღსრულებას. ეს არის რეალური მოცემულობა, მაგრამ **იმის ნაცვლად, რომ კონკრეტულმა მედიასაშუალებებმა პოლიტიკური პარტიის ლიდერის მიერ შეგნებულად ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივ ბუნებაზე ისაუბრონ, იმოწმებენ კრის სოჩას... ეს არის ჩვეულებრივი მედიაავანტიურა.** სხვათა შორის, ამ პერმანენტულმა პოლიტიკურმა ავანტიურამ ახლო მომავალში ერთგვარი კატალიზატორის როლი საქართველოში გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილების მიმართ მართლა შეიძლება შეასრულოს, ანუ ინდივიდუალური სანქცირება იმ პირებისა, რომლებიც სათავეში არიან, აუცილებლად გამოიწვევს შესაბამის უკურეაქციას ნიუტონის მესამე კანონის თანახმად. თავდაცვითი უკურეაქციაც შეიძლება იყოს ზუსტად ისეთი, როგორი ავანტიურაც არის ამ შემთხვევაში ჩაფიქრებული... რაც შეეხება ოპოზიციის „პრინციპულობასა“ და იმას, რომ ცოცხალი თავით არ სურთ კონსტუქციული დიალოგი, დასავლეთში უკვე **კინზინგერიც** კი გაკვირვებულია, რატომ არ შედიან ისინი პარლამენტში. **ხელისუფლების გზავნილია ის, რომ საკანონმდებლო ორგანოში შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს და, თუ დადასტურდა, რომ არჩევნები გაყალბდა 1%-ზე მეტით, დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები. ეს უკვე არის ის შეთავაზება, რომელზეც კელი დეგნანიც კი ხმას ვერ ამოიღებს...**

**— დავუბრუნდეთ ისევ მელიას. მან, ფაქტობრივად, შექნა ასეთი პარადოქსული მდგომარეობა: კაცს ეუბნებიან, გადაიხადე გირაო და გამოდიო, მაგრამ არ გამოდის. აქედან რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს?**

— გეთანხმებით, მელიამ კომიკურ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. კაცი, ფაქტობრივად, თავისუფალია, ხვალვე შეუძლია, შინ წავიდეს და არ მიდის. კიდევ ვიმეორებ: დღეს ოპოზიციას ხელიდან აქვს გამოცლილი საფუძველი, რომლის გამოც შეუძლია, უარი თქვას პარლამენტში შესვლაზე. აი, ზუსტად ეს არის მიზეზი იმისა, რომ სანქციებზე განცხადებებს აკეთებენ არა უმაღლესი თანამდებობის პირები სენატიდან, არამედ კრის სოჩა. რაც შეეხება შეკითხვას გამოსავალზე, ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: მორალურადაც, სამართლებრივადაც და, რაც მთავარია, პოლიტიკურად „ნაციონალური მოძრაობა“ გაკოტრებულია. შესაბამისად, არც ნიკა მელიას ჩეგევარობისა სჯერა ვინმეს და არც სხვა რამის. სხვათა შორის, **მელიას რომ ვუყურებ, ქართული მხატვრული ფილმი „ქვევრი“ მახსენდება: როგორ მოხვდი მანდაო და ბავშობიდან აქა ვზივარო...** აი, ასეთ კარიკატურამდე დავიდა უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ სახე თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში და ნიკანორ მელია, როგორც არშემდგარი **ნელსონ მანდელა...**

**— მიუხედავად ყველაფრისა, დღეს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მაინც არსებობს შიში, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შეიძლება დაბრუნდეს. რას ფიქრობთ ამაზე?**

— „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა თვითონაც კარგად იციან, რომ იდეაში მათი დაბრუნების ერთადერთი გზა არის სახელმწიფო გადატრიალება. ამას, უწინარესად, სჭირდება საზოგადოების ფართო მხარდაჭერა... ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ აქცია რუსთაველის გამზირზე, სადაც 20-25 ლარად ჩამოყვანილი მოქალაქეები იდგნენ, თუმცა ისეთი დემოტივირებული იყო ეს ხალხი, რომ „გაუმარჯოს“ დაძახებაც ეზარებოდათ. სხვათა შორის, ძალიან იმედოვნებდნენ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები, რომ აქციაზე ნიკანორ მელიას მიერ ციხიდან გამოგზავნილი წერილის წაკითხვის შემდეგ ადამიანებს გულს აუჩუყებდნენ და ცრემლს დააღვრევინებდნენ, მაგრამ ტაშიც კი არავინ დაუკრა. ეს ყველაფერი ნიშნავს ერთადერთ რამეს: პროექტი ნიკანორ მელიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური პროცესების ავანგარდში დაყენებაზე ჩაფლავდა.

**— 28 თებერვალს ქუთაისში გამართულ მრავალათასიან აქციაზეც შეგეკითხებით. პრაქტიკულად, მთელი საქართველო ფეხზე დგას რიონის ხეობის გადასარჩენად, თუმცა არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია ყურს არ იბერტყავენ...**

— მინდა, ხაზი გავუსვა ერთ ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას. აქცია იმით იყო გამორჩეული, რომ არც ერთ პოლიტიკოსს მასში მონაწილეობა არ მიუღია. ეს იყო სრულიად ქართველი საზოგადოების კონსოლიდაციის ტრიუმფი, თუმცა ამ ყველაფრის გამოყენება გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმაც სცადეს. სხვათა შორის, **სააკაშვილმა** წამსვე გააკეთა განცხადება, რომ თურმე ის ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა გიგანტურ ჰესებს... **მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ექსკლუზიურად თქვენს გაზეთს მივაწოდო ინფორმაცია მთავრობის განკარგულების შესახებ, რომელიც ახლახან ხელში ჩამივარდა. საუბარია განკარგულება №187-ზე, რომელიც მიღებულია 2007 წლის 7 აპრილს. აი, ზუსტად ამ განკარგულებიდან იწყება ნამოხვანჰესის აშენებაზე პირველი ნაბიჯების გადადგმა და, თუ აღმოსავლეთ საქართველოში შეძლო სააკაშვილმა აზერბაიჯანელი მესაზღვრეების ამოყვანა ჩიჩხიტურის თხემამდე, დასავლეთ საქართველოში თურქული კომპანია შემოიყვანა.**

ცნობისთვის: განკარგულებას ხელს აწერს იმდროინდელი პრემიერმინისტრი **ზურაბ ნოღაიდელი.** 2007 წლის 24 დეკემბერს იწერება მეორე განკარგულება, რომლის ნომერია 824 და მას ხელს აწერს პრემიერმინისტრი **ვლადიმერ გურგენიძე.** შემიძლია მოგაწოდოთ ეს დოკუმენტი და, თუ თქვენი სურვილი იქნება, გამოაქვეყნეთ; 2008 წლის 30 ივლისს კი მიღებულიქნა მესამე განკარგულება №480, რომელიც ეხება ნამოხვან ჰესის კასკადის ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტის მიმდინარეობას. ხვდებით, რაზეა საუბარი? **ეს ხდება 2008 წლის აგვისტოს ომამდე...** შემდეგ, 2009 წლის 24 ნოემბერს, გამოიცა მთავრობის განკარგულება №901, რომელიც ნამოხვანჰესის კასკადის მშენებლობის ურთიერთგაგების მემორანდუმს უკავშირდება რამდენიმე კომპანიასთან და მას ხელს აწერს პრემიერმინისტრი **ნიკა გილაური.** აი, ამის შემდეგაა უკვე ბატონი **კვირიკაშვილის** 2016 წლის 15 აპრილის განკარგულება და ბოლოს უკვე **გახარიას** მიერ მიღებული დოკუმენტი. ახლა ამ ყველაფერს რატომ ვყვები, **ხუთი პრემიერის ხელში გამოვლილი საქმეა ეს და მათგან სამი ნაციონალების მმართველობისდროინდელი პრემიერმინისტრია.** თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკის არსებობის პირობებში ისინი პირდაპირ ექვემდებარებოდნენ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებებს. რა თქმა უნდა, სააკაშვილის პირდაპირი პასუხისმგებლობაა ამ მოღალატეობრივ გარიგებაში, ამიტომ, **თუ დღეს საუბარია გახარიას პასუხისმგებლობაზე კვირიკაშვილთან ერთად, ცხადია, უნდა ვისაუბროთ სააკაშვილის მიერ გაფორმებულ მზაკვრულ გარიგებაზეც.** მაგრამ ერთია ბრალდებები და მეორე — რეალური შედეგი... დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი, ადრე თუ გვიან, ამ ყველაფრისთვის პასუხს აგებს საქართველოს მოსახლეობის წინაშე და დაისჯება არა მხოლოდ პოლიტიკურად, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისითაც...

**«მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ექსკლუზიურად თქვენს გაზეთს მივაწოდო ინფორმაცია მთავრობის განკარგულების შესახებ, რომელიც ახლახან ხელში ჩამივარდა. საუბარია განკარგულება №187-ზე, რომელიც მიღებულია 2007 წლის 7 აპრილს. აი, ზუსტად ამ განკარგულებიდან იწყება ნამოხვანჰესის აშენებაზე პირველი ნაბიჯების გადადგმა და, თუ აღმოსავლეთ საქართველოში შეძლო სააკაშვილმა აზერბაიჯანელი მესაზღვრეების ამოყვანა ჩიჩხიტურის თხემამდე, დასავლეთ საქართველოში თურქული კომპანია შემოიყვანა»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ოპოზიციის წევრები რომ გამოდიან და ბოლო ხმაზე გაჰკივიან, — არ გვინდა მანდატები, ხელფასებსაც ნუ გვირიცხავთო... ხომ ვერ გვეტყვით, ბატონებო და ქალბატონებო, რომელ ანგარიშზე გერიცხებათ ხელფასი? პარლამენტის საფინანსო სამსახურს დაესიზმრა თქვენი ბანკის ანგარიში? არა; ეს ანგარიშები თვითონვე მიაცუნცულეთ საფინანსოში და ახლა ხალხის თვალის ასახვევად გაჰკივით, — ხელფასი არ გვინდაო?! რომ არ გდომოდათ, არც ანგარიშებს წარადგენდით და არც ფული დაგერიცხებოდათ.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიხეილ სააკაშვილი დასავლეთს უფლებას აძლევდა, საქართველოს მოსახლეობაზე ექსპერიმენტები ჩაეტარებინა. არაერთი პრეპარატის ექსპერიმენტი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტარდებოდა და პატიმრებმა ხშირ შემთხვევებში არ იცოდნენ, რა წამალს იღებდნენ. ქართველი პატიმრები იყვნენ ჩვეულებრივი საცდელი ბოცვრები, პრეპარატების გამოსაცდელად კომპანიები მილიონებს იხდიან და მასში მონაწილეობას ადამიანები ფულის გამო თანხმდებიან, ჩვენთან კი ეს ყველაფერი უფასო იყო — პრეპარატებს პატიმრებზე ცდიდნენ, სააკაშვილის გუნდი კი ფულს იღებდა.**

# იცვლებიან ადამიანები, არ იცვლება გარემო, არ კეთდება არაფერი, რასაც მოსახლეობა შეაფასებდა წინგადადგმულ ნაბიჯად

## «ოცნებასაც» ზუსტად იგივე ბატონი ჰყავს, რომელიც «ნაციონალურ მოძრაობას» ჰყავდა

ისიც გემახსოვრებათ, **ნაციონალების ზეობის პერიოდში კარვები რომ იყო თბილისში რამდენიმე ადგილას გაშლილი და, თუ თავიდან სააკაშვილის ტელევიზიები ისე თუ ასე აშუქებდნენ, შემდეგ ეს თემა მიივიწყეს და არც დასავლელ ელჩებს შეუწუხებიათ თავი. იჯდა ხალხი კარვებში, გადაკეტილი იყო რუსთაველი, პრეზიდენტის რეზიდენციის ცენტრალური შესასვლელი და ხალხს ისე მიავიწყეს ეს ამბავი, იქ ყოფნამ და პროტესტმა აზრი დაკარგა. ახლა რამდენიმე კარავია პარლამენტის წინ გაშლილი და დასავლეთს ერთი ამბავი აქვს ატეხილი.**

მიზანი და მიზეზი „ნაციონალური მოძრაობისა" და დასავლეთის წაყრუებისა ხალხში პოლიტიკური ნიჰილიზმის დათესვა იყო. ამომრჩეველი უნდა დარწმუნებულიყო, რომ არანაირი პერსპექტივა და ხიბლი ხელისუფლების შეცვლას არ ექნებოდა. ხალხს უნდა დაეჯერებინა, რომ ან ნაციონალები იქნებოდნენ სამუდამოდ ხელისუფლების სათავეში, ან, ვინც მოვიდოდა, ბევრს არაფერს შეცვლიდა. ეს ავტომატურად მოიტანდა იმას, რომ აქციებზე ხალხი არ გამოვიდოდა, მრავალათასიანი მიტინგები აღარ გაიმართებოდა და ადამიანები გახდებოდნენ რობოტები — დილით გაიღვიძებდნენ, შეეცდებოდნენ, საჭმლის ფული ეშოვათ, საღამოს ამ ფულით იყიდდნენ საჭმელს, შეჭამდნენ და მეორე დღეს იგივე განმეორდებოდა.

რა მოხდა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ? **იმედით აღსავსე მოსახლეობა 2012 წელს არჩევნებზე მივიდა და მდუმარე რევოლუცია მოაწყო, დაშინებულმა ხალხმა ნაციონალების წინააღმდეგ მისცა ხმა და იმედით დაელოდა არა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობას, არამედ რეჟიმის გასამართლებას, მაგრამ არც ერთი გამოვიდა და არც მეორე — არც რეჟიმი გასამართლდა და არც ასე სანუკვარი კეთილდღეობა მოვიდა.** კეთილდღეობას ვინ ჩივის, ნელ-ნელა დავიწყეთ უკანსვლა, შემდეგ ტემპი ავკრიფეთ და ახლა ასეთი მოცემულობა გვაქვს — ყოველი ახალი დღე წინაზე უარესია. გამოდის, რომ რაიმეს შეცვლა ვერც „ქართულმა ოცნებამ" მოახერხა, მაგრამ საქმე ის არის, რომ „ოცნებასაც" ზუსტად ის ბატონი ჰყავს, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას" ჰყავდა. ეს იყო და არის დასავლეთის გეგმა და, სამწუხაროდ, წარმატებით ხორციელდება.

თავად განსაჯეთ — რამდენ ადამიანს აქვს დღეს ქუჩაში გასვლისა და აქციებზე ყოფნის სურვილი? ბოლოს როდის იყო, საკუთარი ნებით საქართველოში რამდენიმე ათეული ათასი კაცი რომ გამოვიდა? **ყველაზე მასშტაბური აქცია, რომელიც ხელისუფლებამ (ესეც ქართული პარადოქსია) გამართა, 2019 წლის 14 დეკემბრით თარიღდება.** მაშინ მმართველმა გუნდმა ადმინისტრაციული რესურსი სრულად გამოიყენა და გამოჩნდა, რომ თავისუფლების მოედანი საჯარო სამსახურებში დასაქმებულთა ოდენობას იტევს. რომ არა სამსახურის დაკარგვის შიში, ასპროცენტიანი სიზუსტით შეიძლება ითქვას, რომ იქ ხალხის ის რაოდენობა ვერ შეიკრიბებოდა, მაგრამ ულუკმაპუროდ დარჩენის პერსპექტივამ, კუჭმა აიძულა საჯარო მოსამსახურეები მისულიყვნენ და ხელისუფლებას დასავლეთისთვის ეჩვენებინა, რომ მხარდამჭერთა დიდი არმია ჰყავს. არადა, წინა თუ მოქმედ ხელისუფლებას, რომ მოეხერხებინა და პენსიონერებისთვის ღირსეული პენსია მიეცა, მხოლოდ მათი მხარდაჭერა ეყოფოდათ, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი სიხარულით დაუდგებოდა გვერდით და ესეც ქართული რეალობისთვის უცნაური მოვლენაა — **თუ აქამდე ყველაფერი ახალგაზრდობით იწყებოდა, სტუდენტური მოძრაობა იყო მოწინავე ფლანგზე, ახლა წინ სწორედ პენსიონერები არიან, თუმცა მათაც მობეზრდათ ტყუილად დგომა, ისინი ხომ არა ერთხელ და ორჯერ მოატყუეს. მოატყუეს ყოველთვის და ყველამ.**

პოლიტიკური ნიჰილიზმი რომ გვჭირს, უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ. როგორ გგონიათ, რამდენ ადამიანს მოსწონს ხელისუფლება? ძალიან ცოტას, უფრო ცოტას მოსწონს ოპოზიცია. თანაც როგორი **ოპოზიცია, რომელშიც 20 პარტიაზე მეტია გაერთიანებული — მთელი პოლიტიკური სპექტრი იქ არის და ხალხი არ ჰყავთ, აქციებისთვის საჭირო რაოდენობას ვერ აგროვებენ და მათი აქციები საქილიკო თემაა.** ხელისუფლების მიერ ბოლოს გამართულ აქციაზე უკვე გითხარით და ყბადაღებული მესამე ძალაც არსად ჩანს. პოლიტიკურ ველზე უნდა გამოჩნდეს ვინმე, ვისაც ხალხი გაჰყვება, მაგრამ ეს აღარ იქნება ისეთი მარტივი, როგორც **სააკაშვილისა** და **ივანიშვილის** პერიოდში იყო. ორივეს არანორმალურად დიდი მხარდამჭერი ჰქონდა და ორივემ გაფლანგა ნდობის ლიმიტი, ხალხი არა მხოლოდ მათ, საკუთარი ნებით ალარავის მიჰყვება.




**პარლამენტში ხომ არ შევიდა ოპოზიციის უდიდესი ნაწილი? 1000-ლარიანი ჯარიმის შიშით, აბსოლუტურად ყველა მათგანმა (ბუბა კიკაბიძემაც კი) შეავსო ქონებრივი დეკლარაცია და ყოველი თვის ბოლოს აბსოლუტურად ყველა მათგანს ერიცხება 4 ათას ლარამდე ხელფასი. მხოლოდ ეს ჯამაგირი აძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ მშვიდად იდგნენ ქუჩაში, მშვიდად იმოძრაონ ავტომობილებით, დეპუტატის მანდატის გამო არ შეეხოთ არანაირი შეზღუდვა და კომენდანტის საათი**

უკმაყოფილო მხოლოდ ის ხალხი კი არ არის, რომელიც თუნდაც დღეს დგას ქუჩაში, უკმაყოფილოა მთელი ერი, მაგრამ ამას ადამიანები ხმამაღლა ვერ ამბობენ. უთქმელობის მიზეზი მხოლოდ შიში არ არის — უმრავლესობა პროტესტის აზრს, უბრალოდ, ვერ ხედავს. არ ჩანს არავინ, ვისაც გაჰყვებიან, ენდობიან, დაუჯერებენ. ასეთი პოლიტიკოსის მოძებნა დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში შეუძლებელი ჩანს. რაც ყველაზე საინტერესოა, **საკუთარი ნიშის დაკარგვა არ სურს არც ხელისუფლებასა და არც ოპოზიციას, ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს, არც შემოსავალი აკლიათ და არც შვილების განათლებაზე აქვთ საზრუნავი.** მარტივ მაგალითს გეტყვით: **პარლამენტში ხომ არ შევიდა ოპოზიციის უდიდესი ნაწილი? 1000-ლარიანი ჯარიმის შიშით, აბსოლუტურად ყველა მათგანმა (ბუბა კიკაბიძემაც კი) შეავსო ქონებრივი დეკლარაცია და ყოველი თვის ბოლოს აბსოლუტურად ყველა მათგანს ერიცხება 4 ათას ლარამდე ხელფასი. მხოლოდ ეს ჯამაგირი აძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ მშვიდად იდგნენ ქუჩაში, მშვიდად იმოძრაონ ავტომობილებით, დეპუტატის მანდატის გამო არ შეეხოთ არანაირი შეზღუდვა და კომენდანტის საათი.** ერთ თითქოს უმნიშვნელო დეტალს არ აქცევს არავინ ყურადღებას: ოპოზიციის წევრები რომ გამოდიან და ბოლო ხმაზე გაჰკივიან, — არ გვინდა მანდატები, ხელფასებსაც ნუ გვირიცხავთო... ხომ ვერ გვეტყვით, ბატონებო და ქალბატონებო, რომელ ანგარიშზე გერიცხებათ ხელფასი? პარლამენტის საფინანსო სამსახურს დაესიზმრა თქვენი ბანკის ანგარიში? არა; ეს ანგარიშები თვითონვე მიაცუნცულეთ საფინანსოში და ახლა, ხალხის თვალის ასახვევად გაჰკივით, — ხელფასი არ გვინდაო. რომ არ გდომოდათ, არც ანგარიშებს წარადგენდით და არც ფული დაგერიცხებოდათ.

პრემიერმინისტრის პოსტიდან **გიორგი გახარიას** წასვლის შემდეგ, სოციალურ ქსელებში ამბავი ატყდა, ექსპრემიერი ახალ პარტიას შექმნის და ხალხიც მას გაჰყვებაო. გახარია ხეირიანად გადამდგარიც არ იყო, როცა ოპოზიცია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, წიხლით შედგა, რადგან მათ სწორედ ზემოხსენებული ნიშის დაკარგვის საფრთხე იგრძნეს, ამიტომ წინასწარვე გაემიჯნენ, გარიყეს, გაწირეს, თათხეს... რაც შეეხება მოსახლეობის ნაწილის აღტყინებასა და ათიათასობით ადამიანის მიერ სოციალურ ქსელში მოწონებულ გახარიას ფოტოს, მოდი, მარტივად ვიკითხოთ: **რა გააკეთა თავისი პრემიერობის პერიოდში გახარიამ ისეთი, რის გამოც, შესაძლოა, მას ხალხი გაჰყვეს და ბოლომდე ენდოს?**

პანდემიისას კრიზისმენეჯერის განსაკუთრებული უნარი გამოიჩინა და პროცესები მართა? **მოსახლეობას ყოფა შეუმსუბუქა, შვება მისცა, ახალი ქარხნების აშენებისა და ხალხის დასაქმების ბრძანება გასცა? ეროვნული ვალუტა გასულ წელს 16%-ით რომ არ გაუფასურებულიყო, რაიმე მოიმოქმედა, შესაბამის სამსახურს დაავალა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა? რეგიონში საქართველო მთავარ მოთამაშედ აქცია? რუსეთთან ურთიერთობის რაღაც დონეზე მოგვარებას მაინც შეეცადა? ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებს რაიმე ისეთი გააკეთებინა, რაც მოსახლეობაზე სასიკეთოდ აისახა?** სამწუხაროდ, ყველა კითხვაზე პასუხი უარყოფითია, თუმცა საქმე მხოლოდ გახარიაში არ არის. ამავე კითხვებზე უარყოფითი პასუხია მისი წინამორბედის შემთხვევაში, იმის წინამორბედის შემთხვევაშიც და უარყოფითი პასუხი იქნება გახარიას შემცვლელის შემთხვევაშიც. **იცვლებიან ადამიანები, არ იცვლება გარემო, არ კეთდება არაფერი, რასაც მოსახლეობა შეაფასებდა წინგადადგმულ ნაბიჯად.** ჰო, მოსახლეობა, თორემ... საინტერესო ციფრებს გეტყვით: იანვარში საქართველოს ეკონომიკა 11,6%-ით შემცირდა და ეს ყველაზე ცუდი შედეგია 1994 წლის შემდეგ. თურმე 27 წელია, წინ მივდივართ, ყოველწლიური მატება და პროგრესი გვაქვს... გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: შეატყვეთ რამე წინსვლის?! ჰო, **24-საათიანი ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიისთვის მადლობა, მაგრამ 21-ე საუკუნის მეხუთედი რომ მიიწურა და სხვა სათქმელი არაფერია, ეგ არის სწორედ კატასტროფა,** ამიტომ ვამბობთ, მოსახლეობამ უნდა თქვს, რომ წინსვლაა, თორემ ევროპა-ამერიკის დასანახავად ფურცელზე დაწერილი ეკონომიკური წინსვლა დიდი ვერაფერი შეღავათი რომ არის, ყველა მიხვდა. სწორედ ამის შემყურე ხალხს სჭირს ნიჰილიზმი და აღარ სჯერა არავისი. პარლამენტის სხდომები იმართება, რაღაც კანონებსაც იღებენ, მაგრამ... გააჩერეთ ქუჩაში ასი ადამიანი და ჰკითხეთ, გასული ოთხი წლის განმავლობაში პარლამენტის მიერ მიღებულმა რომელმა საკანონმდებლო ცვლილებამ იქონია მოსახლეობაზე დადებითი გავლენა. თქვენ თუ გაქვთ პასუხი, ბატონებო, თორემ ხალხი რას გეტყვით, ჩვენზე კარგად გეცოდინებათ.

ბესო ბარბაქაძე

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კაპიტალისტურ სამყაროს ერთი ღმერთი ჰყავს — მოგება, კაპიტალისტს კი არ შეუძლია, სიცოცხლის უკანასკნელი წუთებიც მოგებაზე ფიქრში არ გაატაროს. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა გზით მიაღწევს იგი მოგებას — სამხედრო-სამრეწველო კომპლექსით, ტურიზმით თუ სამედიცინო-ფარმაცევტული გზით. მთავარია, რომ მოგება იყოს მაქსიმალური და მზარდი.**



# სიმართლესა და სიცრუეს შორის

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მეექვსე გამოშვება

„ადამიანებს არ აწუხებთ სინდისის ქენჯნა მათთვის ჩვეულებად ქცეული ცუდი საქციელის გამო“.

*ვოლტერი*

### კორონავირუსის საიდუმლო

კაცობრიობას მრავალი ეპიდემია უნახავს და გადაუტანია, მათ შორის ისეთებიც, რომელთა ვერაგობის მასშტაბთან კორონავირუსი ახლოსაც ვერ მივა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში კორონავირუსის დიაგნოზდასმულთა რაოდენობა 100 მილიონს აჭარბებს, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობა 2 მილიონთან მერყეობს. მსოფლიო პანდემიის პირობებში ორპროცენტიანი ლეტალობა მაღალი არ არის. მაგალითად, ვირუსი ებოლა ცნობილი იყო 90-პროცენტიანი ლეტალობით. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობას ბევრი გაცილებით საშიში პანდემია გადაუტანია, კორონავირუსის გავლენა მსოფლიოზე განსხვავებულია იმ გავლენისგან, რომელსაც ძალიან ძლიერი ვირუსები ახდენდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მაგალითად, ცნობილი ფუტუროლოგი **სერგეი პერესლეგინი** წერს: **„კოვიდ 19-ის სოციალური ეფექტი წარმოუდგენელია. მე ვიხრები იმ აზრისკენ, რომ ჩვენ ამ მოვლენას არათუ ერთი და ორი წლის შემდეგ, საერთოდ, ვერასოდეს დავივიწყებთ. პანდემიის გამო, რომელიც განსაკუთრებულად არ გვემუქრებოდა, კაცობრიობამ უარი თქვა მრავალ ისეთ რამეზე, რაც მისთვის თითქოს უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე იყო. ადრე ადამიანები თავისუფლების გამო ბარიკადებთან დგებოდნენ, სადაც დაღუპვის თეორიული შანსი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე კორონავირუსის დროს არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ადამიანთა უმრავლესობამ კორონავირუსის შიშის გამო ამჯობინა, დათმოს კონსტიტუციური და დემოკრატიული თავისუფლებები, უარი თქვას ცხოვრების ჩვეულ წესსა და რიტმზე. ღია სამოქალაქო საზოგადოებიდან ჩვენ ნებაყოფლობით გადავიქეცით ჩაკეტილ საზოგადოებად. ის, რაც მოპოვებული იყო საუკუნის განმავლობაში, დავკარგეთ წელიწადში. ეს რთულად ასახსნელია. პანდემიის ყველაზე უცნაური შედეგი ისაა, რომ მთავრობებს მოუნდათ და ხალხი დაემორჩილა. ეს არის ამ პანდემიის ყველაზე საოცარი სოციალური ეფექტი“.**

ლოგიკური მსჯელობაა. მართლაც, როგორ მოხდა, რომ ასე მცირე რისკის პირობებში, რომელიც კორონავირუსს ახლავს, ხალხი ძირითადად დაემორჩილა მთავრობების მიერ ნაკარნახებ თამაშის წესებს? რატომ არ არის მეტი პროტესტი, რატომ არ არის მეტი დაუმორჩილებლობა? როგორ, **პანდემიის გამო, რომელსაც 2 პროცენტზე ნაკლები ლეტალობა აქვს, სახელმწიფოებმა საზღვრები ჩაკეტეს, გაჩერდა ტურიზმი და საავიაციო რეისები, დაიხურა საგანმანათლებლო კერები, შეწყდა სატრანსპორტო მიმოსვლა, არ მუშაობს დასვენებისა და გართობის ცენტრები, აღარ არის სტუმრობა; ადამიანებმა, ლამისაა, უარი თქვან პირად ცხოვრებაზე და პირახვეულნი დადიან. ასეთია სამთავრობო გადაწყვეტილებები, მითითებები, ინსტრუქციები, მაგრამ როგორ შეიძლებოდა, რომ ხალხი (გარდა მცირერიცხოვანი გამონაკლისისა) ამას ასე მშვიდად და უდრტვინველად შეხვედროდა და შეგუებოდა?!** რა სახის ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონები ამუშავდა, რომ ადამიანთა მასები ცხოვრების ჩვეული წესიდან, ცხოვრების სრულიად უჩვეულო და, რაც მთავარია, არაკომფორტულ, დამთრგუნავ წესზე ასე მარტივად გადავიდნენ? აქ ორი ფაქტორია მთავარი:

**1.** ვირუსის გავრცელების უჩვეულო მასშტაბი (ისტორიულად ცნობილი პანდემიებიდან მხოლოდ რამდენიმე იყო ისეთი, რომლებიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა, მაგრამ ამგვარ ვითარებებშიც არ ყოფილა შემთხვევა, ამა თუ იმ ვირუსს უკლებლივ ყველა სახელმწიფოში შეეღწიოს), კორონავირუსი კი პლანეტაზე არსებულ ყველა სახელმწიფოში გავრცელდა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საშიში თუ ვერ აღმოჩნდა ლეტალობის მაღალი პროცენტით, საშიში აღმოჩნდა გავრცელების უპრეცედენტო მასშტაბით, რამაც მსოფლიო დაარგუნა და შეთავაზებული წესების მიმართ შეგუება ინსტინქტების დონეზე უკარნახა;



**2.** შედარებით მცირე ლეტალობის პირობებში გაჩენილი რწმენა იმისა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს თუკი დავიცავთ, რომლებსაც მთავრობები ხშირ შემთხვევაში კანონის ძალას ანიჭებენ, პანდემია მალე გადაივლის.

ანუ მოხდა ვითარებასთან შეგუება არა ერთხელ და სამუდამოდ, არამედ მცირე დროით, სანამ პანდემია დასუსტდება და გადაივლის; ხოლო რწმენა იმისა, რომ ეს ასე იქნება და არა სხვაგვარად, მსოფლიოში ძალიან მაღალია. არადა, როგორც ირკვევა, **კორონავირუსის პანდემია, მიუხედავად იმისა, მალე გადაივლის თუ დიდხანს გაგრძელდება, მის საქმეს აკეთებს და, როგორც ამბობენ, ცხოვრებას მალე თვისებრივად შეცვლის. რაში გამოიხატება ეს ცვლილება? როგორც ვარაუდობენ, ახლა მიმდინარეობს გაბატონებული ტექნოლოგიური წესის ახალი წესით ჩანაცვლება.** ცხოვრების ტექნოლოგიური წესი, დაწყებული მიწათმოქმედებიდან და მესაქონლეობიდან და დამთავრებული დღევანდელობით, თანდათანობით ვითარდებოდა, იცვლებოდა და ახალ შინაარსს იძენდა. ტექნოლოგიური წესის ცვლილება ისეთი რთული და მტკივნეული პროცესია, რომ ზოგჯერ ომებსაც კი იწვევს. კაცობრიობა ახლა იმ ფაზაშია, რომ დიდი ომით საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია, ვინაიდან **დიდი ომი ან იმდენად დიდი იქნება, რომ მის შემდეგ კაცობრიობას ახალ ტექნოლოგიურ პროცესზე გადასვლის თავი აღარ ექნება, ან არასაკმარისად დიდი იქნება იმისთვის, რომ ამგვარი პროცესების დასაბამად იქცეს.** ლაპარაკია წარმოებაში ხელოვნური ინტელექტის გაბატონებაზე, რომელიც უმუშევრობის კატასტროფულ ზრდას და მისთვის მასობრივი ხასიათის მიცემას გამოიწვევს. ტექნოლოგიური წესის ცვლას ყოველთვის ახლდა საკუთრების ხელახალი გადანაწილება, რომელიც, ერთი მხრივ, იწვევს ახალი კაპიტალის ბრძოლას ძველის წინააღმდეგ; მეორე მხრივ, ძველი კაპიტალის გააფთრებულ წინააღმდეგობას იმისთვის, რომ არ დათმოს შემოსავლისა და მოგების წყარო. დღეს არსებული ტექნოლოგიური (ინდუსტრიული) წესის დამკვიდრებას ორი მსოფლიო ომი და ცივი ომი უძღოდა.

**ახალი ტექნოლოგიური (ხელოვნური ინტელექტის) წესის დამკვიდრებაც ახალი წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებების გზით მოხდება. წინააღმდეგობა მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, რომელიც, მარქსის მიხედვით, კაპიტალიზმის უკანასკნელი (იმპერიალისტური) სტადიისთვის დამახასიათებელი მესამე ძირითადი წინააღმდეგობაა, ახლა საბოლოოდ მომწიფდა.** სულ უფრო მზარდი დაპირისპირება აშშ-სა და რუსეთს შორის, ასევე აღმავალი ხაზით განვითარებული დაპირისპირება აშშ-სა და ჩინეთს შორის ამის კონკრეტული გამოხატულებაცაა და დადასტურებაც, მაგრამ ახალი ტექნოლოგიურ წესზე გადასვლის თანამედროვე ეპოქა ხასიათდება არა მხოლოდ ზესახელმწიფოთა შორის დაპირისპირების გამწვავებით, არამედ უთანასწორობისა და უმუშევრობის არნახული აფეთქებით. არ ვიცი, ეს სიტყვა რამდენად სწორ ასოციაციებს გამოიწვევს, მაგრამ რეალურად ესაა **ახალი პროლეტარიატის წარმოშობა,** რომელშიც ჩვენ, ყველა, მთელი საზოგადოება (გარდა მცირე ჯგუფისა) განვიხილებით. კორონავირუსის გამო მსოფლიოში ადამიანთა უზარმაზარი რაოდენობა დარჩა დაუსაქმებელი და დაკარგა არა მხოლოდ შემოსავალი, არამედ ის მცირეოდენი თანხაც, რომელიც შესაძლებელია, დაგროვებული და შავი დღისთვის გადანახული ჰქონდა. კორონავირუსის მიერ მსოფლიოსთვის მიყენებულ ზარალს სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა რიცხვით წარმოადგენს და ის ასობით მილიარდი დოლარიდან ტრილიონ დოლარამდე მერყეობს, ანუ ეს თანხა ნებისმიერ შემთხვევაში ასტრონომიულია. **ფაქტია, რომ ახალ ტექნოლოგიურ წესზე გადასვლის ფორსირებული პროცესის დაწყება და კორონავირუსის გამოჩენა ერთმანეთს საეჭვოდ დაემთხვა. არ მაქვს საკმარისი ინფორმაცია და ფაქტები, რომ რამე კატეგორიულად ვამტკიცო, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპის წინააღმდეგ აგორებული კამპანია, რომელსაც არჩევნებში ტრანსკორპორაციული ლიბერალური კოალიციის გამარჯვება მოჰყვა, რომლის ინტერესებსაც ბაიდენი წარმოადგენდა, და კორონავირუსის გამოჩენა ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენები მგონია.** დააკვირდით რამდენიმე გარემოებას:

**1.** ტურიზმი გართობისა და დასვენების ბიზნესი არსებული ტექნოლოგიური წესის შემადგენელი ნაწილია, რომლის დემონტაჟი (უფრო სწორად, ნგრევა) დაწყებულია. პარალელურად დაწყებულია არნახული მასშტაბების მიცემა სამედიცინო და ფარმაცევტული ბიზნესისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ იწყება კაპიტალის კოლოსალური ოდენობის გადადინება ერთი სფეროდან მეორეში, ანუ მილიარდერთა ერთი ჯგუფიდან მეორეში;

**2.** კორონავირუსული პროცესების ხელოვნური მართვა. საქართველოს მაგალითზეც კი შესანიშნავად ჩანს მიდგომის ორი განსხვავებული კუთხე. პანდემიის პირველ ეტაპზე განხორციელებულმა პრევენციულმა ზომებმა, **აკრძალვებმა და სიფრთხილემ ვირუსის განვითარება ისე დაამუხრუჭა, რომ საქართველო მსოფლიოს მასშტაბით მისაბაძ მაგალითად რჩებოდა; მეორე ეტაპზე კი მიდგომები რადიკალურად შეიცვალა და შედეგიც რადიკალურად შეცვლილი მივიღეთ — უამრავი დაავადებული და გარდაცვლილი.** პირველ ეტაპზე, მაშინ, როდესაც არანაირი გამოცდილება არ არსებობდა, პრობლემას თუ სწორად გავუმკლავდით, მეორე ეტაპზე საკუთარი დადებითი გამოცდილება რატომ უარვყავით და, თითქოს შეგნებულად, ვირუსს გზა რად გავუხსენით?! ხომ არ ფიქრობთ, რომ **ჩვენმა მთავრობამ ვიღაცისგან მიიღო დავალება, რომ ვირუსის გავრცელების დონე და მასშტაბები გაეზარდა?** ამ შეკითხვას ღიად დავტოვებ, მაგრამ დასმით მაინც დავსვამ, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, იგი მარტო ჩემს თავში არ მომწიფებულა და სხვებსაც ისევე აწუხებს, როგორც მე შემაწუხა;

**3.** დღევანდელ მსოფლიოში მეცნიერება (მათ შორის, ვირუსოლოგია) ისეა განვითარებული, რომ პლანეტაზე კორონავირუსის ასეთი მასშტაბით გავრცელება არ უნდა მომხდარიყო და ამდენი გაუგებრობა, დაბნეულობა და უთავბოლობა არ უნდა გამოეწვია. ჩემი აზრით, **ეს უმწეობა გამოწვეულია არა ვირუსისადმი გამკლავების უუნარობით, არამედ მასთან ბრძოლის ნების არარსებობით. კიდევ უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, რომელიც დიდი ძალა ეწინააღმდეგება** ▶

**ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში ქართველი ხალხი არ მონაწილეობს, უბრალოდ, ქართველი ხალხის სახელით ფორმდება ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ამერიკელები და ევროპელები ჩვენ მაგივრად იღებენ**

**დასავლელი პოლიტიკოსებისგან შეშფოთება-აღშფოთების ისეთი ზვავი წამოვიდა, გეგონება, კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრილთაგან ხუთი ადამიანის ადგილზე ლიკვიდაცია და ასობით ადამიანის დაპატიმრება, აშშ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილებით კი არა, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით მოხდა.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არავის აინტერესებს საქმეში გარკვევა. უფრო სწორად, ყველაფერი წინასწარ არის გარკვეული: როდესაც ანალოგიური ვითარება დასავლეთში იქმნება, ხელისუფლებაა მართალი, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები სხვაგან ვითარდება — ოპოზიცია, ეს არის ჩვეულებრივი ორმაგი სტანდარტი, რომელსაც დასავლეთი აღარც მალავს

◀ **კორონავირუსის დამარცხებას. რაღაც დიდი ძალა ცდილობს, რომ კორონავირუსმა გამოიწვიოს ის ეფექტი, რომელ ეფექტსაც იწვევს, ანუ დედამიწაზე კორონავირუსს სერიოზული მფარველი ჰყავს.** შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ვილაცამ ხალხი პანდემიას (გარკვეულ დონეზე მაინც) საჯიჯგნად მიუგდო. არა მხოლოდ ხალხი, არამედ ეკონომიკის ის დარგებიც, რომლებიც სულს ლაფავს და არანაირი გარანტია არ აქვს, რომ ბოლომდე არ განადგურდება. **თუ აქამდე სუპერსახელმწიფოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლები გაიძახოდნენ, ომის საფრთხე ახლოვდება და მოგვეცით მეტი დაფინანსებაო, ახლა სამედიცინო და ფარმაცევტული მონოპოლიები გაჰყვირიან, — კაცობრიობა საფრთხის წინაშეა და მოგვეცით მეტი დაფინანსებაო.** კაპიტალისტურ სამყაროს ერთი ღმერთი ჰყავს — მოგება, კაპიტალისტს კი არ შეუძლია, სიცოცხლის უკანასკნელი წუთებიც მოგებაზე ფიქრში არ გაატაროს. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა გზით მიაღწევს იგი მოგებას — სამხედრო-სამრეწველო კომპლექსით, ტურიზმითა თუ სამედიცინო-ფარმაცევტული გზით. მთავარია, რომ მოგება იყოს მაქსიმალური და მზარდი.

რაც შეეხება გავრცელებულ შიშს, რომ მოხდება მასობრივი „ჩიპიზაცია“ ადამიანზე ტოტალური კონტროლის დასამყარებლად, მთლად საფუძვლიანი არ მგონია იმის გათვალისწინებით, რომ **ასეთი კონტროლი ადამიანზე უკვე დამყარებულია.** ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მსოფლიოში, ალბათ, არც დარჩა ადამიანი, რომელსაც ხელში მობილური ტელეფონი არ უჭირავს. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი ყოველწამიერი თვალთვალის, მოსმენისა და დაკვირვების ობიექტია. ასე რომ, გაძლიერდება ეს მომენტი თუ არა (რა თქმა უნდა, გაძლიერდება), უკვე აღარ არის საინტერესო, რადგან ადამიანზე ტოტალური კონტროლის დამყარება, ხვალინდელი დღე კი არა, გუშინდელი დღეა. ეს უკვე ფაქტია. ჩვენ უკვე აღარ ვცხოვრობთ მყუდრო გარემოში, ჩვენი პირადი სივრცე სულ უფრო მცირდება, რადგან გარეშე თვალი და კონტროლი უკვე შემოიჭრა იქაც, სადაც ცოტა ხნის წინათ წარმოუდგენელი გვეჩვენებოდა...

## ესკალაცია თუ დეესკალაცია

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქვეყანა გარედან იმართება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში ქართველი ხალხი არც მონაწილეობს, უბრალოდ, ქართველი ხალხის სახელით ფორმდება ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ამერიკელები და ევროპელები ჩვენ მაგივრად იღებენ.** 2019 წლის 20 ივნისს საქართველოს პარლამენტში შეჭრის მცდელობის გამო დაკავებულ **ნიკა მელიას** მთელი დასავლეთი ესარჩლება. დაკავებას ისინი პოლიტიკურ ანგარიშსწორებად და დემოკრატიისგან გადახვევად მიიჩნევენ. კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრისას ადგილზე ხუთი ადამიანი დაიღუპა, 200-ზე მეტი დაპატიმრებულია. **საქართველოს პარლამენტის შენობაზე შტურმის გამო ერთი ადამიანია დაკავებული, ისიც მას შემდეგ, რაც მან დემონსტრაციულად მოიხსნა და გადააგდო ელექტრონული სამაჯური, რომლითაც მისი გადაადგილების პარამეტრები კონტროლდებოდა. დასავლეთმა კი, ისე, რომ საკითხის შესწავლა არც უცდია, მელიას დაპატიმრება დემოკრატიის ნორმებიდან გადახვევად შერაცხა და ამ ფაქტის გამო საერთაშორისო განგაში ატეხა.** დასავლელი პოლიტიკოსებისგან შეშფოთება-აღშფოთების ისეთი ზვავი წამოვიდა, გეგონება, კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრილთაგან ხუთი ადამიანის ადგილზე ლიკვიდაცია და ასობით ადამიანის დაპატიმრება, აშშ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილებით კი არა, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით მოხდა. ამ შეფასებათა მხოლოდ მცირე ნაწილს შემოგთავაზებთ თვალის გადასავლებად, რათა ადვილად დარწმუნდეთ იმაში, ვისთან გვაქვს საქმე ჩვენი ე.წ. სტრატეგიული პარტნიორების სახით.

*** კარლ ბილდტი, შვედეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი:**

„უკიდურესად შემაშფოთებელი მოვლენები განვითარდა საქართველოში, როცა პოლიციამ ოპოზიციური პარტიის სათავო ოფისზე შტურმი განახორციელა და მისი ლიდერი დააკავა. კანონის უზენაესობისადმი მტკიცე ერთგულება უნდა იყოს ევროკავშირთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და ინტეგრაციის პირობა“.

*** მაიკლ მაკფოლი, რუსეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი და ბარაკ ობამას ყოფილი მრჩეველი:**

„ნავალნის დაკავება პირველი ტესტი იყო, მიანმარი — მეორე, საქართველო მესამეა. მოკლედ რომ ვთქვათ, ბაიდენმა პირობა დადო, რომ მეტს გააკეთებს დემოკრატიის გასაძლიერებლად და ადამიანის უფლებებისთვის. ახლა დროა, ეს სიტყვები საქმით დამტკიცდეს“.

*** ჯეიმს აპატურაი, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში:**

„ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით მოვლენებს საქართველოში. მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარის დაკავება ღრმა შეშფოთებას იწვევს. ნატო ელის, რომ საქართველო, რომელიც ჩვენი ახლო პარტნიორი და ასპირანტია, შეინარჩუნებს ევროატლანტიკურ დემოკრატიულ სტანდარტებს. ეს გულისხმობს პოლარიზებული რიტორიკისა და მოქმედებების თავიდან აცილებასა და პოლიტიკური განსხვავებების გადაჭრას დიალოგის გზით“.



*** ანდერს ფოგ რასმუსენი, ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი:**

„ძალიან შემაშფოთებელია, რაც დღეს საქართველოში მოხდა. პირველი, ვინც დაზარალდა, არის ქართველი ხალხი. მოვუწოდებ საქართველოს თავშეკავებისკენ და არა უკან დახევისკენ. ჩვენ ვდგავართ მათ გვერდით, ვინც იცავს კანონის უზენაესობასა და დემოკრატიას საქართველოში“.

*** ბენ ჰოჯესი, გადამდგარი ამერიკელი გენერალ-ლეიტენანტი, ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყოფილი მეთაური:**

„ეს საქართველოსთვის უკან გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯია. ამით მხოლოდ კრემლი, **ბიძინა ივანიშვილი** და მისი უახლოესი გარემოცვა სარგებლობენ. ამაში არაფერია კარგი ქართველებისთვის, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისთვის. იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი ბაიდენი ძლიერი აღმოჩნდება ამაში. კრემლი უყურებს“.

*** ურმას პაეტი, ესტონელი ევროპარლამენტარი, ევროპარლამენტის პოლიტიკური ჯგუფის Renew Europe-ს წევრი:**

„შეშფოთებული ვარ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავების შესახებ. უთანხმოებათა აღმოსაფხვრელად, ძალის გამოყენების ნაცვლად, საჭიროა სათანადო დიალოგი და პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულება“.

*** ადამ კინზინგერი, აშშ-ის კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე:**

„პირდაპირ ეთერში ვადევნებდი თვალს ამ რეიდს. ძალიან შეშფოთებული ვარ. ეს არაა ისეთი რამ, რაც ავტომატურად ხდება. საშიში ნაბიჯია საქართველოს მთავრობის მხრიდან. მოცემულ დაძაბულ სიტუაციაში მთავრობას მოვუწოდებ, ამ დრამატულ ქმედებებს შეეშვას“.

*** მარკ კლეიტონი, ბრიტანეთის ელჩი საქართველოში:**

„შოკირებული ვარ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან განვითარებული მოვლენებით. ახლა საქართველოს არ სჭირდება ძალადობა და ქაოსი თბილისში. ყველას მოვუწოდებ, რომ იმოქმედონ თავშეკავებულად“.

*** მაიკლ კარპენტერი, აშშ-ის თავდაცვის მდივნის ყოფილი თანაშემწე, პენსილვანიის უნივერსიტეტში ბაიდენის ანალიტიკური ცენტრის დირექტორი:**

„მოვლენები ძალიან სავალალოდ ვითარდება საქართველოში, სადაც ოპოზიციური პარტიის ცენტრალურ ოფისზე შტურმი განხორციელდა. ვიმედოვნებ, საღი აზრი გაიმარჯვებს. ვითარების დეესკალაცია ჯერ ჯიდევ შესაძლებელია“.

*** ჟიგიმანტას პავილიონისი, ლიეტუვის სეიმის (პარლამენტის) საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:**

„როგორც ჩანს, მართალი ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ვილაცებმა ლიეტუვაში და, რა თქმა უნდა, უმაღლესი ტრიბუნის მქონე პირებმა საქართველოს ხელისუფლებაში გამაკრიტიკეს მცდელობის გამო, შემეჩერებინა, რაც ახლა ხდება. ენმ-ის სათავო ოფისზე შტურმი მოხდა გაზის გამოყენებით ისე, როგორც ერთხელ პუტინმა გააკეთა. ოპოზიციის ლიდერი დააკავეს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ოპოზიცია დიალოგისთვის მზადყოფნას გამოთქვამდა, ივანიშვილის სარდლები პუტინივით და ლუკაშენკოსავით იქცეოდნენ“.

*** მარკო მიხელსონი, ესტონეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:**

„ღრმად შეშფოთებული ვარ საქართველოში განვითარებული მოვლენებით. ოპოზიციის ოფისების შტურმი და ოპოზიციის ლიდერების დაკავება შეუთავსებელია იმ მისწრაფებებთან, რასაც, საქართველოს მთავრობა აცხადებს. ეს კრიტიკული მომენტია დემოკრატიისთვის საქართველოში“.

*** ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში:**

„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ღრმად არის შეშფოთებული მთავრობის მიერ მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავების გამო ამ დილით პარტიის სათავო ოფისში. ვწუხვართ, რომ შეერთებული შტატებისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებები თავშეკავებისა და დიალოგისკენ უგულებელყოფილი იქნა. შეძრწუნებული ვართ კრიზისის დროს საქართველოს ხელმძღვანელი პირების მიერ გამოყენებული განხეთქილების გამომწვევი რიტორიკით. ძალისმიერი მეთოდები და აგრესია არ არის საქართველოს პოლიტიკური უთანხმოებების გადაჭრის გზა. დღეს საქართველომ უკან დაიხია ევროატლანტიკურ სახელმწიფოთა ოჯახში უფრო ძლიერი დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე“.

ბოდიშს ვიხდი ამონარიდთა სიუხვის გამო, მაგრამ თქვენ უნდა დაგენახათ, რომ **მოტანილი ციტატები ისე ჰგავანან ერთმანეთს, თითქოს ერთი ადამიანის მიერ იყოს დაწერილი, ან ერთსა და იმავე ლაბორატორიაში იყოს შექმნილი და გამოყვანილი. საქმე ისაა, რომ არავის აინტერესებს საქმეში გარკვევა. უფრო სწორად, ყველაფერი წინასწარ არის გარკვეული: როდესაც ანალოგიური ვითარება დასავლეთში იქმნება, ხელისუფლებაა მართალი, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები სხვაგან ვითარდება — ოპოზიცია, ეს არის ჩვეულებრივი ორმაგი სტანდარტი, რომელსაც დასავლეთი აღარც მალავს ხოლმე.** ამერიკელებს კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრილთა ქმედებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება არ გასჭირვებიათ. მათ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენისთვის არ დაუცდიათ. პრეზიდენტმა **ბაიდენმა**, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, თვითონ გამოიტანა განაჩენი: „ეს არ იყო განსხვავებული აზრი, ეს იყო უწესრიგობა და ქაოსი. კაპიტოლიუმში შეჭრილი ადამიანები არ იყვნენ საპროტესტო აქციის მონაწილეები, ისინი ბანდის აჯანყებული წევრები და შიდა ტერორისტები არიან“.

მორჩა, განაჩენი გამოტანილია და საქმისთვის წერტილიც დასმულია. საქართველოში მოვლენები სხვა თანმიმდევრობით განვითარდა. **აქ ჯერ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი და აღსრულება მერე მოხდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასავლეთის ბოსები სხვაგვარად მსჯელობენ. იქაურ პარლამენტში შეჭრილები ტერორისტებად თუ შერაცხეს, აქაურ პარლამენტში შეჭრილები უზურპატორი ხელისუფლების უდანაშაულო მსხვერპლად გამოაცხადეს.**

აგერ ჩამობრძანდა ევროპის საბჭოს პრეზიდენტი **შარლ მიშელი,** რომელმაც მაგიდაზე მუშტი დაარტყა და თქვა:

— უნდა დასრულდეს პოლარიზაცია!

საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის რეაქცია მყისიერი იყო:

— მინდა გამოვეხმაურო ბატონი პრეზიდენტის ბრწყინვალე ინიციატივას, რომელიც შეეხება შესაძლო შეხვედრას ჩემსა და ოპოზიციას შორის. მე მინდა დავადასტურო ჩვენი მზაობა, რომ, ასე ვთქვათ, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას დეესკალაციისთვის.

**სიტუაციის დეესკალაციაზე მსჯელობენ, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი ესკალაციის გზით მიდის.**

დაველოდოთ, რომელი რომელს დაჯაბნის ამ კონკრეტულ სიტუაციაში: სიმართლე — სიცრუეს, თუ პირიქით...

**ვალერი კვარაცხელია**

## ექსპერიმენტი ადამიანებზე?

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ასტრაზენეკასა“ და „ფაიზერს“ სრული ტესტირება გავლილი არ აქვს და ეს ვაქცინები არ უნდა გაევრცელებია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას. აღნიშნული ვაქცინების უკან დგას ბილ გეიტსის ორგანიზაცია.**

# არის თუ არა დაპირებული ვაქცინები უსაფრთხო?




**საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაპირებული „სასიცოცხლოდ“ მნიშვნელოვანი ვაქცინა, რომელსაც თებერვალში ველოდებოდით, არ შემოვიდა.**
**„ძალიან დიდი კონკურენციაა და პირდაპირ გეტყვით, ძალიან დიდი ბრძოლა, ვაქცინები მესამე მსოფლიო ომია. გვინდა, მაისის ბოლომდე 200 000-მდე ადამიანი ავცრათ, ხოლო ივნისიდან ქვეყანაში დაიწყოს მასობრივი აცრები. იცით, რომ წელს ჩვენი სამიზნე არის დაახლოებით 1 700 000 მოზრდილი ადამიანის აცრა ორჯერადად. 200 000 ადამიანს ნამდვილად ავცრით მაისის ბოლომდე“, — განაცხადა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ. „საქართველო აღარ ითვლება დაბალშემოსავლიან ქვეყნად... ამან შეიძლება ცუდი როლი ითამაშა, რადგან ვაქცინა ჯერ დაბალშემოსავლიანებს გადასცეს“, — განმარტავს ლუგარის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე.**
**რატომ არ შემოვიდა სინამდვილეში დაპირებული ვაქცინა და არის თუ არა ის სანდო მოსახლეობისთვის — ამ და სხვა მნიშვნელოვან დეტალებზე საინფორმაციო სააგენტო „პატრიოტის“ ხელმძღვანელი გიორგი ირემაძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი თინათინ თოფურია გვესაუბრებიან:**



### «ფაიზერისა» და «ასტრაზენეკას» ვაქცინები დიდი რისკის შემცველია

**გიორგი ირემაძე, საინფორმაციო სააგენტო „პატრიოტის“ ხელმძღვანელი:**

— „ასტრაზენეკასა“ და „ფაიზერს“ სრული ტესტირება გავლილი არ აქვს და ეს ვაქცინები არ უნდა გაევრცელებია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას. აღნიშნული ვაქცინების უკან დგას **ბილ გეიტსის** ორგანიზაცია, კაცის, რომელიც პირდაპირ ამბობს: „ადამიანის პოპულაციის შემცირება აუცილებელია“, რაც გენოციდს ნიშნავს. პრეზიდენტმა ტრამპმა ამერიკა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან გამოიყვანა, მათთან კავშირზე უარს აცხადებს ბევრი ევროპული ქვეყანაც. იმას, რომ ვაქცინები, რომლებსაც საქართველო ელოდება, ბილ გეიტსის ორგანიზაციაშია წარმოებული, **ამირან გამყრელიძეც** არ მალავს.

„ფაიზერისა“ და „ასტრაზენეკას“ ვაქცინები დიდი რისკის შემცველია და არ შეიძლება მათი გავრცელება. ამ ვაქცინების მწარმოებლები მის გავრცელებას იმ ქვეყნებში ცდილობენ, რომლებშიც, ასე ვთქვათ, გაუვათ. საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში ეს არ გაუვიდათ, ხალხის რეაქცია იყო ძალიან უარყოფითი, აქვე დავძენ — უფალმა დაგვიფარა, ვაქცინას საქართველო არ მიიღებს!

ჩემზე უკეთ ვაქცინის შესახებ აკადემიკოსი თინათინ თოფურია გესაუბრებათ. პირადად მე, სწორედ მისგან მაქვს მიღებული ყველა ინფორმაცია. სჯობს, მასაც მიმართოთ. სამწუხაროდ, მასთან და მისნაირ პროფესიონალებთან კონსულტაციები ჩვენს „წამყვან“ ექიმებს არ აქვთ.



### «ჩვენმა ექიმებმა თავიდანვე მიაგნეს მკურნალობის სწორ ტაქტიკას, რომელიც შედეგებმა დაადასტურა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ჩვენგან გადაეღოთ მკურნალობის ტაქტიკა, თითი დაგვიქნიეს: როგორ გაბედეთ და პაციენტები იაფიანი წამლებით მოარჩინეთო!»

**თინათინ თოფურია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი:**

— კოვიდის ვაქცინებზე ბევრი რამ ისეა გასაიდუმლოებული, გეგონება, სამხედრო ოპერაციასთან გვაქვს საქმე და არა ვაქცინაციასთან.

საქმე ის არის, რომ **მწარმოებელი ცდილობს, მოიპოვოს უსაფრთხოების გარანტიები. ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორი გართულებებიც არ უნდა მოჰყვეს მისი ვაქცინის გამოყენებას, ფირმა არ აგებს არავითარ პასუხს — არც ფინანსურს, არც იურიდიულს და არც მორალურს. პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთ ქვეყანას, რომლის მთავრობაც იღებს ვალდებულებას, თავად აგოს პასუხი მოსახლეობის წინაშე. ეს მოითხოვა ყველა მწარმოებელმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვაქცინები კვლევის შუალედურ ფაზაში იყო და მიიღეს კიდეც თანხმობა.**

არსებობს ნიურნბერგის კოდექსი, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ჩამდენთა დასასჯელად, რათა მსგავსი რამ არასდროს განმეორდეს. **ამ კოდექსის მიხედვით, ადამიანებზე სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარება სასტიკად აკრძალულია. არსებობს ასევე ბიოეთიკის კოდექსი და სხვა საერთაშორისო ნორმები, რომლებიც იცავს ადამიანს ნებისმიერი მსგავსი ქმედებისგან, ასევე არის დამცველი მექანიზმი ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანს აქვს მინიჭებული სიცოცხლის, ჯანმრთელობის, მკურნალობის მეთოდის არჩევანის უფლება. ამ კანონების მიხედვით, ვაქცინაცია მიეკუთვნება იმ სამედიცინო ჩარევებს, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ მისი „ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე“!** განვითარებულ ქვეყნებში ბევრი იყენებს ამ უფლებას და დაზარალების შემთხვევაში კომპენსაციასაც ითხოვს. ამ ახალი ვაქცინების შემთხვევაში, შესაძლოა, მწარმოებლის დასჯაც მოითხოვონ.

**ვაქცინები ექსპერიმენტულია. ყველა, ვისაც ის უკეთდება, ექსპერიმენტის მონაწილეა, თუმცა არ იცის, არ არის ინფორმირებული ამის შესახებ. ეს არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა! სწორედ ამიტომაა, რომ სულ გაიძახიან, „ვაქცინაცია ნებაყოფლობითიაო“. არადა, რეალურად უკვე დაიწყო ძალდატანება აუცრელებისთვის შემოღებული შეზღუდვების სახით. აუცრელი არ დაიშვება სხვადასხვა დაწესებულებაში, ეზღუდება გადაადგილების უფლება და სხვ. გამოდის, რომ რეალურად იძულებითია, მაგრამ, ეს რომ აღიარონ, ბევრ საკანონმდებლო პრობლემას შეიქმნიან.**

ვაქცინები ნაჩქარევადაა დამზადებული და ამიტომ არასაკმარისადაა გამოცდილი; უცნობია, როგორც მათი მოსალოდნელი თანამდევი მოვლენები, ასევე მოგვიანებით რა გართულებები მოჰყვება. ყველა ეს ვაქცინა კვლევის სტადიაშია, ამიტომ მოსახლეობა უნდა იყოს სწორად ინფორმირებული. ყველას შეუძლია, იყოს წამლის გამოცდის მონაწილე, მაგრამ მან ამის შესახებ უნდა იცოდეს.

ვირუსის საწინააღმდეგო სპეციფიკური წამალი, როგორც აცხადებენ, უკვე არსებობს, მაგრამ რაღაც ვერ ვხედავთ ამ მიმართულებით აქტივობას. ჯერ მაქსიმალურად უნდა აგვცრან, ის თანხა უნდა ამოიღონ, რომელსაც ვაქცინებისგან მოელოდნენ. არნახული ტემპით მოხდა მათი შექმნაც და აპრობაციაც. ახლა საკითხავია, როგორ გადაინაწილებენ მსოფლიო ბაზარს. როგორც ირკვევა, ის წინასწარ ჰქონდათ გადანაწილებული, მაგრამ რუსეთმა აურიათ გეგმები — პირველმა გამოაცხადა, რომ ვაქცინა უკვეე მზად აქვს და დაიწყო ვაქცინაცია.

**— სანდოა რუსული ვაქცინა? მასზე მოთხოვნა ძალიან დიდი რომ არის, უკვე ვიცით...**

**— ამ ეტაპზე არც ერთი ვაქცინა არ არის სანდო! ძალიან მცირე დროა გასული, რაც ეს ახალი კორონავირუსი გამოჩნდა და ჯერ ძალიან ადრეა რაიმე დასკვნის გამოტანა. არ აქვს მნიშვნელობა, რუსულია, ამერიკული, ჩინური თუ ევროპული.**

ვაქცინები ძალიან სწრაფი ტემპით შეიქმნა. დარღვეულია როგორც ვაქცინის შექმნის, ასევე მისი აპრობაციის ვადები. არსებობს წესები და სტანდარტები, რომელთა დარღვევაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. აქ საქმე ადამიანების სიცოცხლესთან გვაქვს და ასეთი რისკები არამხოლოდ გაუმართლებელი, არამედ დანაშაულის ტოლფასია. ვაქცინის შექმნას 12-დან 18 თვემდე სჭირდება, ნაწილობრივ გამოცდას — 5 წელი, ხოლო სრულყოფილს — 10 წელი და მეტი. ჯერ ხდება მისი გამოცდა ლაბორატორიულ ცხოველებზე, რაც ამჯერად გამონაკლისის სახით გამოტოვეს.

**— რა ინფორმაციაა იმ ვაქცინის შესახებ, რომელიც საქართველოში შემოვა?**

**— ჩვენთან შემოაქვთ ოქსფორდის ვაქცინა. ინფორმაცია ოფიციალურადაა გამოქვეყნებული. ეს არის გენმოდიფირებული რეკომბინირებული ვაქცინა, რომლის მისაღებადაც შიმპანზეს ადენოვირუსია გამოყენებული. მასში ჩანერგილია კორონას დნმ. ანტისხეულების გამოყოფა იწყება 7 დღის შემდეგ, მაქსიმუმს აღწევს 14 დღეში, რაღაც დროის მერე იწყებს კლებას და 56 დღეში სართოდ აღარ არის, ამიტომ ეფექტის გასახანგრძლივებლად საჭიროა მეორე დოზაც...**

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ ვაქცინით აცრას გართულებები მოჰყვა...**

— ვაქცინაციას ბევრი ალერგიული რეაქცია მოჰყვა. იყო ანაფილაქსიური შოკის შემთხვევებიც. პირველივე დღეებში გამოაცხადეს ინგლისელებმა, რომ არ აძლევენ რეკომენდაციას, ამ ვაქცინით აცრან ალერგიული ადამიანები და რომ იქ, სადაც ვაქცინაცია მოხდება, უნდა მოეწყოს რეანიმაციის ოთახები. იყო ინფორმაცია სიკვდილის შესახებაც, მაგრამ შემდეგ უარყვეს. აგრეთვე, გაირკვა, რომ მისი ეფექტიანობა ძალიან დაბალია, განსაკუთრებით 60 წლის ზევით, ხოლო 70 წლის ზევით საერთოდ არ მოქმედებს. ამის გამო ბევრმა ქვეყანამ შეაჩერა ან შეზღუდა მისი გამოყენება. სამხრეთ აფრიკამ განაცხადა, რომ იქ გავრცელებულ ახალ შტამზე ვაქცინა არ მოქმედებს და ამოიღო ხმარებიდან. შვეიცარიამ თავიდანვე უარყო „ასტრაზენეკა“, რადგან ჩათვალა, რომ არ არის არსებული ინფორმაცია მის შესახებ საკმარისი და დამაკმაყოფილებელი.

**იმისათვის, რომ ხალხმა ნებაყოფლობით გაიკეთოს ეს აცრა, გვაჯერებენ, რომ კორონა მონსტრია და ჩვენი ცხოვრების განუყრელი კოშმარი იქნება, რომელთან ცხოვრებაც მოგვიწევს და გადარჩენის ერთადერთი პირობა ვაქცინაა. მწარმოებლები გვაფრთხილებენ, რომ ვაქცინა არ დაგვიცავს ინფიცირებისგან. ის მხოლოდ შეამსუბუქებს მიმდინარეობას. ჩემთვის ეს არგუმენტი მიუღებელია, რადგან არავინ იცის, ვის როგორ შეხვდებოდა აცრის გარეშე.**

ვირუსი არც ისეთი საშიშია და ამას აცხადებს ჩვენი ზოგიერთი ინფექციონისტიც. **ლევან რატიანი,** დიდი ხანია, ამას ამბობს, გვაიმედებს: ნუ გეშინიათ, თუ დაგემართათ, მოგარჩენთო, ვიცით, როგორც გიმკურნალოთო. ჩვენმა ექიმებმა თავიდან მიაგნეს მკურნალობის სწორ ტაქტიკას, რაც შედეგებმაც დაადასტურა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ჩვენგან გადაეღოთ მკურნალობის ტაქტიკა, თითი დაგვიქნიეს: როგორ გაბედეთ და პაციენტები იაფიანი წამლებით მოარჩინეთო! და ეს წარმატება ბევრი უსიამოვნების მიზეზი შეიქნა.

ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ეს ვაქცინები აღიარებულია ჯანმოს მიერ. იმას კი არ აზუსტებენ, რაც ინსტრუქციაში წერია — არ არსებობს დღეისათვის არც ერთი ლიცენზირებული ვაქცინა! ისინი დაშვებულია ჯანმოს მიერ მხოლოდ სასწრაფო (ექსტრემალური) გამოყენებისთვის. კლინიკური გამოცდა გრძელდება.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«მწარმოებელი ცდილობს, მოიპოვოს უსაფრთხოების გარანტიები. ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორი გართულებებიც არ უნდა მოჰყვეს მისი ვაქცინის გამოყენებას, ფირმა არ აგებს არავითარ პასუხს — არც ფინანსურს, არც იურიდიულს და არც მორალურს. პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთ ქვეყანას, რომლის მთავრობაც იღებს ვალდებულებას, თავად აგოს პასუხი მოსახლეობის წინაშე. ეს მოითხოვა ყველა მწარმოებელმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვაქცინები კვლევის შუალედურ ფაზაში იყო და მიიღეს კიდეც თანხმობა»**

**ევროკავშირი თვლის, რომ რუსეთი ჩინეთთან ერთად ცდილობს, თავისი გავლენა გააფართოოვოს ევროკავშირის წევრ იმ აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებზე, რომლებიც ვაქცინის მწვავე უკმარისობას განიცდიან. ევროკავშირი და ამერიკა კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან იმას, რომ ქვეყნებმა რუსული ვაქცინა შეიძინონ და ეს მაშინ, როცა „სპუტნიკს" ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს. რაც მთავარია, რუსული ვაქცინა სხვებთან შედარებით იაფიც არის და მისი საკმარისი ოდენობით დამზადება და ტრანსპორტირებაც პრობლემას არ წარმოადგენს.**

**ვაქცინაციის დილემა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წამლის შემოტანას მოვითხოვთ, ბატონებო, წამლის!

## სანამ ევროპა არ დაასრულებს ვაქცინაციას, მანამდე საქართველოს მსგავს ქვეყნებს ვაქცინაზე ოცნებაც კი აკრძალული აქვთ

**არ შეიძლება, შენი ქვეყნის ცუდი გიხაროდეს, სადაც უნდა იყო და როგორი პოზიციაც გქონდეს. ოპოზიციას უხარია, ქილიკობს სახელმწიფო სტრუქტურების ნებისმიერ წაფორხილებაზე და ეს არასწორია. ჩვენ ნამდვილად არ გვიხარია ის, რომ წინასწარმეტყველება აგვიხდა და უკვე მერამდენედ დაანონსებული ვაქცინების საქართველოში შემოტანის თარიღმა კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიწია. რატომ გაურკვეველი ვადით?**




**ხელისუფლებისგან მოვითხოვთ, ქმედითი ნაბიჯები გადადგას ვაქცინის შემოსატანად და არ აქვს მნიშვნელობა, რუსული იქნება, ამერიკული თუ ევროპული. მთავარია, ამ ვაქცინამ გასაკეთებელი გააკეთოს და ადამიანები მომაკვდინებელი ვირუსისგან დაიცვას. ფაქტია, რომ დასავლური ვაქცინა ჩვენთვის ახლაც შორეული პერსპექტივაა და უახლოეს მომავალშიც არ იქნება იმ ოდენობაზე საუბარი, რიგით ადამიანებამდე რომ მივიდეს. გამოსავალი რუსული ვაქცინაა და სწორედ ის უნდა შემოვიტანოთ**

„როდის იქნება კონკრეტული თარიღი, ამაზე მიდის ისევ კონსულტაციები, მე დღეს ამას აღარ დავასახელებ, ვიდრე არ იქნება კონკრეტულად ავიაბილეთის კონკრეტული თარიღი, რითაც ჩამოვა ეს ტვირთი აქ. უკვე ძალიან რთულია და მე მესმის, დაბნეულობასაც იწვევს საზოგადოებისთვის ეს გადავადებების დაანონსება", — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **თამარ გაბუნიამ.**

**ქალბატონო თამარ, პატივისცემის მიუხედავად, პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ თქვენ თარიღს, არ კი არა, ვერ გვეუბნებით, იმიტომ, რომ თვითონაც არ იცით, შემოვა თუ არა ვაქცინა საქართველოში უახლოესი 2-3 თვის განმავლობაში. როცა პირველად ითქვა საქართველოში ვაქცინის გამოგზავნის შესაძლებლობაზე, შემოდგომა დასახელდა და მერე ამ თარიღმა ლამის ერთი წლით გადმოიწია, მაგრამ პირვანდელი ვერსიისკენ მტკიცედ მივდივართ.**

ყველაფრის პარალელურად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მსოფლიოში ვაქცინაციის ტემპებით უკმაყოფილოა. **ჯანმოს მესვეურთა თქმით, თუ აცრები ამ ტემპით გაგრძელდება, 2026 წლისთვის, ე.ი., უახლოეს ხუთ წელიწადში დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 75% იქნება აცრილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხუთ წელიწადში, ვირუსი მილიონობით ადამიანს შეიწირავს. ვაქცინის შესაბამისი რაოდენობა, უბრალოდ, არ არსებობს, ანუ „ასტრაზენეკა", „მოდერნა" და „ფაიზერი" საჭირო რაოდენობით ვერ იწარმოება.** თანაც, მხოლოდ წარმოებაში არ არის საქმე — **ამ პრეპარატების დადებითი მაჩვენებლები ძალიან დაბალია და ყველაზე მთავარი — ნაჩქარევად შექმნილი ვაქცინები რა კვალს დატოვებს ადამიანების ორგანიზმში ორი და სამი წლის შემდეგ, არავინ იცის.**

ბრიტანულმა გამოცემა „თაიმსმა" 26 თებერვალს გამოაქვეყნა სტატია სათაურით „რუსეთის ვაქცინური დიპლომატიის შედეგად ევროპა კრემლის ნემსზე ჯდება". როგორც სტატიაში წერია, **ევროკავშირი თვლის, რომ რუსეთი ჩინეთთან ერთად ცდილობს, თავისი გავლენა გააფართოოვოს ევროკავშირის წევრ იმ აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებზე, რომლებიც ვაქცინის მწვავე უკმარისობას განიცდიან. ევროკავშირი და ამერიკა კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან იმას, რომ ქვეყნებმა რუსული ვაქცინა შეიძინონ და ეს მაშინ, როცა „სპუტნიკს" ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს. რაც მთავარია, რუსული ვაქცინა სხვებთან შედარებით იაფიც არის და საკმარისი ოდენობის დამზადება ტრანსპორტირებაც პრობლემას არ წარმოადგენს.** პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: რუსული ვაქცინის შეძენა **სლოვაკეთმა** გადაწყვიტა, თუმცა ლიბერალურმა ოპოზიციამ ისეთი ამბავი ატეხა, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია და მთავრობა შეიძლება გადადგეს. რატომ? იმიტომ, რომ ხელისუფლებამ უარი მიიღო ევროპულ თუ ბრიტანულ ვაქცინებზე, ზუსტად ისე, როგორც საქართველოში; და გადაწყვიტა, მოსახლეობა რუსული ვაქცინით აეცრა, მაგრამ, ამ სურვილს რაც მოჰყვა, უკვე გითხარით. ანალოგიური სცენარით განვითარდება მოვლენები საქართველოშიც — **ხალხის გადასარჩენად რუსული ვაქცინის შემოტანა ქვეყნის ღალატად შეფასდება და ოპოზიცია აუცილებლად მოითხოვს ხელისუფლების გადადგომას. ამ შემთხვევაში, მათ სრულად დაუჭერს მხარს დასავლეთი და არც ფინანსებს დაიშურებს საიმისოდ, რომ საქართველოს მოსახლეობის ასაცრელად რუსული ვაქცინა არ შემოვიდეს.**

ფაქტია, რომ **ხელისუფლებას ევროპა ატყუებს. სათვალავი აგვერია, რამდენჯერ დაგვპირდნენ ვაქცინის გამოგზავნას, თანაც მათხოვრული ოდენობის. მათხოვრულია ის ოდენობა, რომელიც მედპერსონალის სრულად ასაცრელადაც კი არ არის საკმარისი, მაგრამ ამასაც არ გვაძლევენ. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის პასუხიც ლოგიკური გაგრძელებაა იმ ჯაჭვისა, რომელიც მარცვალ-მარცვალ ააგეს დასავლელმა პარტნიორებმა და ახლა იმ ვადასაც კი არ ეუბნებიან, როდის შეძლებენ გამოგზავნას.** მანამდე რა უნდა გავაკეთოთ? სწორია, უნდა მოვითმინოთ, უნდა გავუძლოთ, არ უნდა მოვკვდეთ და, **თუ გარდაცვლილთა რაოდენობა, რომელიც მალე 4 ათასს გადააჭარბებს, კიდევ გაიზრდება, არც არაფერი — ერთეულების გარდაცვალებაა ტრაგედია, თორემ ასეულების სტატისტიკაა.**

ევროპაში სლოვაკეთის მსგავსმა ქვეყნებმა უკვე საჯაროდ დაიწყეს საუბარი, რომ დროა, რუსული ვაქცინები შეიძინონ. საქართველოს ხელისუფლების დარად, მათ არა მხოლოდ საკუთარი ერის მოტყუება მობეზრდათ, არამედ იმის ყურებაც, როგორ იხოცებიან ადამიანები კოვიდით და როგორ ვერ შველიან მათ... პოლიტიკური სვლების გამო. ჰო, სწორედ პოლიტიკური სვლაა ის, რომ ამდენი წლის განმავლობაში სანქციებით დასუსტებული რუსული ეკონომიკა ვაქცინების გაყიდვით არ მოძლიერდეს და ისევ იმ გიგანტად არ იქცეს, რომელსაც სანქციების გარეშე ვერც ევროპამ და ვერც ამერიკამ ვერაფერი მოუხერხეს.

**საქართველოში, პოზიციასა თუ ოპოზიციაში, სამწუხაროდ, სწორედ იმ ლიბერალური ფრთის ზეიმია, რომელიც მზად არის, დასავლეთს ბოლომდე დაუწვეს და ყველაფერში თვალდახუჭული გაჰყვეს.** სამწუხაროდ, ჯო ბაიდენის გამარჯვებაც ლიბერალიზმის მორიგი წარმატება იყო და ამის შედეგია ის, რასაც დღეს ვიმკით. **ადამიანების, საკუთარი ხალხის, საკუთარი ერის, საკუთარი ამომრჩევლის გადარჩენა შეგვიძლია, მაგრამ იმის გამო, რომ დასავლეთს ასე სურს, ვაქცინაზე უარს ვამბობთ. როგორ გგონიათ, რუსული ვაქცინის გაკეთებით, რუსებად გადავიქცევით, რუსულად საუბარს დავიწყებთ თუ რა მოხდება?** რეალურად, მხოლოდ ის მოხდება, რომ საქართველოში გრანტის სახით წამოსასვლელი 20 თუ 25 მილიონი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ეტაპობრივად გადმოირიცხება, შეჩერდება და რამდენიმე ადამიანი ისედაც მსუყე ბიუჯეტს კიდევ უფრო ვეღარ შეივსებს, ამიტომ არ აძლევს ხელს არავის დასალვეთის განაწყენება; **ჩუმად არის არასამთავრობო სექტორიც, რომელიც გრანტებით სწორედ დასავლეთიდან იკვებება; ჩუმად არის ოპოზიცია, რომელსაც ხელისუფლებაში დაბრუნება ესიზმრება და ეს მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის კეთილი ნების შედეგად შეიძლება მოხდეს; ჩუმადაა ხელისუფლებაც, ზედმეტად რომ არ აყვიროს ოპოზიცია და ვინ იჭყლიტება?** სწორია — რიგითი ადამიანები, მაგრამ ამჯერად საუბარი ამ ადამიანების სიცოცხლეზეა, სიცოცხლის უფლებაზე, რომელიც ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში წერია, მაგრამ, როცა სჭირდებათ, არ იცავენ. ისე, **დასავლეთისთვის საქართველოს კონსტიტუცია საქილიკო სიტყვაა, რადგან, რამდენჯერაც მოინდომეს, იმდენჯერ თავზე ისე გადაგვახიეს, ხელი არ გასვრიათ და სიტყვაც არავის შეუბრუნებია.**

ისევ „თაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიას დავუბრუნდეთ. როგორც ბრიტანელები წერენ, **სლოვაკეთი ერთადერთი არ არის, რომელსაც რუსული ვაქცინის შეძენას სურს. კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერა უნგრეთმა, რუსული ვაქცინისადმი ინტერესი ხმამაღლა დაადასტურეს ჩეხეთმა და ხორვატიამ, საფრანგეთიც არ არის წინააღმდეგი, რუსებთან ვაქცინის შესყიდვის თემა გაიაროს და ამ დროს ევროკომისიის თავმჯდომარე ურსულა ფონ დერ ლაიენი სვამს კითხვას — რატომ ყიდის რუსეთი ვაქცინას, ჯერ ხომ საკუთარი მოსახლეობის აცრა არ დაუსრულებია?** ეს ბოლო ფრაზა არის თუ არა პირდაპირი გზავნილი საქართველოსთვის, რომ, სანამ მთელი ევროპა არ მორჩება ვაქცინაციას, მანამდე საქართველოს დარ ქვეყნებს ვაქცინაზე ოცნებაც კი აკრძალული აქვთ. საინტერესო კიდევ, იცით, რა არის? რუსული ვაქცინა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას ხომ აქვს აღიარებული, ანუ ნებადართული და სერთიფიცირებულია, ყველაფერი კანონიერია და... კანონით მოქმედების უფლება არ აქვს არათუ რიგით ადამიანს, არამედ ქვეყანას. და მათ ჰქვიათ სტრატეგიული პარტნიორები. **საკუთარი ინტერესები და სტრატეგია საქართველოზე აშკარად კარგად აქვთ მორგებული, წუნს ვერ დაუდებ.** ამდენი ხანია, დავდივართ ერთ წრეზე; ამდენი ხანია, ვირებს რომ ჯოხით წინ ბალახს დაუკიდებენ, სწრაფად რომ იარონ, ისე დავყავართ და მაინც არ გვსურს მოჯადოებული წრიდან გასვლა. არადა, ყველაზე კარგი მომენტი ახლაა, **სათქმელი ხმამაღლა ვთქვათ და ადამიანების სიცოცხლის სახელით დამოუკიდებელი ნაბიჯი გადავდგათ.** ეს ხომ არ არის რაიმეს აღიარება ან პარტნიორობა, ან ჩახუტება და დამეგობრება — ორი სახელმწიფო თანხმდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ვაქცინაზე, ერთი იძლევა ვაქცინას, მეორე იხდის ფულს. ეს დასავლეთშიც გადასარევად იციან, მაგრამ **არ სურთ, რუსეთის ეკონომიკის წამოწევაში მათ დაქვემდებარებაში (სხვა სიტყვა ვერ მივუსადაგეთ) მყოფმა ქვეყნებმა საკუთარი წვლილი შეიტანონ.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდის დაიწყება საყოველთაო ვაქცინაცია საქართველოში. მოსახლეობის მასობრივი აცრა კი არა, ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე ადამიანთა ნაწილის აცრა ვერ ხერხდება, ამიტომ ხელისუფლებისგან **მოვითხოვთ, ქმედითი ნაბიჯები გადადგას ვაქცინის შემოსატანად და არ აქვს მნიშვნელობა, რუსული იქნება, ამერიკული თუ ევროპული. მთავარია, ამ ვაქცინამ გასაკეთებელი გააკეთოს და ადამიანები მომაკვდინებელი ვირუსისგან დაიცვას. ფაქტია, რომ დასავლური ვაქცინა ჩვენთვის ახლაც შორეული პერსპექტივაა და უახლოეს მომავალშიც არ იქნება იმ ოდენობაზე საუბარი, რიგით ადამიანებამდე რომ მივიდეს. გამოსავალი რუსული ვაქცინაა და სწორედ ის უნდა შემოვიტანოთ.**

**წამლის შემოტანას მოვითხოვთ, ბატონებო, წამლის!**

**ბესო ბარბაქაძე**

გლობალიზაციის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისეთ წიგნებში, როგორებიც არის „შეტოპა თუ არა გლობალიზაციამ ძალიან შორს“ (1997 წ.) და „გლობალიზაციის პარადოქსი“ (2011 წ.) როდრიკი დაწვრილებით აღწერს, როგორ გაანადგურა მილიონობით სამუშაო ადგილი გლობალიზაციამ, რომლებიც ეკუთვნოდა ოდესღაც აყვავებულ მუშათა კლასს და ამასთანავე, კიდევ უფრო დააზარალა ლათინური ამერიკისა და აფრიკის (საჰარის სამხრეთით) ქვეყნები, მათგან ზოგიერთში ეკონომიკა სრულიად ჩამოიშალა.**

# გაშფოთებთ შემოსავლების უთანასწორობა?

## ამის ხელშემწყობი გლობალიზაციაა

**აშშ-სა და სრულიად მსოფლიოში დაიწყო ღრმა და ავისმომასწავებელი ცვლილებები, რომლებიც კარგს არაფერს გვიქადის მომავალში, — წერს ეკონომისტი უილიამ მოლონი გამოცემა The Hill-ში.**

„შემოსავლების უთანასწორობაზე ათწლეულების განმავლობაში წერდნენ და ლაპარაკობდნენ, მაგრამ, ამ მდგომარეობის საყოველთაო დაგმობის მიუხედავად, მისი მიზეზები და შედეგები არასწორად იყო გაგებული ან ჩაკარგული ეკონომიკურ ჟარგონებში. ამ თავსატეხის დაკარგული ფრაგმენტი იყო მძლავრი კავშირი შემოსავლების უთანასწორობასა და გლობალიზაციას შორის.

**გლობალიზაციას,** თავისთავად რთულ მოვლენას, წარმოაჩენენ, როგორც სიკეთეს, რომელიც ტექნოლოგიების ეფექტიანობისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის წყალობით დროთა განმავლობაში უზარმაზარ სარგებელს მოუტანს როგორც მომუშავეებს, ისე მომხმარებლებს, მაგრამ 2008 წლის ფინანსური კრიზისით შექმნილი რეალობა 2020 წლის პანდემიამდე სულ სხვა იყო.

**გლობალიზაცია, რომელიც სულაც არ არის პროგრესის მწვერვალი, არის ფასადი, რომელიც ფარავს კაცობრიობის ისტორიაში სიმდიდრისა და შემოსავლების ყველაზე დიდ განაწილებას, რომელსაც მომხმარებლებისა და მუშებისთვის მხოლოდ უმნიშვნელო სარგებელი მოაქვს. ძირითად სარგებელს კი ნახულობს ადამიანების 1 პროცენტი და მათი დამხმარეები. ისიც აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციას მოაქვს ეკონომიკური ნგრევა და ადამიანების ტანჯვა-წვალება.**

ბევრი არ ხუჭავს თვალს გლობალიზაციით გამოწვეულ საფრთხეებზე. მათ შორის არიან ისინი, ვისაც ადრე „პანიკიორებად“ მიიჩნევდნენ, ახლა კი მათ ხმას ისე განიხილავენ, როგორც მეინსტრიმს. ამ მხრივ გამოირჩევა ჰარვარდის სკოლის ფორდის სახელობის საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ფონდის პროფესორი **დენი როდრიკი.** ათეული წლის განმავლობაში ჰარვარდში, მანამდე კი კოლუმბიისა და პრინსტონის უნივერსიტეტებში, ჩატარებული კვლევების საფუძველზე როდრიკმა დამაჯერებლად წარმოაჩინა, რომ გლობალიზაციამ საშუალება მისცა ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, შეექმნათ მსოფლიო სისტემა იმ აშკარა მიზნით, თავი აერიდებინათ გადასახადებისთვის, რეგულაციებისთვის, პროფკავშირებისთვის, გარემოს დაცვის კანონებისთვის და განსაკუთრებით დემოკრატიულად არჩეული მთავრობების წინაშე ანგარიშვალდებულებისთვის.

ისეთ წიგნებში, როგორებიც არის **„შეტოპა თუ არა გლობალიზაციამ ძალიან შორს“** (1997 წ.) და **„გლობალიზაციის პარადოქსი“** (2011 წ.) **როდრიკი დაწვრილებით აღწერს, როგორ გაანადგურა მილიონობით სამუშაო ადგილი გლობალიზაციამ, რომლებიც ეკუთვნოდა ოდესღაც აყვავებულ მუშათა კლასს და ამასთანავე, კიდევ უფრო დააზარალა ლათინური ამერიკისა და აფრიკის (საჰარის სამხრეთით) ქვეყნები, მათგან ზოგიერთში ეკონომიკა სრულიად ჩამოიშალა.**

ზოგჯერ რეალობა შეიძლება გაბუნდოვანდეს, თუ დიდი ლინზით შევხედავთ, მაგრამ მკაფიოდ დავინახავთ, თუ ერთი ქვეყნის მიკროსკოპით დავაკვირდებით. სწორედ ასეა საქმე ფრანგი სოციოლოგის, **კრისტოფ გიის** წიგნის **„ელიტების დაისი: საფრანგეთის აყვავება, პერიფერია და მომავალი“** (2019 წ.) მიმართ. წიგნმა ინგლისურენოვანი სამყაროს აღიარება მოიპოვა: **„საგანგაშო და გულში ჩამწვდომი... რაღაც უფრო ღრმა, რომელიც ვრცელდება საფრანგეთის საზღვრებს გარეთ“,** — წერდა New York Times-ი; **„როგორ ყოფს ქვეყანას ნაწილებად საფრანგეთის ელიტებსა და მუშათა კლასს შორის არსებული უფსკრული“,** — The Guardian-ი. **„ეს წიგნი გაიძულებთ თქვენ აღელდეთ და დაეჭვდეთ თქვენს მორალურ სიმტკიცეში“,** — Financial Times-ი.

გიი ამტკიცებს, რომ „ლიბერალის ძველი დოქოტომია (გაორება, ორად გაყოფა) კონსერვატორის წინააღმდეგ უკვე აღარ არის აქტუალური. ამის ნაცვლად ის ხედავს საზოგადოებაში ახალ უფსკრულს, რომელიც განაცალკევებს მათ, ვინც იგებს გლობალიზაციის ახალ „ეკონომიკურ დღის წესრიგში“, და მათ, ვინც აგებს. ელიტები — ესენი არიან არა მხოლოდ ტრადიციული უმაღლესი კლასები, არამედ მხარდამჭერი და პროფესიონალი კლასებიც, რომელთა გარეშეც ეს სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია ვერ შეძლებდა წარმოებას. ელიტები „ხელში იგდებენ „ოფშორული წარმოებისა და თავისუფალი ვაჭრობის“ უპირატესობის დიდ ნაწილს, მუშათა კლასი კი გარიყულია და განწირული, იცხოვროს თავისი ცხოვრებით, ისე, როგორც მეორეხარისხოვანმა მოქალაქეებმა“, — ამტკიცებს გიი.





დენი როდრიკი



კრისტოფერ გიი




**„ელიტები — ესენი არიან არა მხოლოდ ტრადიციული უმაღლესი კლასები, არამედ მხარდამჭერი და პროფესიონალი კლასებიც, რომელთა გარეშეც ეს სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია ვერ შეძლებდა წარმოებას. ელიტები „ხელში იგდებენ „ოფშორული წარმოებისა და თავისუფალი ვაჭრობის“ უპირატესობის დიდ ნაწილს, მუშათა კლასი კი გარიყულია და განწირული, იცხოვროს თავისი ცხოვრებით, ისე, როგორც მეორეხარისხოვანმა მოქალაქეებმა“**

მისი მონაცემები აჩვენებს, რომ **დაბეჩავებული მუშათა კლასი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას (60%) შეადგენს და შობადობის გაცილებით მაღალი დონის გამო უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ელიტები, რომლებსაც სულ უფრო ცოტა შვილს აჩვენენ — ეს არის ფაქტები, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ გავლენას იქონიებს საფრანგეთის მომავალზე.** შესაბამისად, პოლიტიკური კლასის ზოგიერთი წარმომადგენლისთვის, აგრეთვე, ზოგიერთი კულტურული ლიდერი, ინტელექტუალი თუ ჟურნალისტი განგაშს განიცდის იმის გამო, რომ „კლასობრივი კონფლიქტის ახალი ფორმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ არ არსებობდა, ახლა ყველასთვის აშკარაა“.

გამაოგნებელი უთანასწორობის ზრდა და სიმდიდრის უპრეცედენტო გადანაწილება, რომელიც გლობალიზაციამ გამოიწვია, კარგად ჩანს 1970-დან 2007 წლამდე აშშ-ის შემოსავლების განაწილების მონაცემებში. ეს ის პერიოდია, როცა გლობალიზაციას ხელში ეჭირა მსოფლიო ეკონომიკა. 1970 წელს ყველაზე მდიდარი ოჯახების 19%-ის შემოსავლები იყო მთლიანი შემოსავლების 9%, 2007 წელს — 24%. ანალოგიური ვითარებაა საშუალო შემოსავლებშიც. 1978 წელს 1%-ის საშუალო შემოსავალი იყო 10-ჯერ მეტი, ვიდრე დანარჩენი 90%-ის; 2007 წელს კი — 30-ჯერ მეტი.

**ეკონომიკას ტყუილუბრალოდ არ ეძახიან პირქუშ მეცნიერებას, როგორი რთული გადმოსაცემი ან გასაგები უნდა იყოს ეს სტატისტიკური მონაცემები, ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოშიც ღრმა და ავისმომასწავებელი ცვლილებები დაიწყო და ისინი კარგს არაფერს გვიქადის მომავალში.**

**გლობალიზაცია, რომელიც სულაც არ არის პროგრესის მწვერვალი, არის ფასადი, რომელიც ფარავს კაცობრიობის ისტორიაში სიმდიდრისა და შემოსავლების ყველაზე დიდ განაწილებას, რომელსაც მომხმარებლებისა და მუშებისთვის მხოლოდ უმნიშვნელო სარგებელი მოაქვს, ძირითად სარგებელს კი ნახულობს ადამიანების 1 პროცენტი და მათი დამხმარეები. ისიც აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციას მოაქვს ეკონომიკური ნგრევა და ადამიანების ტანჯვა-წვალება**

iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

THE HILL

**ამერიკაში სულ უფრო საინტერესოდ ვითარდება მოვლენები. ჯო ბაიდენი თეთრ სახლში თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ამერიკა კი — თავისი ცხოვრებით. სანამ ტეხასის შტატს თოვლი და ყინვა უტევს, ბაიდენი თბილ თეთრ სახლში გლობალურ დათბობაზე მსჯელობს.**

სკანდალი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შეტყობა სულ უფრო რთული საქმე ხდება, განსაკუთრებით, თუ ეს მოვლენები ეწინააღმდეგება იმას, რასაც ლაპარაკობენ ე.წ. სიღრმისეული სახელმწიფოს წარმომადგენელი უფლებამოსილი პირები, მაგრამ საინფორმაციო რესურსმა Real Raw News-მა ეს მოახერხა.**

# «აღარ გეყოთ ვაქცინებით ფულის კეთება, დოქტორო ფაუჩი?!»


რონ დესანტისი


ენტონი ფაუჩი

## ფლორიდის გუბერნატორმა რონ დესანტისმა ჯო ბაიდენს შეუტია


ჯო ბაიდენი

თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის დაკავების შემდეგ ჯო ბაიდენი ხშირად მსჯელობს კოვიდ-19-ზე: „ამერიკისთვის პანდემიაზე საშიში მხეცი არ არსებობს“; „პანდემია“ დიდხანს გაგრძელდება, მას უნდა ვებრძოლოთ მასობრივი ვაქცინაციით“; „ლოკდაუნის რეჟიმი უნდა შენარჩუნდეს“ და ა.შ. სოციალურ ქსელებში ამ „მსჯელობის“ საწინააღმდეგო ცნობებს კი ციფრული სივრცის მცველები ანადგურებენ, თუმცა ალტერნატიული ინფორმაცია ზოგჯერ მაინც აღწევს საზოგადოებამდე.

**აი ერთი ისტორია, რომელიც ნათლად წარმოაჩენს, რომ აშშ-ის ხელისუფლების ზედა ფენებში „პანდემიაზე“ ერთნაირი თვალსაზრისი არ არსებობს.**

10 თებერვალს გაიმართა აშშ-ის პრეზიდენტის ვირტუალური (ოღონდ პირდაპირ რეჟიმში) შეხვედრა ჯანდაცვის სისტემის მაღალჩინოსნებთან პანდემიის თემაზე. ამ დახურული ვიდეოკონფერენციის ოქმი არ არსებობს, მაგრამ არის ვიდეოკონფერენციის შინაარსის ვერსია, რომელიც მოამზადა საინფორმაციო რესურსმა Real Raw News-მა (სპეციალიზებულია „აკრძალული“ ამბების გავრცელებაზე).

ვიდეოკონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის (CDC) ახალი დირექტორი **როშელ ვალენსკი** და ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომელი **ენტონი ფაუჩი,** რომელსაც წარმოადგენენ, როგორც მთავარ ექსპერტს კოვიდ-19-ის საკითხებში. ფაუჩის დამსახურება არის ის, რომ კოლეგებზე უკეთ შეუძლია მოქალაქეების შეშინება პანდემიის საშინელებებით. და აი მისი ბოლო ახალი ამბავი: **„აშშ-ში მცხოვრებთ, როგორც ჩანს, არა მხოლოდ წელს, არამედ 2022 წლის ბოლომდე მოუწევთ ნიღბების ტარება“.**

ბაიდენისა და ჯანდაცვის მაღალჩინოსნების შეხვედრაზე განხილული იყო საკითხი ფლორიდის შტატში კოვიდ-19-თან ბრძოლის ორგანიზების შესახებ. ამ შტატის მთავრობამ, გუბერნატორ **რონ დესანტისის** განკარგულებით, უარი განაცხადა ფედერალური ცენტრის მოთხოვნით რამდენიმე შეზღუდვის დაწესებაზე.

შტატის დაუმორჩილებლობაზე ლაპარაკისას ბაიდენმა განაცხადა, რომ აკრძალავდა ფლორიდის შტატთან საჰაერო და საავტომობილო მიმოსვლის, სანამ შტატში ვაქცინაცია მასობრივად არ ჩატარდებოდა. ენტონი ფაუჩის თქმით, შტატის მიერ ფედერალური მთავრობის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეიძლება ფუჭად იქცეს პანდემიის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა, რადგან ფლორიდა არის ადგილი, სადაც კოვიდ-19 მუტაციას განიცდის და გამორიცხული არ არის, რომ კიდევ უფრო საშინელი ახალი ვირუსი იქიდან გავრცელდეს. როშელ ვალენსკიმ კი დასძინა: **შტატის მცდელობა, არად ჩააგდოს ფედერალური მთავრობის მოთხოვნა საავტომობილო და საჰაერო მიმოსვლების აკრძალვის შესახებ „იქნება ამორალური, ეგოისტური და, შესაძლოა, უკანონოც“.**

შემდეგ ბაიდენმა დესანტისი გალანძღა იმის გამო, რომ ფლორიდის ეკონომიკა „ღია“ დატოვა „კოვიდის ბნელ დღეებში“.

საპასუხოდ, გუბერნატორმა მოიყვანა აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის სტატისტიკური მონაცემები, რომელთა თანახმადაც ქვეყნის ფონზე შტატში შექმნილი ვითარება სულაც არ არის ცუდი. შემდეგ კი მოკლედ მოჭრა: **„მე არ დაგემორჩილებით... ფლორიდა კატეგორიული წინააღმდეგია. მოგზაურობის აკრძალვა ან გადაადგილების შეზღუდვა იქნება ფედერალური ხელისუფლების ბოროტად და უხეშად გამოყენება რაიმე იურიდიული ან მეცნიერული დასაბუთების გარეშე. ჩვენ კოვიდ-19-ის ვითარებას ვაკონტროლებთ, თქვენ კი ჩვენს შტატსა და მის მცხოვრებლებზე უკანონო ძალაუფლების დამყარებას ცდილობთ“.**

ბაიდენმა საპასუხოდ ვერაფერი მოიფიქრა და განუცხადა: **„კეთილი, კაცო, ფლორიდას სჭირდება ჩვენი დახმარება, თქვენ კი გჭირდებათ ვაქცინები, რომლებიც რთული საშოვნელია (C’mon, man, Florida needs our help, and you need vaccines, which are hard to come by, isnt that right, Dr. Fauci)“.** რონ დესანტისმა კი მიუგო, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა შტატის ჯანდაცვის ორგანიზაციების დასკვნებს, რომლებსაც უფრო ენდობა, ვიდრე ფინანსურად მოტივირებულ ფედერალ მაღალჩინოსნებს. ეს იყო პირდაპირი გამოხდომა პრეზიდენტის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ფაუჩი ლობირებს Big Pharma-ს ინტერესებს, კერძოდ, ვაქცინის წარმოებას. „აღარ გეყოთ ვაქცინებით ფულის კეთება, დოქტორო ფაუჩი?!“ — ჰკითხა გუბერნატორმა ვაქცინის წარმოების ლობისტს. შემდეგ მიმართა პრეზიდენტს: **„ჯო, თუ თქვენ ასე მოქმედებას განაგრძობთ, მე უფლებას მივცემ შტატის ეროვნულ გვარდიას, დაიცვას შტატის მცხოვრებთა მოძრაობა“.** ამ ფრაზამ ბაიდენს თავმოყვარეობა შეულახა: **„მომმართეთ, როგორც ბატონ პრეზიდენტს ან პრეზიდენტ ბაიდენს“. ამაზე ფლორიდის გუბერნატორმა რამდენიმე სიტყვა თქვა არანორმატიულ ლექსიკაზე და ვიდეოკონფერენცია დატოვა.**

მოკლედ, ამერიკაში სულ უფრო საინტერესოდ ვითარდება მოვლენები. ჯო ბაიდენი თეთრ სახლში თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ამერიკა კი — თავისი ცხოვრებით. სანამ ტეხასის შტატს თოვლი და ყინვა უტევს, ბაიდენი თბილ თეთრ სახლში გლობალურ დათბობაზე მსჯელობს.

რამდენიმე დღის წინათ საკაბელო ტელეარხ NSNBC-ზე გამოვიდა თეთრი სახლის მრჩეველი კოვიდ-19-ის საკითხებში — **ენდი სლავიტი,** რომელმაც ორ შტატში — კალიფორნიასა და ფლორიდაში — კორონავირუსის პანდემიით შექმნილი ვითარება ერთმანეთს შეადარა. **კალიფორნიის გუბერნატორმა, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა გევინ ნიუსომმა ყველაზე მკაცრი შეზღუდვები დააწესა „პანდემიასთან საბრძოლველად“. კალიფორნიაში მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურებულია, მოიმატა ფსიქიკური დაავადებების შემთხვევებმა. ფლორიდის გუბერნატორს, რესპუბლიკელ რონ დესანტისს თავის „სამფლობელოში“ მსგავსი შეზღუდვები არ აქვს, იქ ნიღბების ტარებაც კი არ არის სავალდებულო. გაკონტრების შემთხვევებიც მინიმალურია.** ენდი სლავიტი იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით ინფიცირებულების, ჰოსპიტალიზებულებისა და გარდაცვლილთა სტატისტიკური მონაცემები ფლორიდაში უკეთესია, ვიდრე კალიფორნიაში.

ამაზე თეთრი სახლის მრჩევლის კომენტარი „ვირტუოზული“ იყო: „ორ შტატს შორის განსხვავება ჩვენი ახსნა-განმარტების ჩარჩოებიდან გადის“.

**ბაიდენმა დესანტისი გალანძღა იმის გამო, რომ ფლორიდის ეკონომიკა «ღია» დატოვა «კოვიდის ბნელ დღეებში». საპასუხოდ, გუბერნატორმა მოიყვანა აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის სტატისტიკური მონაცემები, რომელთა თანახმადაც ქვეყნის ფონზე შტატში შექმნილი ვითარება სულაც არ არის ცუდი. შემდეგ კი მოკლედ მოჭრა: «მე არ დაგემორჩილებით... ფლორიდა კატეგორიული წინააღმდეგია!»**

**«ჯო, თუ თქვენ ასე მოქმედებას განაგრძობთ, მე უფლებას მივცემ შტატის ეროვნულ გვარდიას, დაიცვას შტატის მცხოვრებთა მოძრაობა». ამ ფრაზამ ბაიდენს თავმოყვარეობა შეულახა: «მომმართეთ, როგორც ბატონ პრეზიდენტს ან პრეზიდენტ ბაიდენს». ამაზე ფლორიდის გუბერნატორმა რამდენიმე სიტყვა თქვა არანორმატიულ ლექსიკაზე და ვიდეოკონფერენცია დატოვა**

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ცხოვრება იესოსი“ რენანმა 1863 წელს გამოაქვეყნა. ადვილი წარმოსადგენია, რა განგაშს ატეხდნენ სარწმუნოების ოფიციალური წარმომადგენლნი. აუწერელია ის უშვერსიტყვაობა და ცილისწამება, რომელიც რენანის მიმართ ითქვა, მაგრამ ბრძენი რენანი წარბსაც არ იხრიდა. მას მტკიცედ სწამდა, რომ თვით იესოც ჭეშმარიტების სიყვარულისთვის აწამეს ფარისევლებმა. გადიოდა დრო. რენანს სახელი და დიდება ემატებოდა. ბოლოს მადლიერმა ფრანგმა ერმა სამღვდელოებისგან „ღვთისმგმობლად“ შერაცხილი რენანი წმინდანთა შორის ჩარიცხა და მის სამარეზე ბრეტანში დიდებული ძეგლი აღმართა.

# კაცი, რომელმაც შექმნა ძლიერი სახალხო მოძრაობა და ახალ სარწმუნოებას ჩაუყარა საძირკველი

# სტალინს ღვთის პატივისცემაში შეცდომა არ დაუშვია

**XX საუკუნე გეოპოლიტიკური კატაკლიზმებისა და გიგანტური სოციალური აფეთქებების ასწლეულია. მსგავსი რყევები კაცობრიობას არ განუცდია თავისი განვითარების ისტორიაში. ბორბლის შემქმნელი ცივილიზაცია საუკუნეების განმავლობაში ნელა მიაგორებდა ადამიანთა გონიერებასა და ცოდნას. პრიმიტიულ ქვასანაყებში მზადდებოდა ნახტომი სრულიად ახალ სამყაროში, რომელსაც კატალიზატორი სჭირდებოდა. და აი ისიც: დედამიწა შეტორტმანდა და უძრავმა თუ მოძრავმა სხეულებმა ზოგმა სწორხაზოვნად, ზოგმაც ქაოსურად დაიწყო მოძრაობა.**



იშლებოდა და ინგრეოდა დიდი იმპერიები. ჩინ-მედლები ცვიოდა დიდგვაროვანთა მხარბეჭიდან. კუნძზე იდებოდა ტვინით სავსე თავები და ჯალათი მონდომებით კვეთდა მათ. სისხლის მდინარეები გაზაფხულის წვიმის ნიაღვრებთან ერთად უერთდებოდა ზღვებსა და ოკეანეებს. აღარ იყვნენ **რომანოვების** დინასტიის სახელგანთქმული მონარქები, დავიწყების ბურუსში ეხვეოდა **ჰოჰენცოლერნების** საუკუნეებგამოტარებული დიდება. მთავრდებოდა ჰაბსბურგების უძლეველობის მითი. სამუდამოდ დადუმდა ოსმალთა იმპერიის ცხენთა ფლოქვების გამაყრუებელი თქარათქური, ვიღას ახსოვდა მონღოლთა უძლეველი იმპერია. **რომანოვების მეფის ნატახტარზე ბოლშევიკები მოსულიყვნენ, იტალიაში ფაშისტებს გაეშალათ ფრთები, ესპანეთში დაემხო ხოსე რივერას დიქტატურა და დამყარდა რესპუბლიკა, ვაიმარში კი გააფთრებით მზადდებოდა ნაცისტების გამარჯვებისადმი მიძღვნილი აღლუმი. ევროპა დიქტატურამ მოიცვა.** ყველა დიქტატორული ქვეყანა თავის დიქტატორს უკმევს სანთელს და ადიდებს; ყველას უნდა, ძალისმიერი მეთოდებით აღიდგინოს დიდება. ევროპა მოქმედ ვულკანს ჰგავს, რომელიც სხვადასხვა მხარეს ანთხევს გავარვარებული ლავის შხეფებს. ყველა ქვეყანას თავისი ნოეს კიდობანი აქვს, მაგრამ ამ კიდობანში ყველას ადგილი არ არის, კიდობნის გარეთ დარჩენილთ კი საშინელი სამსჯავრო ელით. ყველა დიქტატორს თავისი ისტორიკოსი და ჟამთა აღმწერელი ჰყავს, ვისაც როგორ შეუძლია და სურს, ისე იპყრობს, და ვისაც როგორ სურს, ისე ადგენს სახელმწიფოთა შორის საზღვრებს. **მდიდარი ღარიბს ართმევს, ძლიერი სუსტს ჩაგრავს, პატარას დიდი იერთებს და მონად იყენებს, მაგრამ ყველა ამ მჩაგვრელს ჰყავს თავისი მჩაგვრელი სახელმწიფო, სადამსჯელო მანქანა, რომლის წინაშე უძლურია სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ადამიანი, თუმცა ამ სახელმწიფოსაც ჰყავს თავისი მახრჩობელა — მსოფლიოს ერთმმართველი ქვეყანა და პატრონი, რომელმაც გაძარცვა მსოფლიოს ყველა დიდი თუ პატარა სახელმწიფო.**

პლანეტის ყველა მცხოვრებისთვის შიშისმომგვრელად გაისმის ძველი და ახალი სახელები: **ლენინი, ჰიტლერი, მუსოლინი, სტალინი, პოლ-პოტი, ფრანცისკო ფრანკო, ფიდელ კასტრო, ჩაუშესკუ, სადამ ჰუსეინი, მუამარ კადაფი, მაო ძედუნი.** შედარებით იოლია, მიჰყვე **ალექსანდრე მაკედონელის** ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებას და ქრონოლოგიურად ასახო. მაკედონელი გმირია ტრაგედიისა, რომელსაც სხვა პერსონაჟი თითქმის არ ჰყავს — მოქმედ პირთა და შემსრულებელთა ჩამონათვალი ძალზე მცირეა. „მავრის“ გაკეთებული საქმე კი ვეებაა. ალბათ, მხოლოდ **გალაკტიონს** განუსაზღვრავს თავისი გენია — **„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“** არ ვფიქრობ, რომელიმე ზეკაცმა შეძლოს და შეცუროს იმ ოკეანეში, რომელშიც ეს ტიტანი ვეშაპები ზოგჯერ ერთმანეთს გაურბიან, ხშირად კი ერთმანეთს დაეტაკებიან ხოლმე.

**აკადემიკოსმა ნიკო მარმა 1911-1912 წლებში სვანეთში ორჯერ იმოგზაურა და ეს ასახა თავის ნაშრომში „მოგზაურობა სვანეთში 1911-1912 წლებში“, რომელიც პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიამ 1917 წელს დაბეჭდა თავის ჟურნალში „კრესტიანსკი ვოსტოკ“. ამ ნაშრომში ნიკო მარი წერს, რომ სვანეთის ერთ-ერთი ეკლესიის კედლის მოხატულობაში აღმოაჩინა ვეშაპის ფრესკა, რის გამოც განცვიფრებასა და აღფრთოვანებას ვერ მალავს და ამბობს: „მე აღმოვჩნდი არა მარტო ათასწლეულებგამოვლილი კულტურის სამყაროში, არამედ ვეშაპის პატივისმცემელთა საზოგადოებაში“. მე იმ საზოგადოებას ვეკუთვნი, რომლის ეკლესიის კედელზე აღმოჩნდა ვეშაპის ფრესკა, ამიტომ ნუ დამძრახავთ, მე ჩემს ვეშაპზე ვიქნები მლოცველი და პირჯვრის გადამწერი.**

## ისრაელში იესოს ნაკვალევზე

2010 წელს მეგობართან ერთად ისრაელის ქალაქ იერუსალიმში გავემგზავრე, მინდოდა, უფრო ახლოს გავცნობოდი ქრისტეს ცხოვრებას, გამევლო მის ნაფეხურებზე, რასაც შეეძლო უფრო ახლოს მოეტანა ჩემთან ქრისტეს მცნებები და სიყვარული. ვიზიტი კარგად დაიწყო. იმ ადგილების გაცნობის მიზნით, რომლებიც ქრისტეს ნაკვალევად არის ცნობილი, თავისი სატრანსპოტრო საშუალებით დილიდან საღამომდე გვემსახურებოდა **თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.** ერთი კვირის განმავლობაში დავდიოდით ქრისტეს კვალდაკვალ, დაწვრილებითი ახსნა-განმარტებებით. მოვინახულეთ არა მხოლოდ იერუსალიმის ახლომახლო მდებარე ღირსშესანიშნაობანი, რომლებიც ქრისტეს სახელთან არის დაკავშირებული, არამედ ვიყავით ეგვიპტეში და ვნახეთ ჭა, რომლიდანაც წყალს ასმევდნენ ყრმა იესოს. როდესაც ჩვენთვის განკუთვნილი ვიზიტის დრო ამოიწურა, რესტორანში მოეწყო გამოსამშვიდობებელი საღამო. ურთიერთობა გაცილებით ახლობლური იყო, ვიდრე გაცნობის პირველ დღეებში. სუფრაც ხალისიანად წარიმართა. ჩვენმა დიდმა მეცნიერმა, რომელიც ჩემს მეურვეობას ცდილობდა ჩემი დამტვრეული რუსულის გამო, მკითხა: ამ ერთი კვირის ინტენსიური მეცადინეობის შემდეგ მეტ-ნაკლებად თუ მიუახლოვდი ქრისტესო? მე არა მხოლოდ ღმერთის, არამედ ადამიანის მიმართაც ყოველთვის ალალი ვარ და დაუფიქრებლად ვუპასუხე: ამ ერთი კვირის შემდეგ ქრისტეს არათუ დავუახლოვდი, არამედ კიდევ უფრო დავშორდი-მეთქი. ზოგიერთმა იქ მსხდომმა ჩემი გულახდილობა ხუმრობად მიიღო, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რასაც ვამბობდი, და ჩემი ხელმძღვანელიც მიხვდა ჩემს გულწრფელობას.

— ბატონო გრიშა, — მითხრა ხელმძღვანელმა, — ასეც ვფიქრობდი, რომ ვერც „დაბადების“ საკითხში და ვერც ბევრ რამეში ვერ დაგარწმუნებდით. მე ერთ რამეს გირჩევთ: გაგონილი გექნებათ ცნობილი ფრანგი მწერლისა და მკვლევარის — **ერნესტ რენანის** სახელი. მან მე-18 საუკუნეში დაწერა წიგნი **„ქრისტეს ცხოვრება და შემოქმედება“.** თუ ეს წიგნი თქვენთვის ხელმისაწვდომია, მისი დახმარებით თქვენთვის ნათელი და გასაგები გახდება ბევრი რამ. რენანის ეს წიგნი თავის დროზე დიდ **ილია ჭავჭავაძეს** უთარგმნია ქართულ ენაზე. ასე რომ, ერთ-ერთი ეგზემპლარი ქართული თარგმანისა დღეს ხელთ მაქვს და სწორედ ამ წიგნის მთავარ მოქმედ პირსა და სტალინს შორის პარალელების გავლებას ვაპირებ. სანამ თხრობას დავიწყებ, გაგაცნობთ ავტორს წიგნისა „ქრისტეს ცხოვრება და შემოქმედება“:

**ერნესტ რენანი.** რატომ შემოვიტანე თხრობაში ფრანგი მწერლის სახელი და გვარი, ქვევით უფრო გასაგებად ავხსნი.

**შეიძლება ბევრ თქვენგანს არც კი სმენია ეს სახელი და გვარი. ეს ის ერნესტ რენანია, რომელმაც თამამად გაუსწორა თვალი ჭეშმარიტებას, ფარდა აჰხადა საიდუმლოებით მოცულ ჩვენს სარწმუნოებრივ ცხოვრებას და ალმასივით მკვეთრი სურათებით თვალწინ დაგვიდო წარსული ცხოვრება ქრისტიანთა და დაგვანახვა დიდებული, უმწიკვლო სახე თავდადებული იესო ნაზარეველისა.**

„ცხოვრება იესოსი“ მხოლოდ ერთი კარია რენანის ნაშრომებისა (40-მდე ტომი აქვს დაწერილი), მაგრამ ეს წიგნი ყველაზე სახელოვანი და ჩინებულია.

სახელგანთქმული მეცნიერი და მეისტორიე ერნესტ რენანი დაიბადა 1823 წელს ტრეგიეში (ბრეტანი, საფრანგეთი). ღარიბმა და მორწმუნე მშობლებმა იგი მონასტრის სკოლაში მიაბარეს. პაწია რენანი გულმოდგინედ შეუდგა სწავლას და ბავშვობიდანვე ღვთისმოშიშობას შეეჩვია. ნიჭიერი და მკვირცხლი გონების პატრონი რენანი დიდ იმედს აძლევდა მის აღმზრდელ კათოლიკე მღვდლებს. **თვითონ რენანიც სამღვდლოდ ემზადებოდა, მაგრამ, როდესაც შეისწავლა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, როდესაც ებრაულ, სირიულ და ქალდეველთა ენებზე დაწერილი საღმრთო წიგნები წაიკითხა და დაუკვირდა კათოლიკე სამღვდელოებისა და იეზუიტების მოქმედება-გულისთქმას, მის რწმენას ფრთები შეეკვეცა. რენანს ამ დროს უკვე ანაფორა ეცვა, მღვდლობის პირველი ხარისხი — იპოდიაკონობა — მიღებული ჰქონდა. საშინელმა ეჭვებმა შეიპყრო ჭაბუკი რენანი, მისი გამოფხიზლებული გონება ვერ შერიგებოდა ბერების ზოგიერთ სწავლებას.** პარიზის წმინდა ნიკოლოზის სასულიერო სემინარიის ზღუდეებს შორის მომწყვდეული რენანი დღესა და ღამეს სარწმუნოებაზე ფიქრში ატარებდა, მისმა გამჭრიახმა გონებამ სძლია ეჭვებს, მეცნიერულმა კრიტიკამ თვალი აუხილა და თავის წარსულთან ერთი დაკვრით გაწყვიტა კავშირი. 1845 წლის 6 ოქტომბერს რენანი უკანასკნელად დაეშვა სემინარიის კიბეზე, იგი მღვდლად ვერ ეკურთხებოდა, იგი თვალთმაქცი ვერ იქნებოდა **„ცხოვრება იესოსი“ რენანმა 1863 წელს გამოაქვეყნა. ადვილი წარმოსადგენია, რა განგაშს ატეხდნენ სარწმუნოების ოფიციალური წარმომადგენელნი. აუწერელია ის უშვერსიტყვაობა და ცილისწამება, რომელიც რენანის მიმართ ითქვა, მაგრამ ბრძენი რენანი წარბსაც არ იხრიდა. მას მტკიცედ სწამდა, რომ თვით იესოც ჭეშმარიტების სიყვარულისთვის აწამეს ფარისევლებმა.** გადიოდა დრო. რენანს სახელი და დიდება ემატებოდა. ხალხი კითხულობდა რენანის „ცხოვრება იესოსი“-ს (იგი ფრანგულ ენაზე სამოცდაცხრაჯერ გამოიცა). ბოლოს მადლიერმა ფრანგმა ერმა სამღვდელოებისგან „ღვთისმგმობლად“ შერაცხილი რენანი წმინდანთა შორის ჩარიცხა და მის სამარეზე ბრეტანში დიდებული ძეგლი აღმართა. რენანი გარდაიცვალა 1892 წელს.

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი“:**

„დასაბამი ჩვენგან დასახელებული ცვლილებისა იწყება რომის იმპერატორების — **ოქტავიანე აუგუს-** ▶

**აჯანყების მსურველი ავანტიურისტები ბევრ ბედნიერ ქვეყანაშიც არიან, მათ სიკვდილით სჯიდნენ და დღესაც სჯიან — ხან ფარულად, ხანაც ხილულად, მაგრამ ისინი ამას აკეთებენ სიამოვნებით. იკეთებენ ჯიჰადის ქამარს, ტანზე იმაგრებენ ბომბებს და ასაფეთქებელ მასალებს, ნაღმავენ ავტომანქანებს და მათთან ერთად ფეთქდებიან თვითონაც. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც. «სახელმწიფოს მართვა ჰუმანიზმის სკოლა არ არის», — ამბობდა სტალინი. მას ღრმად სწამდა დიდი რუსი მხედართმთავრის სიტყვები: «ერთი ჯარისკაცის სისხლით ას ჯარისკაცს გადაარჩენ»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთ კაცს არც ერთ დროში და არც ერთ ქვეყანაში იმდენი სასიკეთო საქმე არ გაუკეთებია, რამდენიც სტალინმა. ისეთი უზარმაზარი სახელმწიფო, როგორიც რუსეთია, არავის აუშენებია და ხის კავიანი ქვეყანა არ უქცევია ზესახელმწიფოდ თავის სიცოცხლეში. სწორედ იმისთვის, რომ სტალინი უპირველესი იყო პირველთა შორის, სიკეთისთვის, ხალხთა ბედნიერებისთვის ბრძოლაში უძლეველობისა და ღმერთკაცობისთვის გაწირეს და უღალატეს.

◀ **ტუსისა** და **ტიბერიუსის** დროიდან. მაშინ ქვეყნად გაჩნდა ერთი შესანიშნავი კაცი, რომელმაც შექმნა ძლიერი მოძრაობა და ახალ სარწმუნოებას საძირკველი ჩაუყარა. ეს კაცი იყო იესო ნაზარეველი".

**წერილის ავტორის აზრით:**

**ცხოვრების წესის შეცვლის ყველაზე სერიოზული მცდელობა იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც გერმანიაში უდიდესი გენიოსები — მარქსი და ენგელსი მოღვაწეობდნენ. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ერთი შესანიშნავი კაცი, რომელმაც შექმნა ძლიერი მოძრაობა და ახალ სარწმუნოებას ჩაუყარა საძირკველი. ეს კაცი იყო იოსებ სტალინი.**

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი":**

„იესო დაიბადა გალილეის ერთ პაწია და მის დაბადებამდე უმნიშვნელო ქალაქ ნაზარეთში, თუმცა შემდგომ მისმა მიმდევრებმა იესოს მშობლიურ ქალაქად ბეთლემი დაასახელეს, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს მოხდა იესოს ცხოვრების ფაქტების არევ-დარევით და იმის გამო, რომ იესოს მაცხოვრად (მესიად) აღიარება დასჭირდათ. დღე და წელიწადი იესოს დაბადებისა დანამდვილებით არავინ იცის".

**წერილის ავტორის აზრით:**

**სტალინი პატარა პროვინციულ ქალაქ გორში დაიბადა. კაცობრიობა 30 წლის განმავლობაში ზეიმობდა 21 დეკემბერს, როგორც სტალინის დაბადების დღეს, მაგრამ გავიდა დრო და სტალინის დედისა და თვით სტალინის გარდაცვალების შემდეგ ვიღაცას დასჭირდა, შეეცვალა, როგორც მისი დაბადების წელი — 1879, ასევე მისი დაბადების რიცხვიც — 21 დეკემბერი. ამასთანავე, კამათობენ: ოსია თუ ქართველი.**

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი":**

„იესოს უმაღლესი განათლება არ მიუღია (ასეთი სასწავლებელი ნაზარეთში არ უნდა ყოფილიყო) და არც ჰქონდა ისეთი ხარისხი, რომელიც ხალხის თვალში მეცნიერად წარმოაჩენდა, მაგრამ შეცდომა იქნება, იესოს უმეცარი უწოდო".

**წერილის ავტორის აზრით:**

**სტალინს უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ შეცდომა იქნება, უმეცარი ვუწოდოთ.**

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი":**

„თავისი ერის უკეთესი მომავალი, თავისი ხალხის იმედი და მოლოდინი პატარაობიდანვე შეიქნა იესოს სატრფიალო. შეიძლება მას წაკითხული ჰქონდა წიგნი ენოქისა, რომელიც საღმრთო წიგნად ითვლებოდა, რომელიც სრული გამომთქმელი იყო ებრაელთა სულთა სწრაფვისა. მოლოდინი მაცხოვრისა (მესიისა), გამოჩინება მისი დიდებითა და ძლიერებით, ხალხთა აღრეულობა, დანგრევა ცისა და ქვეყნისა იესოს ოცნების ქვაკუთხედად გადაიქცა. ზოგიერთის გამოანგარიშებით, ეს საშინელება ძლიერ მალე უნდა მომხდარიყო. იესოც მოუთმენლად მოელოდა ამ დღის დადგომას და, როგორც ყველა ებრაელს, მისი არაბუნებრიობა იესოსაც სრულებით არ აფიქრებდა".


ერნესტ რენანი




**წერილის ავტორის აზრით:**

**ხალხის საკეთილდღეოდ რევოლუციური ნგრევა, „დანგრევა ცისა და ქვეყნისა" სტალინის ოცნების ქვაკუთხედი იყო. ის ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა რევოლუციის მოსამზადებლად. სტალინი მოითხოვდა: ჩვენ, უწინარესად, გვჭირდება შეიარაღება, მეორე — კიდევ შეიარაღება და მესამე — ისევ შეიარაღება. სტალინისავის არ არსებობდა ზომიერი რევოლუცია, მას არნახული რევოლუციის მოწყობის წყურვილი ჰქონდა.**

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი":**

მას უაღრესად სწამდა ურთიერთობა კაცისა ღმერთთან და ადამიანის ყოვლად შემძლებლობაზე ეჭვიც კი არ ჰქონია. ეს იყო მისი შეცდომა და ამაშივე იყო მისი უძლეველობაც. დროთა ვითარებამ დაამცრო ადამიანის ძლიერება ბუნებისმეტყველისა და ქიმიკოსის თვალში, მაგრამ „მას ჟამსა შინა" რწმენა ადამიანის სიძლიერეზე ისე აღაფრთოვანებდა იესოს, როგორც არავინ აღუფრთოვანებია მანამდე და მას შემდეგ.

**წერილის ავტორის აზრით:**

**სტალინს სწამდა ურთიერთობა ღმერთთან: მან პირველმა უწოდა არტილერიას ომის ღმერთი. კინოფილმ „გიორგი სააკაძეში" სწორედ სტალინის მითითებით ჩასვა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა ფრაზა: „ქრისტეს და სამშობლოს სახელით ვეკვეთოთ მტერს!" სტალინმა კარგად იცოდა გენების თეორია, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც თითქოს, თეთრგვარდიელების გარდა, რუსეთში არ გაიზრდებოდა ოფიცერი და ვერ შეიქმნებოდა მებრძოლი არმია, სწორედ „დაბალი რასის" წარმომადგენლებისგან შექმნა უძლეველი არმია, რომელმაც ნაცარტუტად აქცია ფაშისტური გერმანია. სტალინს არც ღმერთის პატივისცემაში და არც პიროვნების განდიდებაში შეცდომა არ დაუშვია.**

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი":**

იესოს პატარაობიდანვე თავისებურება ეტყობოდა. ჩვენ ვიცით, რომ, ჯერ ისევ ჭაბუკი, წინ აღუდგა მშობელთა ძალმომრეობას, დაგმო მათი თვითნებობა და თავისი პირადი მოწოდება დედ-მამის უფლებაზე მაღლა დააყენა. ნათესაურმა მოვალეობამ იგი ვერ დააკნინა. ნათესავებსაც არ უყვარდათ იგი და ხშირად სასტიკადაც ეპყრობოდნენ. როგორც ყველა იდეით გატაცებული, იესოც ნაკლებ ყურადღებას აქცევდა შენჩემობას, ხორციელ ნათესაობას. ნათესაობა იდეური, თავგანწირვა მოწოდებისთვის — აი რა არის უწმინდესი მოვალეობა იესოს მსგავსთათვის. „აი დედაჩემი, აი ჩემი ძმები — ამბობდა იესო, უთითებდა რა მოწაფეებზე, — ის, ვინც ასრულებს ნებასა მამისა ჩემისასა, ის არის ძმა ჩემი და დაი ჩემი".

**წერილის ავტორის აზრით:**

**სტალინი ბავშვობიდანვე აუჯანყდა მშობლებს, არ სურდა, მამის ნებას დაჰყოლოდა და ხარაზობა ესწავლა. სწორედ ბავშვის აღზრდის საქმეში გაჩენილმა უთანხმოებამ გააჩინა ბზარი ცოლქმარს შორის. ახალგაზრდა სოსო სრულიად განსხვავებული აზროვნებისა იყო, რაც ვერავითარმა ძალადობამ ვერ შეაცვლევინა. მან არ იცოდა ნათესავი და არანათესავი, ის წმინდა იდეის განხორციელებაზე ოცნებობდა და ამ იდეის ყველა მოწინააღმდეგე მისი მოწინააღმდეგე იყო.სტალინმა ფრონტზე გაგზავნა სამი შვილი, ისევე, როგორც ყველა სხვამ. სტალინმა ციხეში ჩასვა თავისი ვაჟის, იაკობის, მეუღლე — იულია მელცერი, როდესაც იაკობი ტყვედ ჩავარდა. სტალინმა ციხეში ჩასვა თავისი ცოლისძმა, თავისი ქვისლი და ბევრი სხვა ახლობელი.**

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი":**

„რომელიმე ერის ცხოვრებაში დიდებულ საქმეებს მხოლოდ ერთეულები აკეთებენ. ქვეყნის დიდება ყოველთვის უმრავლესობის მოწინააღმდეგენი, ოპოზიცია ყოფილა. ერის ყველაზე დიდებული შვილნი არიან ისინი, ვინც ერს სასიკვდილოდ გაუწირავს. **სოკრატე** დიდება და გვირგვინი იყო ათენისა, მაგრამ მოწამლეს; სპინოზა ჩვენი დროის ერთი უდიდებულესთაგანი იყო, მაგრამ თორამ იგი სამარცხვინო ბოძზე მიაკრა და თავის წიაღიდან განდევნა; იესოც დიდება იყო ერისა ისრაელისა, მაგრამ ამავე ხალხმა ჯვარს აცვა იგი".

**წერილის ავტორის აზრით:**

**ერთ კაცს არც ერთ დროში და არც ერთ ქვეყანაში იმდენი სასიკეთო საქმე არ გაუკეთებია, რამდენიც სტალინმა. ისეთი უზარმაზარი სახელმწიფო, როგორიც რუსეთია, არავის აუშენებია და ხის კავიანი ქვეყანა არ უქცევია ზესახელმწიფოდ თავის სიცოცხლეში. სწორედ იმისთვის, რომ სტალინი უპირველესი იყო პირველთა შორის, სიკეთისთვის, ხალხთა ბედნიერებისთვის ბრძოლაში, გაწირეს და უღალატეს.**

*** მიხედვით წიგნისა „ცხოვრება იესოსი":**

„აჯანყების ცეცხლს ყოველთვის აღვივებდნენ მიმდევარნი მოსეს სჯულისა. იერუსალიმი ბუდე იყო ამ აჯანყებათა და, თუმცა მეამბოხეთ ყოველთვის სიკვდილით სჯიდნენ ხოლმე, სჯულისთვის სიკვდილი ყველას სასახელოდ მიაჩნდა, სიამოვნებით კვდებოდნენ მარტო იმისთვისაც კი, თუ მოასწრებდნენ და კედლებიდან ჩამოგლეჯდნენ ხოლმე რომაელთა არწივებს, განცხადებებს ან დაანგრევდნენ იროდებისგან მოსეს კანონის წინააღმდეგ აგებულ შენობებს. ამ გმირებს თავის დაცვის გრძნობა დახშული ჰქონდათ. ღმერთი იესოსი ეს სასტიკი მბრძანებელი კი არ არის, რომელიც, ნებავს რა, დასჯის ხალხს, ნებავს, შეიწყალებს. არა, ღმერთი იესოსი — ეს ჩვენი მამაა, ჩვენ ყოველთვის გვესმის მისი მშობლიური ალერსი, როდესაც ყურს ვუგდებთ ჩვენს გულში დამარხულ ნაზ გრძნობას მისდამი, როდესაც ვიგონებთ საყვარელ „მამას". ეს ღმერთია ტანჯულთა, ჩაგრულთა, გლახაკთა შემბრალებელი. იესოს ღმერთი ეს ებრაელთა თვითნება და ცალკერძა ბატონი კი არ არის, რომელმაც მხოლოდ ისრაელის ერი აირჩია და მას დაუნაცვლა დანარჩენი ხალხები, არა, იესოს ღმერთი ღმერთია მთელი კაცობრიობისა. ღმრთის შვილი იესო არც ისე პატრიოტი იყო, როგორც მაკავეი და არც ისეთი ღვთისმეტყველი, როგორც იუდა გოლონიტი. იგი მედგრად აღუდგა წინ თავისი ტომის წარმოდგენას ღმერთზე და აღიარა ღმერთი მამად მთელის მსოფლიოსი. გოლონიტი ამტკიცებდა: სიკვდილი სჯობს, ვიდრე ღვთის გარეშე სხვას „ბატონი" დაუძახოთო. იესო კი ამ სახელს ყველა ვიგინდარას სთავაზობს, მხოლოდ ღმერთს კი უფრო ნაზ და ფაქიზ სახელს უწოდებს. „დაე ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიიღონ შესაფერი პატივისცემაო, — ცოტა არ იყოს დაცინვით ამბობდა იესო. — ხოლო თქვენი ნუ გეშინისმცემელი კი მარტოოდენ მამა ღმერთია. თქვენი ნავთსაყუდარი — ღმერთის სასუფეველია, რომელსაც თითეული თქვენთაგანი გულით ატარებსო".

**წერილის ავტორის აზრით:**

**აჯანყების მსურველი ავანტიურისტები ბევრ ბედნიერ ქვეყანაშიც არიან, მათ სიკვდილით სჯიდნენ და დღესაც სჯიან — ხან ფარულად, ხანაც ხილულად, მაგრამ ისინი ამას აკეთებენ სიამოვნებით. იკეთებენ ჯიჰადის ქამარს, ტანზე იმაგრებენ ბომბებსა და ასაფეთქებელ მასალებს, ნაღმავენ ავტომანქანებს და მათთან ერთად ფეთქდებიან თვითონაც. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც. „სახელმწიფოს მართვა ჰუმანიზმის სკოლა არ არის", — ამბობდა სტალინი. მას ღრმად სწამდა დიდი რუსი მხედართმთავრის სიტყვები: „ერთი ჯარისკაცის სისხლით ას ჯარისკაცს გადაარჩენ".**

**დიახ, მსხვერპლი იყო, მაგრამ იყო შენება, აღმშენებლობა, დისციპლინა. ქვეყნად დამყარდა დემოკრატია. სწორედ მაშინ, როდესაც უმრავლესობის დიქტატურა უნდა დამყარებულიყო უმცირესობაზე, მოუწყვეს ტერორი არა მხოლოდ სტალინს, არამედ დემოკრატიასა და სოციალურ თანასწორუფლებიანობას. სტალინმა ერთადერთმა შექმნა კონსტიტუცია, რომელიც სახარებისა და ქრისტეს მოძღვრების პრინციპებზეა აგებული და არა „ბიზნესსა" და „ზედმეტ ღირებულებაზე".**

**დიახ, მსხვერპლი იყო, მაგრამ იყო შენება, აღმშენებლობა, დისციპლინა. ქვეყნად დამყარდა დემოკრატია. სწორედ მაშინ, როდესაც უმრავლესობის დიქტატურა უნდა დამყარებულიყო უმცირესობაზე, მოუწყვეს ტერორი არა მხოლოდ სტალინს, არამედ დემოკრატიასა და სოციალურ თანასწორუფლებიანობას. სტალინმა ერთადერთმა შექმნა კონსტიტუცია, რომელიც სახარებისა და ქრისტეს მოძღვრების პრინციპებზეა აგებული და არა «ბიზნესსა» და «ზედმეტ ღირებულებაზე»**




**ყურადღება!**

„ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინის" მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲔᲑᲛᲐ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ

**ოთხ ამერიკელ არასრულწლოვან გოგონას ბრალი წაუყენეს თანატოლის მკვლელობაში. ეს საზარელი ბოროტმოქმედება აშშ-ის ლუიზიანის შტატის ცენტრ Walmart-ში მოხდა, — იუწყება The Daily Dat.**

პოლიციამ დააპატიმრა 12-14 წლის ოთხივე ბრალდებული. გამოძიების ვერსიით, ერთ-ერთმა მათგანმა მსხვერპლს დანა გულში ჩაარტყა. იმას, რაც ხდებოდა, გოგონები „ფეისბუკში" ინსტაგრამის მეშვეობით გადასცემდნენ. ვიდეოჩანაწერში ისმის გოგონათაგან ერთ-ერთის ტრაბახი, როგორ დაჭრა შიგ გულში თანატოლი. სასიკვდილოდ დაჭრილი ერთ-ერთ ადგილობრივ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ეჭვმიტანილები არასრულწლოვანთა დროებითი მოთავსების ცენტრში არიან იზოლირებულები.



## ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲯᲐᲠᲘᲛᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲬᲔᲡᲔᲑᲔᲜ ᲢᲠᲐᲜᲡᲒᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**ესპანეთის თანასწორობის საკითხების სამინისტროში მოამზადეს კანონპროექტი, რომელიც ტრანსგენდერებს გაუმარტივებს სქესის შეცვლას პირადობის მოწმობაში. ეს მოწმობა DNF-ის აბრევიატურის სახელით არის ცნობილი.**

ამასთანავე, კანონპროექტი ნებას რთავს ლგბტ პირებს, მიიღონ მონაწილეობა არჩეული სქესის თანახმად გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში, ხოლო კონვერსიულ თერაპიაზე, ანუ ასეთი პირების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე დაწესდება მნიშვნელოვანი ჯარიმები.

კანონპროექტი ითვალისწინებს დამსაქმებლების სტიმულირებას ტრანსგენდერების სამუშაოდ მიღებისთვის. შემოღებული იქნება გარანტიები მსჯავრდებულთა განთავსების საკითხში მათი ჭეშმარიტი სქესის მიხედვით, ასევე, ტრანსიმიგრანტების დასაცავად.



# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

## ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ?

## ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲔᲑᲘ

**საბავშვო მაღაზიების დახლებზე გაჩნდა სათამაშოები, რომლებიც ბავშვებს ლორწოთი თამაშისკენ უხმობენ.**

ათი ან ცოტა მეტი წლის წინათ მაღაზიებში გამოიტანეს ე.წ. „ტყლარწები". მათ რეკლამას უწევდნენ, როგორც ანტისტრესულ სათამაშოებს. ეს არის უფორმო მასა, რომლის მოზელვა, გაბრტყელება, გაწელვა თავისუფლად შეიძლება. უფრო ზუსტად, სწორედ საამისოდ არის დამზადებული პლასტელინის მსგავსი ლორწოვანი მასისგან. ბავშვთა ფსიქოლოგები რეკომენდაციას უწევდნენ, როგორც პატარების მოტორიკის განსავითარებელ და მათი ჰიპერაქტიურობის დასამშვიდებელ უებარ საშუალებას; იმასაც ამბობდნენ, რომ „ტყლარწების" გამოყენება არც უფროსებს აწყენდათ — მოუხსნიდა სტრესს და გადააჩვევდა ოფისების საკანცელარიო ნივთების ხელში უაზრო ტრიალს.





ამ სათამაშოებს ამზადებენ არცთუ სასარგებლო ქიმიური ნივთიერებების ნაერთიდან, მათ შორის, მაგალითად, ბორისგანაც. საქმე ის არის, რომ ნახატი ფილმების სერიალსა და ფილმში „მოჩვენებებზე მონადირენი" ერთ-ერთი მოჩვენება, რომელიც მონადირეთა ხელში მოშინაურებულ ნადირად არის გარდაქმნილი, შესახედად უფორმო ლორწოვან გუნდად წარმოგვიდგება და სახელად ჰქვია მლოკველი.

„ტყლარწების" ინდუსტრია თანდათან ვითარდებოდა. ყველაზე ახალი და პოპულარული ნაირსახეობა სლაიმებია, რომლებიც ერთგვარ შემოქმედებით შემადგენლად არის მიჩნეული: ბავშვები სლაიმებს თვითონ ჰქმნიან კოლოფში მოთავსებული ინგრედიენტებისგან — წებოდან, საღებავებიდან, კონსისტენციებიდან... ამბობენ, რომ სლაიმები სკოლებში ვაჭრობისა და გაცვლის საგანიც კი გახდა. ბავშვს, რომელმაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნიმუში შექმნა, აქვს უფლება, მოითხოვოს თავისი შრომისმოყვარეობისა და გამომგონებლობის ასანაზღაურებლად თანხის გარკვეული რაოდენობა, თუმცა ამის განხორციელება, პლასტელინისგან განსხვავებით, პრაქტიკულად შეუძლებელია. კიდევ კარგი, პლასტელინი მაღაზიებიდან არ გამქრალა. პირიქით, ახალი



ნაირსახეობებიც კი შეიქმნა. ამ ორ უფორმო მასას შორის განსხვავება არის ის, რომ იმთავითვე უფორმო პლასტელინი შექმნილია ფორმის მისაღებად, ანუ ქაოსიდან მინიატურული კოსმოსის შესაქმნელად, „ტყლარწები" და სლაიმები კი არის კოსმოსი საკუთარ თავში, რომელიც ტკბება თავისი ქაოსურობით და მასთან მისაერთებლად გვეპატიჟება.

არის ზოგიერთი სხვა სათამაშოც, რომლებიც გაოგნებას იწვევს, მაგალითად, გასაჭიმი ფიგურები. ეს ხან სავსებით ნორმალური ადამიანის ფიგურაა, ან რომელიმე სუპერგმირის პატარა ქანდაკება, რომლებსაც ხელი შეიძლება ჩაავლო თავსა და ბოლოში, დაჭიმო და კარიკატურად აქციო.

ამბობენ, რომ ეს ფიგურები გამძლეა და არ წყდება, ხელს თუ გაუშვებ, საწყის ფორმას უბრუნდება, მაგრამ თვით ფაქტი, რომ შეგიძლია, რომელიმე საყვარელ პერსონაჟს ამგვარად დასცინო, ჩაგაფიქრებს და შეგაშინებს; უფრო მეტად კი მაშინ, როცა პერსონაჟი აბსტრაქტულია, ანუ ადამიანის სახიერებას, Homo sapienso-ბას, გარკვეული დროით კარგავს.

არის უფრო საშიში მაგალითებიც: მინიატურული ძროხა ან ბეჰემოტი, შესახედად სავსებით ნორმალურები, მაგრამ ნახვრეტებით სხეულში, რომლებიც ბუშტუკებიანი პლასტიკური მასით არის შევსებული. ასეთ ფიგურას ხელი რომ მოუჭირო, ნახვრეტებიდან გადმოინთხევა სითხე, რომელიც საშინელი დაავადებით არის წარმოშობილი ან ამ ცხოველებში ჩასახლებული უცხოპლანეტური ორგანიზმია. ესეც რეკომენდებულია როგორც ანტისტრესი.

უპირველეს ყოვლისა, არ გვაწყენდა, გაგვერკვია, საიდან გაჩნდა ეს არნახული დონის სტრესი, რომელსაც უნდა ებრძოლო მაინცდამაინც სპინერების ან ლორწოვანების საშუალებით. იქნებ ღირს, რამე მოვუხერხოთ მიზეზს და დაუსრულებლად არ ვებრძოლოთ სიმპტომებს ახალი და ახალი პალიატიური საშუალებების გამოგონებით?!

მეორე, ვითომ რატომ არ ვარგა ანტისტრესული სხვა ვარიანტები? იგივე პლასტელინი, გაფერადება, ხატვა, რომ არაფერი ვთქვათ სრულფასოვან შემოქმედებაზე, ჩვევად რატომ უნდა გავიხადოთ მხოლოდ პირობითად შემოქმედებითის გამოგონება — უფორმოსი ან დამახინჯებული ფორმის მქონის?!

განა საყოველთაოდ არ არის აღიარებული, რომ ბავშვი თამაშის დროს სწავლობს და, თუ იგი ფორმის დამახინჯებას ცდილობს ან უფორმო ნივთების გარემოცვით ერთობა, სერიოზულად ვერ აღიქვამს რეალურ სამყაროს, როგორც ფორმით ჩამოყალიბებულ, მყარ, არსებულ სინამდვილეს, რომელიც გარკვეულ კანონებს არის დამორჩილებული და თანაარსებადია?!

მას ექმნება ილუზია, რომ შესაძლებელია ნებისმიერი საგნის გაჭიმვა ან შეკუმშვა. ამის გამო საგანს ცუდი არაფერი დაემართება, ხოლო სხვადასხვაფერი ლორწოს გამობრწყინება საკაიფოა.

მას გარემო სამყაროზე აბსოლუტური ძალაუფლების ილუზია უყალიბდება. თუ ჩვეულებრივი თოჯინის გაჭიმვას შეეცდება, ხელში შემოატყდება და სათამაშოს გარეშე დარჩება. „ტყლარწის" სუპერმენს კი შეიძლება ისე მოექცე, როგორც მოგესურვება.

თანაც დაუსრულებლივ.

კარგი იქნება, თუ ამ უცნაური სათამაშოებისადმი თავიანთ დამოკიდებულებას ფსიქოლოგებიც გაგვიზიარებენ. აშკარად ჩანს, რომ თანდათან ყალიბდება ერთგვარი ტენდენცია, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ.



**„კლიმატის მეფე“ ჯონ კერის, არაერთხელ განუცხადებია, რომ ამერიკის ხელისუფლება კლიმატის ნებისმიერ ცვლილებას განიხილავს, როგორც სამხედრო საფრთხეს. ოკეანისგაღმელმა პარტნიორებმა კარგად ისწავლეს კულტურული ომების შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაყვანა, ამიტომ ახლო მომავალში გლობალური დაპირისპირების საბაბად ნატურალური ხორცისგან დამზადებული კატლეტი შეიძლება იქცეს.**

აბსურდის თეატრი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბილ გეიტსს დასრულებული არ ჰქონდა მდიდარი ქვეყნებისთვის მოწოდება, უარი ეთქვათ ნატურალურ ხორცზე და გადასულიყვნენ სინთეტიკურზე („თქვენ მალე მიეჩვევით ახალ გემოს“), რომ მისი მითითების შესრულება უკვე დაიწყეს ადგილებზე. ლიონის (საფრანგეთი) მერმა გრეგორი დუსემ ქალაქის ყველა სკოლის სასადილო რამდენიმე დღის წინათ ვეგეტარიანულ მენიუზე გადაიყვანა.**

# «ცივილიზებულ» დასავლეთში ნატურალური საკვები ფუფუნების საგანი ხდება

სადილი სკოლის სასადილოებში და, საერთოდ, ცხოვრებაში ფრანგების ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ქვეყანა შეშფოთდა. ადგილობრივმა ფერმერებმა თავიანთი თხები და ძროხები ლიონის ლამაზი რატუშის წინ მიიყვანეს. სოციალური ქსელების მომხმარებლებმა მერს იდიოტი უწოდეს. ვეგეტარიანელებმა, ეკომეომრებმა და ცხოველთა დამცველებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ხორცის აკრძალვას.

მერი შეეცადა, თავისი გადაწყვეტილება კორონავირუსის პანდემიისთვის მიეწერა, მაგრამ ეს რომ ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვით იყო გამოწვეული, არავინ დაუჯერა. საქმე ის არის, რომ საფრანგეთის სკოლებში სასადილოები ისედაც თითქმის იდეალურ მდგომარეობაშია. **ორსაათიანი შესვენება სადილობისთვის, ადგილობრივი ფერმერების პროდუქტებისგან დამზადებული ცივი და ცხელი კერძები, საჭმლის ხარისხზე უმკაცრესი კონტროლი, ხილისა და ბოსტნეულის სრული ასორტიმენტი, პროდუქციის გასაყიდი არანაირი აპარატი... ლიონის მერი ცუდად შეეხო კვების სისტემას, რომლისაც სრულიად მსოფლიოს შურს.**

ანტრეკოტებისა და კატლეტების გარშემო დაწყებულმა კულტურულმა ომმა მალე მიიღო პოლიტიკური ხასიათი. თვითონ **გრეგორი დუსემ,** რომელსაც რადიკალიზმის გამო „მწვანე მერი“ შეარქვეს, კარიერა გაიკეთა პარტიაში — „ევროპა-ეკოლოგია-მწვანეები“. მერის ვეგეტარიანული დემარში მოიწონეს მისმა ამხანაგებმა პარტიიდან — ამჟამად ეკოლოგიური გარდაქმნების მინისტრმა **ბარბარა პომპილიმ** და ჯანდაცვის მინისტრმა **ოლკიე ვერანმა**, ყოფილმა სოციალისტმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა **ჟერალდ დერმანენმა** კი ლიონის მერის გადაწყვეტილებას **„ფერმერებისა და ხორცის დამამზადებელთა შეურაცხყოფა“** უწოდა. „კმარა იდეოლოგიის დადება ჩვენი ბავშვების თეფშებზე“, — აღშფოთდა სოფლის მეურნეობის მინისტრი **ჟულიენ დენორმანდი.** ფრანგმა კონსერვატორებმა გადაწყვიტეს, რომ კატლეტებზე უარის თქმა თავდასხმაა მათ ტრადიციულ ფასეულობებზე და თავიანთ ალტერნატიულ მედიასაშუალებებში საშინლად გალანძღეს გრეგორი დუსე.

მაგრამ პრობლემა გლობალური ხასიათისაა. პანდემიამდე კარგა ხნით ადრე, რომელსაც ბევრი ყველა უბედურებას მიაწერს, **ინტელექტუალურ ველზე ჩამოყალიბდა კონსენსუსი, რომ თანამედროვე განათლებული ადამიანისთვის ხორცის ჭამა უღირსი საქციელია. ამას მოჰყვა პოპკულტურის ვარსკვლავების ე.წ. კამინგ-აუტი ვეგეტარიანობაზე. მცენარეული დიეტა ციფრული ტექნოლოგიების, გლობალიზმის, მემარცხენე დღის წესრიგის, ლგბტ პირების უფლებების დაცვის, აშშ-ის დემოკრატოსანი აფილირებული პოლიტიკოსების მიმართ სიყვარულის მხარდამხარ ვითარდებოდა.** რაც დრო გადიოდა, ხორცის ჭამა სულ უფრო იწვევდა სხვა ასოციაციებს — ეს არის ნაციონალიზმი, კონსერვატიზმი, ტრადიციული ფასეულობები, პატრიარქალური ოჯახი, ეკლესია, ტრამპი, ცეცხლსასროლი იარაღი, ბენზინის ძრავები; პარალელურად, დასავლელ ობივატელს ყოველდღე უყვებოდნენ ფერმაში გამოზრდილი ცხოველების ტანჯვაზე და ცდილობდნენ, მათში დანაშაულის განცდა გაეღვიძებინათ სტეიკებისა და ანტრეკოტების ჭამის გამო. **ხოაკინ ფენიქსმა,** „ჯოკერში“ მთავარი როლის შესრულებისთვის „ოსკარის“ მიღების შემდეგ, იყიდა ძროხა, ხბო და ისინი მდელოზე გაიყვანა ბალახის მოსაძოვად.

**ე.წ. მეცნიერები ობივატელებს განუმარტავდნენ, რატომ არის ხორცი მავნე. მათი ნაზოდვარის უარსაყოფად საკმარისი იყო, მაგალითად, იაპონიის სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება და შედარება, რამდენ ხანს ცოცხლობდნენ და როგორ გამოიყურებოდნენ მცენარეულ დიეტაზე მყოფი ადამიანები და როგორ გამოჯანმრთელდნენ ისინი, როცა საკვებში ცხოველური ცხიმები და ცილები დაამატეს.** სხვა მეცნიერები ხაზავდნენ სქემებს, რომლებზეც მსხვილი რქოსანი პირუტყვის საძოვრები უნდა ყოფილიყო ამაზონის ხელუხლებელი ჯუნგლების ადგილას. ასე აღმოჩნდნენ ბრაზილიაში ძროხები ამაზონის ჯუნგლების გაჩეხვაში დამნაშავენი.

**სრული სერიოზულობით ითვლიდნენ ძროხების მიერ გამოყოფილი მეთანის წილს სათბურის ეფექტის წარმომქმნელ აირებში. ამასთანავე, გაარკვიეს, რომ მეცხოველეობა და აგრომრეწველობა ატმოსფეროს დაბინძურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. თანამედროვე სოფლის მეურნეობის მრეწველობას, რომელიც თითქმის 8 მლრდ ადამიანს უზრუნველყოფს საკვებით, ყბადაღებული „ნახშირბადოვანი კვალი“ მიაწერეს.** მაგალითად, უგემრიელესი ფრანგული საკვების მწარმოებლები „ნახშირბადოვანი კვალის“ მეოთხედს ქმნიან, მეცნიერებმა მყისვე მოუწოდეს ფრანგებს, ნაკლები ხორცი მიირთვან.

ასე, თანდათან ჩამოყალიბდა „დანაშაულის“ შემადგენელი. **მმართველი იდეოლოგია გულისხმობს, რომ რძისა და ხორცის მრეწველობა დამნაშავეა გლობალურ დათბობაში. გსურთ მისი შეჩერება? გადადით „ყალბ კურდღელზე“. არ გჯერათ გლობალური დათბობის? — გადით საინფორმაციო ველიდან!**



**რაც დრო გადიოდა, ხორცის ჭამა სულ უფრო იწვევდა სხვა ასოციაციებს — ეს არის ნაციონალიზმი, კონსერვატიზმი, ტრადიციული ფასეულობები, პატრიარქალური ოჯახი, ეკლესია, ტრამპი, ცეცხლსასროლი იარაღი, ბენზინის ძრავები; პარალელურად, დასავლელ ობივატელს ყოველდღე უყვებოდნენ ფერმაში გამოზრდილი ცხოველების ტანჯვაზე და ცდილობდნენ, მათში დანაშაულის განცდა გაეღვიძებინათ სტეიკებისა და ანტრეკოტების ჭამის გამო**



ეს პრობლემატიკა დიდი ხნის განმავლობაში იყო ნახევრადშეშლილი მარგინალებისა და დიეტაზე გაგიჟებული კინოვარსკვლავების საქმე, მაგრამ ამ ზამთარში ხორცზე უარის თქმა პლანეტის მთავარი ზეეროვნული დაწესებულებების ოფიციალურ დღის წესრიგში შევიდა.

* **ჯანმომ,** კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ქვეყნების მთავრობებს მოუწოდა, უზრუნველყონ „სწორი მენიუ“ საზოგადოებრივი სასადილოებისთვის. მთავრობებს ყურადღება უნდა მიეპყროთ, რომ მენიუში რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო ნატურალური ხორცი და რძის პროდუქტი.

* **გაერომ** წლის ბოლოს დაგეგმა სამიტი „სასურსათო სისტემების“ შესახებ. ძირითადი ტრენდი, რომელიც დავოსის კონფერენციიდან გამოჩნდა და რომელიც გაეროსთვის მისაღებია, არის ხორცისა და რძის ნატურალური პროდუქტების წარმოების შემცირება და ფასის კატასტროფულად მომატება. შედეგად, ხორცისა და რძის ნატურალური პტოდუქტები უნდა იქცეს ფუფუნების საგნადად.

**„მთავარი პრობლემა არის ის, რომ საკვების ფასები არ ასახავს მის ჭეშმარიტ ღირებულებას,** — ამტკიცებს ბრიტანელი ეკონომისტი, „სწორი კვებისთვის გლობალური ალიანსის“ ხელმძღვანელი და დავოსის ფორუმის ერთ-ერთი პოპულარული სპიკერი **ლორენს ჰადადი. „ჩვენი რაციონის არანაკლებ ნახევარს ბოსტნეული და ხილი უნდა შეადგენდეს“,** — კვერს უკრავს ჰადადს გაეროს სპეციალური წარმომადგენელი სამიტის საკითხებში — **აგნეს კალიბატა.** რაციონის მეორე ნახევარს უნდა შეადგენდეს მარცვლეული, აგრეთვე, ხორცისა და მწერების სინთეტიკური შემცვლელები.

ქალბატონი კალიბატა მოითხოვს, სასწრაფოდ და გაბედულად ჩავუტაროთ ჩვენს რაციონს რეფორმა: „უნდა შეიცვალოს ყველაფერი — ის, როგორ ვაწარმოებთ საკვებს, ისიც, როგორც ვყიდულობთ და ისიც, როგორც ვჭამთ“.

რძესა და ხორცზე მასობრივად უარის თქმა — ეს არის ნაწილი ყბადაღებული „დიდი გადატვირთვისა“, რომელიც **კლაუს შვაბმა** გამოაცხადა და რომლის უკანაც მსოფლიო ისტებლიშმენტის გავლენიანი ფიგურები დგანან. ქვეყანა, რომელიც შეეცდება, თავი აარიდოს ამ სიგიჟეს და არ დაიწყებს თავისი მეცხოველეობის განადგურებას, მყისვე გამოცხადდება მსოფლიო ტერორისტად, რომელიც ხელს უწყობს გლობალურ დათბობას.

დიახ, **ეს ჯერ კომიკურად ჩანს, მაგრამ უფლებადამცველები უკვე ცდილობენ ბრაზილიის პრეზიდენტ ჟაირ ბოლსონარუს ჰააგის სასამართლოსთვის გადაცემას იმისთვის, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში გაიჩეხა ამაზონის ჯუნგლები და იქ ძროხები შეუშვეს. მით უმეტეს, რომ ბოლსონარუ მემარჯვენე პოლიტიკოსია, სწამს ღმერთის, მოსწონს ტრამპი, ჭამს ხორცს, კორონავირუსს „ჩვეულებრივ გრიპად“ მიიჩნევს და, საერთოდ, „ცოდვილი“ რომ არის, აშკარაა.**

„კლიმატის მეფე“ **ჯონ კერის** არაერთხელ განუცხადებია, რომ ამერიკის ხელისუფლება კლიმატის ნებისმიერ ცვლილებას განიხილავს, როგორც სამხედრო საფრთხეს. ოკეანისგაღმელმა პარტნიორებმა კარგად ისწავლეს კულტურული ომების შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაყვანა, ამიტომ ახლო მომავალში გლობალური დაპირისპირების საბაბად ნატურალური ხორცისგან დამზადებული კატლეტი შეიძლება იქცეს“.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ**

ახალი გეოპოლიტიკური რეალობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთდამოკიდებულებაში რაღაც არ შეიცვლება, მათი დაახლოების მცდელობა ჩაფლავებისთვისაა განწირული, რადგან ეს ნიშნავს ცალ კარში თამაშს, თანაც, მხოლოდ რუსეთის კარში და ასეთ შემთხვევაში, მოსკოვი იძულებული იქნება, დაიწყოს თავისი კურსით სვლა, იმის მიუხედავად, რას ფიქრობს „მსოფლიო ელიტა“.**

# მიუნხენის კონფერენცია: ევროკავშირმა ახალი გეოპოლიტიკური რეალობის აღქმა დაიწყო?

## რუსეთი შეიძლება პოსტსაბჭოთა სივრცის გადაფორმატებას შეუდგეს

**საერთაშორისო უსაფრთხოების მიუნხენის კონფერენცია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში (პირველი კონფერენცია გაიმართა 1962 წელს, ბოლო — 2021 წლის 19 თებერვალს — გ.გ.) იყო თავისებური ადგილი, სადაც ხდებოდა ყველა ძირითადი პოლიტიკური ძალის პოზიციებისა და თვალსაზრისების შეჯერება მომავალზე. ეს ანალიტიკოსებს საშუალებას აძლევდა, გაეანალიზებინათ მსოფლიო ლიდერების გამოსვლების ნიუანსები საერთაშორისო ბალანსის პროექციაში.**

უნდა ითქვას, რომ ეს მექანიზმი (საერთაშორისო უსაფრთხოების მიუნხენის კონფერენცია) საკმაო წარმატებით მუშაობდა. მის ფორმატში გასაგები იყო დასავლეთის დუმილი **ვლადიმერ პუტინის** 2007 წლის ცნობილ „მიუნხენურ სიტყვაზე“, იმიტომ, რომ დასავლეთსაც ჰქონდა თავისი, საკმაოდ მკაფიო და, რაც მთავარია, ურთიერთმისაღები პოზიცია, რომელშიც პასუხისმგებლობა, მით უმეტეს, რუსეთის ლიდერის მიერ მითითებული, ასე ვთქვათ, საერთოდ არ ეწერებოდა.

**როგორც მიუნხენ-2021-მა აჩვენა ეს მსოფლიო უკვე აღარ არსებობს. შეწყვიტა არსებობა კოლექტიურმა დასავლეთმა. კონფერენციაზე ლიდერების გამოსვლა ჰგავდა სიბნელეში თავმოყრილ ესკადრას, რომელშიც ხომალდების საზღვაო სამანქანო ტელეგრაფი კი ბრწყინავდა, მაგრამ გაუგებარი იყო, რატომ მუშაობდა.**

კონფერენციაში მონაწილეობდნენ: **ჯო ბაიდენი, ემანუელ მაკრონი, ანგელა მერკელი, ბორის ჯონსონი, ურსულა ფონ დერ ლაიენი, ანტონიუ გუტერიში, ჩარლზ მიშელი, ტედროს ადამონ გებრეისუსი, ჯონ კერი და ბილ გეიტსი.**

* აშშ-ის ლიდერი დაბალი რანგის სახელმწიფო მოხელის როლში გამოვიდა. მისი სიტყვა, **ტრამპის** სიტყვის მსგავსად, გაისმა დაპირებებით, რომ ამერიკას დაუბრუნებდა დიდებას, თუმცა თავი გულმოდგინედ აარიდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების განხილვას.

ერთადერთი გამონაკლისი იყო ის, რომ ბაიდენმა თანხმობა გამოთქვა, დაუბრუნდეს **„ირანის ბირთვულ გარიგებას გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრის ფორმატში პლუს გერმანია“, მაგრამ ეს უფრო უკან გადადგმული ნაბიჯია, ვიდრე საყურადღებო იდეა, იმიტომ, რომ ირანმა ერთ გარიგებას უკვე მოაწერა ხელი და სურს, „დიალოგში ჩართულმა“ პარტნიორებმა, უბრალოდ, თავიანთი ვალდებულებები შეასრულონ. თუ ბაიდენი აპირებს, ეს გარიგება შრედერში (ქაღალდის დასანაკუწებელი მოწყობილობა — გ.გ.) ჩატენოს, მაშინ სად არის გარანტია, რომ აშშ, გამოგონილი საბაბით, ასევე არ მოექცევა ახალ გარიგებასაც?!**

* ლონდონს, საერთოდ, არ გამოუთქვამს თავისი თვალსაზრისი მსოფლიოს ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებზე, სამაგიეროდ მათთან ბრძოლის სურვილი არ დამალა აშშ-მა, მათ შორის ერთიანი სახელმძღვანელო გადაწყვეტილებების მიღებაზე. ეს იყო კლასიკური „ჩვენც გვინდა, მსოფლიო ვმართოთ!“.

* ბრიტანელებისგან განსხვავებით, **ემანუელ მაკრონმა** საჯაროდ განაცხადა საფრანგეთის უფლების შესახებ, იყოს ლიდერი — თუ მსოფლიო ლიდერი არა, ევროპის მაინც. მან სულ 5 წუთს ილაპარაკა, თუმცა დროის ამ მონაკვეთში უამრავი პარადოქსული რამ ჩაატია. ამასთანავე, მსოფლიოს რუსეთთან მეგობრობაც შესთავაზა და ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსის გადაფორმებაც ახალი რეალიების გათვალისწინებით.

მაკრონის აზრით, ნატო შეიქმნა, როგორც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის საპირწონე (როგორც ჩანს, კონსულტანტებს დაავიწყდათ, მისთვის ეთქვათ, რომ რეალურად საქმე სულ სხვაგვარად იყო — ნატო 1949 წელს შეიქმნა, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია კი — 1955 წელს, სწორედ ნატოს საპირწონედ — გ.გ.), დღეს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია აღარ არსებობს, ამიტომ ჩრდილოატლანტიკური ბლოკისთვის ახალი მიზნებია მოსაფიქრებელი. სრულიად ლოგიკურ იდეაზე კი — ნატოც დაიშალოს — დუმილი ამჯობინა.

* თავის მხრივ, გერმანია შეეცადა, ორ სკამზე დამჯდარიყო. პრეტენზია გამოთქვა, რომ გეოპოლიტიკურ არეალში ვაშინგტონის მსგავსი ლიდერი ყოფილიყო, შემდეგ ყველას მოუწოდა, „ეცხოვრათ მეგობრულად“. მერე კი ევროკავშირსა და ნატოს შესთავაზა, ბოლოს და ბოლოს, გამოემუშავებინათ ერთობლივი პოზიცია რუსეთის მიმართ და მოითხოვა, „ხელი არ ახლონ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ს. ამასთანავე, ამერიკელებს დაუდასტურა თანხმობა, შეემუშავებინათ კომპრომისული წინადადება შესაძლებლობაზე, განეგრძოთ, იაფი რუსული ბუნებრივი აირის მიღება. **მერკელმა განაცხადა, რომ ბერლინი ამუშავებს პოლიტიკურ მექანიზმს, რომელიც შესაძლებლობებს მისცემს, დაბლოკოს „ჩრდილოეთის ნაკადი-2“, თუკი მოსკოვი გადაწყვეტს, აღარ „გამოკვებოს უკრაინა“, მაგრამ ამ მექანიზმის დიდი წითელი ღილაკი ბერლინში უნდა იყოს. სამაგიეროდ, აშშ-ის მხრიდან ამ წინადადებაზე თანხმობის შემთხვევაში, გერმანია მზად არის, ავლანეთში შეინარჩუნოს ბუნდესვერის კონტინგენტი.**



**ბრიტანელებისგან განსხვავებით, ემანუელ მაკრონმა საჯაროდ განაცხადა საფრანგეთის უფლების შესახებ, იყოს ლიდერი — თუ მსოფლიო ლიდერი არა, ევროპის მაინც. მან სულ 5 წუთს ილაპარაკა, თუმცა დროის ამ მონაკვეთში უამრავი პარადოქსული რამ ჩაატია; ამასთანავე, მსოფლიოს რუსეთთან მეგობრობაც შესთავაზა და ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსის გადაფორმებაც ახალი რეალიების გათვალისწინებით**

საერთო ჯამში, მოლაპარაკებები 2021 წლის მიუნხენის კონფერენციაზე იყო ყველაფერი, სერიოზული და პასუხისმგებლობის მქონე პირების შეხვედრის გარდა, რომლებსაც გათვალისწინებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა უსაფრთხოებაზე მსოფლიოში.

თუმცა, **ექსპერტთა აზრით, მომხდარში არის დადებითი მხარეც. საბოლოოდ გაირკვა, რომ კონფერენციის მონაწილეებს არ კლავთ რუსეთთან მეგობრობის სურვილი; არც ანტირუსული სანქციების გაუქმება სურთ; ცდილობენ, ყველა საკამათო საკითხზე ძველ პოზიციებზე დარჩნენ. აქედან გამომდინარე, თუ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთდამოკიდებულებაში რაღაც არ შეიცვლება, მათი დაახლოების მცდელობა ჩაფლავებისთვისაა განწირული, რადგან ეს ნიშნავს ცალ კარში თამაშს, თანაც, მხოლოდ რუსეთის კარში და ასეთ შემთხვევაში, მოსკოვი იძულებული იქნება, დაიწყოს თავისი კურსით სვლა და შეუდგეს პოსტსაბჭოთა სივრცის გადაფორმატებას თავისი ინტერესების შესაბამისად, იმის მიუხედავად, რას ფიქრობს „მსოფლიო ელიტა“.**

russtrat.ru-ზე
გამოქვეყნებული მასალების
მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**გერმანია შეეცადა, ორ სკამზე დამჯდარიყო. პრეტენზია გამოთქვა, რომ გეოპოლიტიკურ არეალში ვაშინგტონის მსგავსი ლიდერი ყოფილიყო, შემდეგ ყველას მოუწოდა, «ეცხოვრათ მეგობრულად», მერე კი ევროკავშირსა და ნატოს შესთავაზა, ბოლოს და ბოლოს, გამოემუშავებინათ ერთობლივი პოზიცია რუსეთის მიმართ და მოითხოვა, «ხელი არ ახლონ «ჩრდილოეთის ნაკადი 2»-ს. ამასთანავე, ამერიკელებს დაუდასტურა თანხმობა, შეემუშავებინათ კომპრომისული წინადადება შესაძლებლობაზე, «განეგრძოთ, იაფი რუსული ბუნებრივი აირის მიღება»**

**P.S.** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის 11 თებერვლის განცხადებამ, რომ რუსეთი აღარ აპირებს სანქციების სერიისა და ევროკავშირის მხრიდან მორალური უპირატესობის პოზიციიდან ლაპარაკის მოთმენას და მზად არის, გაწყვიტოს ურთიერთობა ევროკავშირთან, ცოტათი გამოაფხიზლა დასავლელი ლიდერები, რაც აისახა ემანუელ მაკრონის გამოსვლაში. მაკრონის თქმით, საფრანგეთი მზად არის, გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესები. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ელიტის გამოფხიზლება არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ოკეანის გაღმაც შეინიშნება. მიმდინარე წლის 19 თებერვალს პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა NNewsweek -მა გამოაქვეყნა წერილი სათაურით „შეძლებს კი დასავლეთი პუტინთან გამკლავებას?“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჯო ბაიდენი ვერ შეძლებს, აიძულოს მოსკოვი, მსოფლიოს შეხედოს ისე, როგორც ვაშინგტონში ხედავენ. „ზოგიერთი იტყვის, რომ ეს დამარცხებისთვის განწირული კაცის თვალსაზრისია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთია, გეოპოლიტიკური რეალობა“, — ასკვნის გამოცემა.

გ.გ.

**ჟორა კობახიძე ავიაციით იყო გატაცებული და სამხედრო მფრინავის ხელოვნებას ეუფლებოდა ბათუმის აეროკლუბში, სადაც არაერთი კარგი პილოტი მომზადდა. ომშიც, შესაბამისად, პილოტის ფუნქციას ასრულებდა. ლენინაკანში განლაგებული ავიანაწილი ომის პერიოდში კობახიძესთან ერთად უკრაინაში გადაისროლეს. სწორედ უკრაინაში მიმდინარე სასტიკი ბრძოლების დროს დაიღუპა მამაცი ქართველი მფრინავი ჟორა კობახიძე.**

არავინ არ არის დავიწყებული
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ომში დაღუპული სამი ძმა და ნაცისტების ტყვეობაში გატარებული ოთხი წელიწადი

**ინტერნეტრესურსი „დიდი სამამულო" პროექტის „ჩემი მამაცი წინაპარი" ფარგლებში ამჯერად აქვეყნებს ქალბატონების — ივეტა კობახიძისა და ცისანა ლეკიშვილის მოგონებებს თავიანთი მამაცი წინაპრების შესახებ.**

საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა 83 წლის ქალბატონმა ივეტამ თავისი გულისტკივილი გამანდო: სამი-ოთხი წლის წინათ, 9 მაისს, როგორც ყოველთვის, ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის მონუმენტთან მივიდა და შეესწრო ჩვენი ლიბერალ-ფაშისტების მიერ დადგმულ ამაზრზენ სკანდალს, როდესაც მოხუცებს, მათ შორის, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, ყველა ნორმალური ადამიანისთვის წმინდათაწმინდა დღის ზეიმი არ აცალეს. ამ სამარცხვინო აქტს, როგორც ცნობილია, ერთჯერადი ხასიათი არ ჰქონია და წლიდან წლამდე მეორდება. ლიბერალ-ფაშისტური „შაბაშის" ზოგიერთი „შემოქმედი" დღეს, სხვათა შორის, პარლამენტში ზის — ხელისუფლების მიერ ნალოლიავები „ოპოზიციის" წარმომადგენლის სტატუსით.

თუმცა ამაზე სხვა დროს. ახლა კი გაგაცნობთ ქალბატონ ივეტას მიერ მოწოდებულ ინფორმაციას თავისი მეომარი წინაპრების შესახებ.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ახალგაზრდა რაჭველმა კაცმა **ვარდენ კობახიძემ** კოლხ ქალიშვილ **არმიდა პარკაიასთან** ერთად ოჯახი შექმნა. მათ სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი შეეძინათ. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, 1941 წელს, სამივე ვაჟი ფრონტზე გაიწვიეს, მცირე ხნის შემდეგ კი მათი და — ექთანი **ქეთო კობახიძეც** ომში წავიდა.

უფროსი ძმის, **ჟორა (გიორგი) კობახიძის** გარდა, რომელმაც **შურა ჯიქიძეზე** იქორწინა, ოჯახი არც ერთ მათგანს არ ჰყავდა. ამ ოჯახში გაჩნდა **ივეტა კობახიძე,** რომელსაც ერთი ძმა ჰყავდა (გარდაიცვალა მოსკოვში 2010 წელს). **ჟორა კობახიძე ავიაციით იყო გატაცებული და სამხედრო მფრინავის ხელოვნებას ეუფლებოდა ბათუმის აეროკლუბში, სადაც არაერთი კარგი პილოტი მომზადდა. ომშიც, შესაბამისად, პილოტის ფუნქციას ასრულებდა. ლენინაკანში განლაგებული ავიანაწილი ომის პერიოდში კობახიძესთან ერთად უკრაინაში გადაისროლეს. სწორედ უკრაინაში მიმდინარე სასტიკი ბრძოლების დროს დაიღუპა მამაცი ქართველი მფრინავი ჟორა კობახიძე, რომელიც იმხელა ავტორიტეტით სარგებლობდა თანამებრძოლებში, რომ მათ დაღუპულის ტანსაცმელი ოჯახს გამოუგზავნეს.**

## ომიდან ვერ დაბრუნდნენ ჟორა კობახიძის უმცროსი ძმები — ბონდო და ღუღუნი კობახიძეები. სამი მებრძოლი ძმა, სამი ქართველი გმირი, სამი ტრაგიკული ბედი



მფრინავი ჟორა კობახიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით

ომიდან ვერ დაბრუნდნენ ჟორა კობახიძის უმცროსი ძმები — ბონდო და ღუღუნი კობახიძეები. სამი მებრძოლი ძმა, სამი ქართველი გმირი, სამი ტრაგიკული ბედი... ბებიამ, ქალბატონმა არმიდამ, ვერ გაუძლო ამ დარტყმას — 1945 წელს ინფარქტი დაემართა, 1949 წელს კი გარდაიცვალა...

ტრაგიკული აღმოჩნდა ქალბატონ ივეტას დედის ძმის, **შოთა ჯიქიძის,** ბედიც, ომიდან ცოცხალი არც ის დაბრუნებულა... ომში დაიღუპნენ უფროსი დეიდის მეუღლე — **ვალოდია კილაძე** და მისი ორი ძმა. ასე და ამრიგად, ერთმა ოჯახმა შვიდი ვაჟკაცი შესწირა სამშობლოს...

* * *

ქალბატონი **ცისანა ლეკიშვილი** გორიდან გამომეხმაურა, რომელმაც თავის მამაზე, **შალვა ლეკიშვილზე,** მომაწოდა ინფორმაცია.

**შალვა ილიას ძე ლეკიშვილი დაიბადა 1906 წლის 1 აპრილს გორის რაიონის სოფელ ახალდაბაში, ილია ლეკიშვილისა და მარიამ ლალიაშვილის ოჯახში. შალვას მამა იყო ხელოსანი და დაუღალავი შრომით არჩენდა ოჯახს. შალვამ პირველი დაწყებითი განათლება მიიღო გორის მეოთხე ე.წ. შრომის სკოლაში.** მისი თანაკლასელები იყვნენ **გიორგი ხარაული** (გორის პედ. ინსტიტუტის დირექტორი), **ლ. ხარატიშვილი** (ალმასკომის თავმჯდომარე, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი), **ა. ბოჭორიშვილი** (საქართველოს განათლების მინისტრი), **ნ. ყაველაშვილი** (შახტმშენის მთავარი ინჟინერი) და სხვები. შალვა ლეკიშვილმა 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური კურსები ეკონომისტის რანგში და მუშაობდა გორის რაიონის თითქმის ყველა სოფელში მთავარ ეკონომისტად. 1931 წელს შალვა ლეკიშვილმა შექმნა ოჯახი **თამარ ფოცხვერაშვილთან** ერთად. ოჯახში აღიზარდა 3 ქალიშვილი: **ლილი, ცისანა (ნაზიბროლა)** და **მერი ლეკიშვილები.** საზოგადოებას ალამაზებენ მისი შვილები და შვილიშვილები **(თინა, გიორგი, მაია) და შვილთაშვილები (დათო, ანა, ნინო, ლუკა).**

**სამამულო ომის დაწყებისთანავე, პირველივე დღეებში, შალვა ლეკიშვილი მოხალისეთა რიგებში ჩაეწერა და მალე აღმოჩნდა ფრონტზე. გარდა ჯარისკაცობის პირდაპირი მოვალეობისა, მას, როგორც ეკონომიკის სპეციალისტს, დაკისრებული ჰქონდა საჯარისო გაერთიანებაში სამეურნეო საკითხების მოგვარება, მის გამგებლობაში შედიოდა ჯარისკაცთა კვების უზრუნველყოფა. ფრონტიდან მიღებული წერილებიდან ჩანდა, რომ მისი საქმიანობით კმაყოფილი იყვნენ, როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო სფეროების ხელმძღვანელები.**

ქალაქ ქერჩთან წარმოებული დაუნდობელი ბრძოლებისას, შალვა, სხვა თანამებრძოლებთან ერთად, ტყვედ ჩავარდა და ეს ტყვეები ფეხით ატარეს ფაშისტებმა დიუსელდორფის საკონცენტრაციო ბანაკამდე, სადაც თითქმის 4 წელი გაატარა მძიმე შრომასა და ვაებაში. მის თვალწინ აწამებდნენ და ხვრეტდნენ პატიმრებს. ქალბატონი ცისანა იგონებს, რომ მამა ჯარში რომ წავიდა 103 კგ იწონიდა, ხოლო შინ რომ დაბრუნდა, 48 კგ-სო. ბავშვები მამას ვერ ცნობდნენ და ამის გამო სამივე ტიროდა.

შალვა შინ დაბრუნდა 1945 წლის 5 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ტყვეებმა თვითონ გაანგრიეს საკონცენტრაციო ბანაკის კარი და ფეხით გაუდგნენ სამშობლოსკენ მიმავალ გზას. შალვა ლეკიშვილი დაჯილდოებული იყო ორდენით. ომის შემდგომ მშვიდობიან წლებში სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. გარდაიცვალა 1974 წლის 30 ოქტომბერს, 68 წლისა. დაკრძალულია გორის კვერნაკის სასაფლაოზე.

**გულბაათ რცხილაძე**
didisamamulo.ge



ჟორა კობახიძის წერილები



ბათუმის აეროკლუბის კურსდამთავრებულები. კობახიძე —ზემოთ, მარცხნივ



შალვა ლეკიშვილი-მარჯვენიდან მეორე



შალვა ლეკიშვილი — შუაში

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვერაფერი დროება გახლავთ“, თუმცა უწინ უარესიც არაერთხელ ყოფილა, „მომხდარა ისიც, რომ ბედაურები დახოცილან და ვირებს დაჰრჩენიათ ბურთი და მოედანი, მაგრამ ქვეყანა ისევ ქვეყანად დარჩენილა, გამოჩენილა კიდევ ბედაურები და ვირებისთვის დაუცლეინებიათ მოედანი“.

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. მაგრამ ეს წისქვილიც რომ ვერ ფქვავს ხეირიანად?!

## ეს ისე... სხვათა შორის

„ერი, უმრავლესობა, რასაც დაადასტურებს, უცვალებელია. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: ხმა ღვთისა — ხმა ერისაო“, მაგრამ სად არის ერი? რატომ დუმს?...რატომ არც ერთ დაპირისპირებულ მხარეს არ უკრავს კვერს, არ უჭერს მხარს? იმედგაცრუებული და გარინდული, არის თავისთვის, მაგრამ, თუ ხმა ამოიღო, მერე მისი დაჩუმება, დადუმება ყოვლად შეუძლებელი იქნება.

ჩვენი ნათქვამი მწარე სიმართლე ბევრს ყელში აქვს გაჩხერილი და შესაძლოა, ცილიც დაგვწამოს — ვინმეს დაკვეთას ასრულებსო, მაგრამ, ღმერთია მოწამე, ჩვენი მიზანი იმ მწარე სიმართლისთვის თვალის გასწორებაა, რომელიც, წლებია, ვერა და ვერ შეიცვალა.

ამიტომაც არა და არ დაძველდა ეს რუბრიკა და ყოველ ნომერში ერის ამა თუ იმ სატკივარზე მკითხველს გარკვეულ თვალსაზრისს სთავაზობს, ან, უბრალოდ, გულისტკივილს უზიარებს. ვერავინ იტყვის, რომ ჩვენი პუბლიკაციებით ვინმეს პირად ანგარიშს ვუსწორებთ და ამის გამო პიროვნულად შეურაცხვყოფთ. უბრალოდ, ვწერთ საერთოდ, ზოგადად რასაც ვხედავთ და ვგრძნობთ, ჩვენ პირადი ანგარიში არავისთან გვაქვს გასასწორებელი. ქვეყანაზე რომ გული შეგვტკივა, სწორედ ამიტომ ვუკიჟინებთ მავანთ.

სიავისა და სიკეთის ყნოსვა ყველას ერთნაირი ხომ არ აქვს. დიახ, ბატონებო, თუ ვინმე იმაზეა გამწყრალი, რომ ისიც მათ რიცხვში მოჰყვა, ვისაც ჩვენ ქართული და, საერთოდ, საზოგადო საქმეებისადმი გულგრილობის გამო ვამხელთ, ჩვენი ბრალი ნამდვილად არ არის. პოლიტიკაში „დაფრთიანებული“ „საზოგადო მოღვაწეების“ ნაღვაწი დღეს ხელის გულზე დევს. ამ „გაუგებრობაში“ ჩვენ არ ჩაგვითრევია, ეს მათი არჩევანია და საკუთარ თავს მოჰკითხონ, რამდენად გულწრფელნი არიან თავიანთ ქმედებაში, რამდენად აწუხებთ ქვეყნისა და რიგითი მოქალაქეების ბედი.

ის, რომ დროის სვლასთან ერთად მათი რეიტინგი ეცემა, იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ კი არ ვდებთ მსჯავრს მათ „ნაშრომ-ნაღვაწს“, არამედ თავადვე გამოაქვთ განაჩენი საკუთარი თავისთვის და, უპირველესად, ხალხისთვის.

„მეტისმეტი ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ერთს ფონში ორჯელ და სამჯერ ცხენი დაეფლას, სამჯერვე სხვის წყალობით გადაჰრჩეს და მეოთხედაც კიდევ მიჩერჩეტდეს იმ ფონში გასასვლელად. ამისთანა ადამიანი, გინდ იქით იყოს, გინდ აქეთ, არავისთვის სახარბიელო არ არიო“, — ამას ვაჟა-ფშაველა ამბობს, ჩვენი ვაიპოლიტიკოსები კი საქმით ადასტურებენ. ოღონდ ერთს ვერ ითვალისწინებენ: ამდენი სიცრუის შემდეგ მათი აღარავის სჯერა და ამიტომაც აღარავინ უსმენს.

და ასე დგანან აქციებზე — ხან იქ, ხან აქ და ქაქანებენ, თუმცა, ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. მაგრამ ეს წისქვილიც რომ ვერ ფქვავს ხეირიანად?!

როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, „ვერაფერი დროება გახლავთ“, თუმცა უწინ უარესიც არაერთხელ ყოფილა, „მომხდარა ისიც, რომ ბედაურები დახოცილან და ვირებს დაჰრჩენიათ ბურთი და მოედანი, მაგრამ ქვეყანა ისევ ქვეყანად დარჩენილა, გამოჩენილა კიდევ ბედაურები და ვირებისთვის დაუცლეინებიათ მოედანი“.

„ძალა მუდამ უმრავლესობაშია, მაგრამ ეს ძალა თუ შეუგნებელია, ბრმა, უფრო მავნებელია საქმისთვის, ვიდრე მარგებელი. ეს მაგალითებმა დაგვიმტკიცესო“. ჩვენ მსგავსი მავნებლური, სამარცხვინო და დამღუპველი მაგალითები ცოტა ვიცით? რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?!

„განუვითარებელი, გაუზდელი ხალხი, როგორიც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი და სათლელი დუმა იქნება. საიმედო პოლიტიკური მოქმედებისათვის მხოლოდ მომზადებული თვალახილებული ხალხიაო“. შეიძლება ვინმეს სიტყვები: „განუვითარებელი“ და „გაუზდელი“ ცუდად შეეჩხირა თვალში, მაგრამ სულ ამაოდ, რადგან დიდი მგოსანი, დარწმუნებული ვარ, გონებრივ ჩამორჩენილობასა და უზრდელობას არ გულისხმობდა. ამ შემთხვევაში სწორედ რომ დემოკრატიული მმართველობისთვის საჭირო განვითარებასა და ცოდნაზეა საუბარი.

ეს ისე... სხვათა შორის, რადგან ჩვენი ცხოვრებაც სასხვათაშორისოა — სხვათა შორის ვფიქრობთ, ვსაქმიანობთ და, საერთოდ, ვცხოვრობთ. მოვუსმინოთ ისევ ვაჟა-ფშაველას:

### სხვათა შორის

ჩვენი ცხოვრება სწორედ რომ სხვათა შორისოა: რასაც ვფიქრობთ და ვაკეთებთ, გამოდის, რომ სხვათა შორის გვიფიქრია და გვიკეთებია. **საწყენი ის არი, რომ უმთავრესს, უსაჭიროეს საქმესაც სხვათა შორის ვაკეთებთ.** ვმწერლობთ, ვპედაგოგობთ თუ ვქველმოქმედობთ გამოდის სულ სხვათა შორისებურად.

**ვერაფერი დროება გახლავთ: ადამიანს მამის სული გაუშვია და პაპისას ფიცულობს. ალბათ წინად, ძველ დროშიაც, მომხდარა ამისთანა მაგალითები, თორემ ამისთანა ანდაზა არ დაიბადებოდა. დიაღ, ყოფილა ამისთანა მაგალითები, მაგრამ ქვეყანა არ წარღვნილა, არც დაღუპულა. ამიტომ მეც იმედს არა ვკარგავ.**

მომხდარა ისიც, რომ ბედაურები დახოცილან და ვირებს დაჰრჩენიათ ბურთი და მოედანი, მაგრამ ქვეყანა ისევ ქვეყანად დარჩენილა, გამოჩენილა კიდევ ბედაურები და ვირებისთვის დაუცლეინებიათ მოედანი. მომხდარა ისიც, რომ ბედაური აზრები დახოცილა ისე, როგორც გაზაფხულზე ყვავილები და ბალახი იხოცება და ვირულ აზრებს უფარფაშიათ. მაგრამ დამდგარა გაზაფხული და ბედაური აზრები ამდგარან მკვდრეთით.

**მომხდარა ისიც, რომ ძაღლს პატრონი ვეღარ უცნია და პატრონს — ძაღლი, მაგრამ ბოლოს უცნიათ ერთმანეთი მაინც და მაინც.**

მომხდარა ისიც, მაჩაბლის ცუღლუტობის გამო ურია დაუსჯიათ, მაგრამ, ჰხედავთ, დღეს ვიცით ცხადად, ნათლად დასასჯელი ვინ იყო და ვინ დასაჯეს. სიმართლე გამოაშკარავდა, არ დაიმალა: ვიცით დღეს ცხადად, აშკარად, რომ ტყუილუბრალოდ დაისაჯა საწყალი ურია და გვებრალება, ხოლო მაჩაბელზე ბრაზი მოგვდის.

**ერი, უმრავლესობა, რასაც დაადასტურებს, უცვალებელია. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: ხმა ღვთისა — ხმა ერისაო.**

სხვათა შორის ჩვენს ცხოვრებაში ასეთი მაგალითებიც მომხდარა, რომ სულელს (იქნება ძალიან გულკეთილი იყო) მამას და დედას დამშეული შვილებისთვის აურთმევია ტაბლა და სხვისთვის გადაუცია: თქვენ მიირთვითო!.. ამაზე მეტი კაცთმოყვარეობა იქნებაღა? **რადა სწყინს ერს, ხალხს და რად იძახის დაჟინებით: შინ რომ ბაღლებს გიშიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო?!** ალბათ, ამისთანა კაცთმოყვარეობა არ მიაჩნია ნამდვილ კაცთმოყვარეობად და იმიტომ სთვლის არა ბუნებრივ, არა ნორმალურ მოვლენად, ეს თქვენ და თვით ერმა განსაჯეთ, მე არ შევდივარ ამის განსჯაში; მე მხოლოდ აღვნიშნავ იმას, რაც მომხდარა და რაც დღესა ხდება.

**რად გიკვირსთ. მაშასადამე, რომ ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ლალად, პატრონად, არა პირადი თავის ნაღვაწი, არამედ ერის საუნჯე-ტერიტორია გახადონ საძმო, საკაცობრიო ტაბლად და თვით ერსაც აალებინონ ხელი ეროვნებაზე? გაივლის ყველა ეს, დაჰლევს ჩაილურის წყალს, მხოლოდ ეს არის სავალალო, რომ ნამუსახდილ ბებრის სახლის კარებს გვიან გაეგდება ურდული.**

**მაშ, რევოლუციის ქარიშხალმა სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა ჩვენთვის? არა. იმან ერთი დიდი სიკეთე მოგვიტანა: გამოამჟღავნა ჩვენი გონებრივი სიღატაკე, მოუმზადებლობა, ხალხის სიბნელე და დაჰბადა მისწრაფება კულტურულ მუშაობისა; დაგვახედებინა წინ, დაგვანახვა ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი ძალ-ღონე.** დღეს ყოველი შეგნებული ქართველი მიისწრაფის ერში, ხალხში მეტი თვითცნობიერება, მეტი სინათლე შეიტანოს, ამ- ▶



> «ერი, უმრავლესობა, რასაც დაადასტურებს, უცვალებელია. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: ხმა ღვთისა — ხმა ერისაო», მაგრამ სად არის ერი? რატომ დუმს? რატომ არც ერთ დაპირისპირებულ მხარეს არ უკრავს კვერს, არ უჭერს მხარს? იმედგაცრუებული და გარინდული, არის თავისთვის, მაგრამ, თუ ხმა ამოიღო, მერე მისი დაჩუმება, დადუმება ყოვლად შეუძლებელი იქნება




> «ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ლალად, პატრონად, არა პირადი თავის ნაღვაწი, არამედ ერის საუნჯე-ტერიტორია გახადონ საძმო, საკაცობრიო ტაბლად და თვით ერსაც აალებინონ ხელი ეროვნებაზე. გაივლის ყველა ეს, დაჰლევს ჩაილურის წყალს, მხოლოდ ეს არის სავალალო, რომ ნამუსახდილ ბებრის სახლის კარებს გვიან გაეგდება ურდული»

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ადამიანს მამის სული გაუშვია და პაპისას ფიცულობს. ალბათ წინად, ძველ დროშიაც, მომხდარა ამისთანა მაგალითები, თორემ ამისთანა ანდაზა არ დაიბადებოდა. დიალ, ყოფილა ამისთანა მაგალითები, მაგრამ ქვეყანა არ წარღვნილა, არც დაღუპულა. ამიტომ მეც იმედს არა ვკარგავ“.





## «აპეკუნობა, რაც უნდა კარგი აპეკუნი იყოს იგი, აჩლუნგებს ერის ძალღონეს, თვითცნობიერებას»






## «მეტისმეტი ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ერთს ფონში ორჯელ და სამჯერ ცხენი დაეფლას, სამჯერვე სხვის წყალობით გადაარჩეს და მეოთხედაც კიდევ მიჩერჩეტდეს იმ ფონში გასასვლელად. ამისთანა ადამიანი, გინდ იქით იყოს, გინდ აქეთ, არავისთვის სახარბიელო არ არი»



## «ვინ იტყვის, თუ არ ბრიყვი, რეგვენი, თავხედი, — ცხოვრებას კისერში ხელსა ვტაცებ და თავს, საითაც მინდა, იქით ვუზამო. ეცადოს, ვისაც ტვინი და ხელები ექავება»

◀ ისთვის არ ჰზოგავს დაეხმაროს ჯან-ღონით თუ ნივთიერად. **ძალა მუდამ უმრავლესობაშია, მაგრამ ეს ძალა თუ შეუგნებელია, ბრმა, უფრო მავნებელია საქმისთვის, ვიდრე მარგებელი. ეს მაგალითებმა დაგვიმტკიცეს.**

**განუვითარებელი, გაუზდელი ხალხი, როგორიც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი და სათლელი დუმა იქნება. საიმედო პოლიტიკური მოქმედებისათვის მხოლოდ მომზადებული თვალახილებული ხალხია.**

ასეა სწორედ, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ხალხის გათვითცნობიერობას მხოლოდ დღესღა შეუდექით. დიქტატორებს და დემაგოგებს სწყინთ და უნდა კიდევაც ეწყინოთ, რადგან იმათ ბრმად აღარავინ დაემორჩილება და იმათ მეუფებას აღარავინ აღიარებს, მაგრამ იმათ წყენასაც უნდა გაუძლოთ იმ დრომდე, ვიდრე თავის გუდა-ნაბდით ჩვენს ბანაკში არ გადმოსახლდებიან. ვითომ? ჰკითხულობთ თქვენ. მე ასე მგონია, როგორც სხვათა შორის ავტორს და რა ვიცი. მგონია და საბუთიცა მაქვს ასე მეგონოს, რადგანაც **მეტისმეტი ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ერთს ფონში ორჯელ და სამჯერ ცხენი დაეფლას, სამჯერვე სხვის წყალობით გადაჰრჩეს და მეოთხედაც კიდევ მიჩერჩეტდეს იმ ფონში გასასვლელად. ამისთანა ადამიანი, გინდ იქით იყოს, გინდ აქეთ, არავისთვის სახარბიელო არ არი.**

* * *

**მახლას შორისდებულია და გამოხატავს დანანებას: რას იზამ, რა გაეწყობა, აფსუს!**

**ასევე სათაურია ვაჟა-ფშაველას წერილისა, რომელიც მას იმ პერიოდში არსებულმა ვითარებამ მოაფიქრებინა.**

**მახლას! — დღეს ვამბობთ ჩვენც, როცა ვხედავთ, ხელიდან როგორ მიდის ქვეყანა და ამის შემჩერებელი კაცი არ ჩანს.**

**მახლას!**

### მახლას!

**წყალნი წავლენ და**
**წამოვლენ,**
**ქვიშანი დარჩებიანო.**
***ხ ა ლ ხ უ რ ი***

სწორედ ის დრო დადგა, დილიდან საღამომდე „მახლას“ რომ იძახო, მეტი როდი მოვა, მკითხველო, თქვენი არ ვიცი და, მე კი წამდაუწუმ ეს სიტყვა მეკერება ენაზე მას შემდეგ, რაც მდ. იალბუზზე ბრძოლა მოხდა, დღეს აქამომდე.

მახლას! მახლას!

მოხუცი ბიძაჩემიც ამასვე იძახის, თუმცა იგი სრულიად წინააღმდეგს მოელოდა, როგორც ომისგან, ისე ცხოვრებისგან და იმდენად უბირია, უკაცრავად მის ჭაღარის წინაშე, რომ, რაც უნდა მოხდეს, უსათუოდ იმას არ მოელის, არა სჯერა.

ვისაც არა სჯერა, ნუ სჯერა.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა ექიმმა საგიჟეთში წამიყვანა. ერთს შეშლილს გამაცნო: „ეს თავადიშვილი გახლავთ, თარხან-მოურავოვი“. უკანასკნელმა იტკიცა: „ნეეტ. არა. ია პაკოვსკი“.

წადით და დაარწმუნეთ ეხლა თქვენ ის, რომ პაკოვსკი არ არის....

ბიძაჩემის საქმეც ასეა.

**ნათქვამია: ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. ცხოვრება ჩვენს წადილს და გემოვნებას არ დასდევს; იმას საკუთარი თავისი კანონი აქვს; როგორც გაზაფხულის მთიდან მომსქდარს ღვარებს ვერავინ დააგუბებს, ვერ შეაჩერებს, ისე ცხოვრების წადილს, მის მისწრაფებას, ბევრის წყენას, ბევრის ცემას, გვემას არ დაგიდევს. მომწიფებული მსხალი და ვაშლი თუ დროზე არ მოსწყვიტე, თავისთავად დაბლა ვარდება; ეგრეთვე მომწიფებული აზრი ცხოვრებისა, თუ მისი მოთხოვნილება დროზე არ დააკმაყოფილე, ბრაზდება, ცხარდება; მისი დაჩუმება, დადუმება, ყოვლად შეუძლებელია.** ასე ყოფილა სხვაგან, ასევე იქნება ჩვენში. **ვინ იტყვის, თუ არ ბრიყვი, რეგვენი, თავხედი, — ცხოვრებას კისერში ხელსა ვტაცებ და თავს, საითაც მინდა, იქით ვუზამო. ეცადოს, ვისაც ტვინი და ხელები ექავება.**

**ყველაფერი დროს მოაქვს და ბევრი რამ იმასვე მიაქვს, ხოლო არა სასარგებლო, არამედ ის, რაც გამოუსადეგარი, რაც მავნებელია.** დრო, რასაკვირველია, არ უნდა წარმოვიდგინოთ განყენებულად, არამედ როგორც თაობა, როგორც ისტორიული ხანა.

დღევანდლამდის სიმართლეს ჯადოდ აწვა გონებრივი სიჯიუტე, ხოლო დღეს მან მოიგდებინა ჯადო, აღსდგა, გამობრწყინდა, როგორც მზე შავის ღრუბლებიდან, და იძახის: „აქა ვარ, არ მოვმკვდარვარო!“ „კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო“.

ჩვენს ისტორიულს ხანას, ჩვენს ცხოვრებას ჭირი სჭირდა, მაგრამ ჰმალავდა, გვატყუებდა: კარგადა ვარ, ჯანსაღად, არაფერიც არა მტკივაო, გვარწმუნებდა, გვეფიცებოდა ლოგინად ჩავარდნილი, დაკუტებულ-დამუნჯებული. დღეს კი, როცა ტკივილი მოერია, მოთმინება გაუწყდა, გაიღელა გულ-მკერდი და დაგვანახა ზედ ღრმად დაჩნეული წყლულები: „მიექიმეთო“. ყველა ჭკვასალი, შორსგამჭვრეტი ადამიანი ჰგრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან, ეს ასე უნდა მომხდარიყო.

მოხდა კიდევაც. და **დღეს ყველა ძალაუნებურად მოსთქვამს იმას, რაცა სტკივა. მოთმინების ძაფი გაწყდა; აღარ ჰმალავს მშიერი სიმშილს, ნაცემი — ცემას, ტყვე — ტყვეობას, მონა — მონობას. ბალღებმაც კი შეიგნეს თავიანთი ადამიანობა, ისინიც იბრძვიან, იღწვიან, ცდილობენ ადამიანური უფლებები მოიპოვონ.** ვისაც არაფერი დაუკარგავს, არც ეძებს. ვისაც სატირელი არა აქვს რა, არცა ტირის; ვისაც საჩივარი არა აქვს, არ ჩივის.

დიალ, აბარებს ძველი ცხოვრება ანგარიშს ახალს, მომავალს ცხოვრებას; როგორც გაწბილებული მატყუარა ცდილობს, გაიპაროს ისე, რომ ფეხები არ დაემტვრეს. დროა და!

ეჰ, მახლას!

* * *

**მინაწერი: იმედია, ადრე თუ გვიან ჩვენც მოვესწრებით ლოგინად ჩავარდნილი, დაკუტებულ-დამუნჯებული ერის ფეხზე წამოდგომას და ერთ დღეს, როცა ტკივილი მოერევა, მოთმინების ძაფი გაუწყდება, მიექიმეთო, უხმობს თავის შვილებს გულ-მკერდზე ღრმად დაჩნეული წყლულების მოსაშუშებლად. იმედია, არც ამჯერად გაგვწირავს ღმერთი და მოგვევლინება ის, ვისაც დღედაღამ ჩუმის ნატვრით ნატრულობს ქართველი, თორემ დღეს ადამიანს მამის სული გაუშვია და პაპისას ფიცულობს. ეს ანდაზა არ დაიბადებოდა, ძველ დროშიაც რომ არ მომხდარიყო ამისთანა მაგალითები. „დიალ, ყოფილა ამისთანა მაგალითები, — გვიდასტურებს ვაჟა-ფშაველაც, — მაგრამ ქვეყანა არ წარღვნილა, არც დაღუპულა. ამიტომ მეც იმედს არა ვკარგავ“-ო.** ნურც ჩვენ დავკარგავთ. მით უფრო, რომ უკვე კარგად ვიცით, რომ **„აპეკუნობა, რაც უნდა კარგი აპეკუნი იყოს იგი, აჩლუნგებს ერის ძალღონეს, თვითცნობიერებას“.**

**ეჰ, მახლას!**

თანამედროვე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმ დროს საზოგადოება შეკრული იყო, ტრადიციული ურთიერთობა ფასდებოდა, ადამიანური საწყისის გათელვა ყოვლად მიუღებელი იყო, კანონი კანონობდა და კანონზე მაღლა იდგა ზნეობა — ორი საწყისის უნიკალური სინთეზი.**

# მეამბოხე ბიზნესმენი კვლავაც ფორმაშია

**გოგი თოფაძე ცნობილი ქართველი „წითელი დირექტორების“ კოჰორტიდან ერთ-ერთი უპირველესია, რომელიც არასოდეს არ გამხდარა ოლიგარქი.**
**თუმცა ამის ყველა შესაძლებლობა ჰქონდა.**
**ცდუნებაც.**
**იყო და რჩება ჭეშმარიტ ბიზნესმენად და საზოგადო მოღვაწედ. ქველმოქმედად აგრეთვე და, რაღა თქმა უნდა, ცხოვრების ჯანსაღი წესის ერთგულ მოქალაქედ.**
**იქნებ თქვენ იცნობთ სხვა დიდ ბიზნესმენს საქართველოში, რომელიც თავის მეგობრებსა და თანამშრომლებს მასავით უანგაროდ ეხმარება?**
**მე — არა.**
**ჰოდა, თეთრ ფურცელზე დასაფიქსირებლად მუჯლუგუნებით მოიწევს უცნობილესი სენტენცია — ჯანსაღი სხეულისა და ჯანსაღი სულის ერთობლიობის შესახებ, მაგრამ არ ღირს, მგონი, ასეთი შაბლონით გოგი თოფაძესთან საუბრის დამძიმება, რომელსაც მის ტრადიციულ ოფისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დავიწყებთ და რომელიც არ უნდა იყოს მსუბუქი და მარტივი.**

ბატონმა გოგი თოფაძემ ლუდის წარმოებიდან დაიწყო ბიზნესსაქმიანობა. იმ დროს (ნულოვან წლებში), როცა მავანი და მავანი კონტრაფაქტული ალკოჰოლით წამლავდა წარმავალი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს და ცოდვიანი ზემოგების მიღებით მდიდრდებოდა, თოფაძის ქარხნის პროდუქცია ხარისხის მაჩვენებელს არა თუ ინარჩუნებდა, აუმჯობესებდა კიდეც.

განსაკუთრებული პიროვნებაა.

თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ მისი საქმიანობის სტილი ბიზნესასპარეზზე ახლოს დგას პოსტმოდერნისტული სიახლის პრინციპთან, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის მსოფლიოს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურას ახასიათებდა და დღესაც ახასიათებს, მწვავე შეკითხვების პროვოცირებას იწვევს და მოითხოვს უკომპრომისო პასუხებს დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებზე.

თანაც — საქმით, ჩვენ შემთხვევაში, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ავანგარდისტია, რაც თეორეტიკოსებს ფრიად პომპეზურად აქვთ განმარტებული: „კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის მებრძოლი“. ცოტა დავუწიოთ აღტაცების პათოსს და ვთქვათ — რომანტიკოსია.

მოკლედ — საკულტო ფიგურაა.

ვეუბნები ამ ყველაფერს საუბრის დასაწყისში ბატონ გოგის, რომელსაც სულ ახლახან 80 წელი შეუსრულდა.

ეუხერხულა.

— ჩემი ამგვარად შეფასება მეტისმეტია, რადგან სხვებისგან არაფრით გამოვირჩევი. არიან გაცილებით დიდი მასშტაბის ფიგურები. მათ შორის, უპირველესად, ბიძინა ივანიშვილს დავასახელებ. მან სულ ახლახან დატოვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სარბიელი, წავიდა და თავისი ქონების 95 პროცენტი დაუტოვა ფონდ „ქართუს“ საქველმოქმედო საქმიანობისთვის. მის მიერ გაკეთებულ საქმეებს არ ჩამოვთვლი, საყოველთაოდ არის ცნობილი. მხოლოდ ბაკურიანზე ვიტყვი ორ სიტყვას, რადგან ბაკურიანი ჩემთვის ძალიან მგრძნობიარე თემაა. ხომ გახსოვთ ჩვენი ახალგაზრდობის პერიოდში ბაკურიანის ლეგენდარული „ხიჟინა“... მივიწყებული ბაკურიანი თანამედროვე ზამთრის კურორტი გახადა, სამთო-სათხილამურო სპორტის თანამედროვე ბაზად ჩამოყალიბდა. ბიძინამ მილიონ დოლარზე მეტი ჩადო, ოთხი სათხილამურო ტრასა გაგვაკეთებინა, რომლებიც ყველა დღევანდელ პარამეტრს აკმაყოფილებს.

შესანიშნავი ლიტერატორი და მებრძოლი მოღვაწე თამაზ წივწივაძე სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად იმეორებდა — ივანიშვილმა თავისი კაპიტალიდან ერთი მილიარდი ლარი ხალხს რომ დაურიგოს, გაჭირვებული საქართველო წელში გაიმართებაო. კეთილი გულის კაცი იყო თამაზ წივწივაძე.

მაგრამ არმად მიღებული ფული შარშანდელ თოვლზე უსწრაფესად დნება. ცნობილი ფაქტია, რომ საერთაშორისო კაპიტალის მიერ ამ პრინციპით დაფინანსებული აფრიკა უარესად გაღატაკდა.

ბიძინამ ასეთ პოპულიზმს თავი აარიდა.

## იგი ეკამათებოდა ბიძინა ივანიშვილს

**— ბატონო გოგი, გიკამათიათ ბიძინა ივანიშვილთან?**

— კი. სოფლის მეურნეობამ ასე თუ ისე ძალა მოიკრიბა, მაგრამ წარმოებას მაინცდამაინც ვერ ეშველა. ასზე მეტი საკონსერვო ქარხანა გვქონდა საქართველოში, 102 თუ 104. ახლა, მგონი, მხოლოდ ორია. ოცდაათამდე ქარხანა ცეკავშირის იყო, დანარჩენი — კვების მრეწველობის სამინისტროსი. გადიოდა ჩვენი პროდუქცია რუსეთში უდიდესი რაოდენობით. ახლა ეს ბაზარი, პრაქტიკულად, დაკარგულია. გადამამუშავებელი, საკონსერვო საწარმოების აღდგენა კი არც ერთ პროექტში, არც ერთ გეგმაში არ არის შეტანილი. ჩვენი ხელით გადავკეტეთ უზარმაზარი შემოსავლის წყარო. ჩაის ფაბრიკებიც გაგვიჩერდა, ბოთლებს ხუთი ქარხანა აწარმოებდა, ახლა მხოლოდ ერთი და ისიც თურქების.

ბოთლების მწარმოებელი, მინიმუმ, ორი ქარხანა მაინც გვჭირდება ბევრი ღვინის, ლუდის, ლიმონათის და ა.შ. ჩამოსასხმელად. მაშინ კონსენსუსს ვერ მივაღწიეთ.

**(ეს თავისებური ამბოხის გამოხატულება იყო).**

**— ბატონო გოგი, მოსული ვარ თქვენ საიუბილეო თარილთან დაკავშირებით, მოდი, ახლა თქვენ მოღვაწეობაზე ვისაუბროთ.**

**ვიხსენებთ გარდასულ წლებს: იმას, მაგალითად, როგორ დაამკვიდრა თოფაძის დაარსებულმა კომპანია „ყაზბეგმა“ ახალი ტრადიცია მაშინ, როცა დედაქალაქში ბევრი ტრადიციული ადგილი მოიშალა და დავიწყებას მიეცა. აღარ არსებობდა მუშთაიდი თავისი რესტორნით, ყოფილი კიროვის პარკი (და უფრო ყოფილი სასაფლაო) ვერაზე — ფეხბურთის თავგადაკლული მოყვარულების „დიდი კონფერენცდარბაზი“, ძველი „გოფილექტის“ ბაღი, „ვიწრო“ პლეხანოვზე, ლუდხანა ველიამინოვზე და ა.შ.**

**ლუდის მოყვარულთა (ლუდისტებისო, — ამბობდა ჯანსულ ჩარკვიანი) საზაფხულო რეზიდენციად ჩამოყალიბდა თოფაძის ლუდის ქარხნის წინა სივრცე, რომელსაც მოედანს ვერ ეტყოდი, ტროტუარიც არ ეთქმოდა.**

**ძველს იოლად შელევია თბილისი, სიახლეს ძნელად შეგუებია. ეს ტირადა ბატონ გოგიზე არ ვრცელდება...**

**პირადად მას დღემდე სხვა რამ აოცებს და პასუხი ვერ უპოვია.**

— საოცარია, დაუჯერებელი და საღად მოაზროვნე ადამიანისთვის წარმოუდგენელია, მაგრამ ისტორიული ფაქტია, რომ ახალი, სუვერენული, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობა დავიწყეთ ნგრევით, ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლების მოშლით, საქვეყნო სიმდიდრის — ქარხნების, ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრეების საზღვარგარეთ, უწინარესად, თურქეთში ჯართად კაპიკებად გაყიდვით, სახალხო ქონების დატაცებით, ეროვნული სულისკვეთების და ერთად ყოფნის აუცილებლობა ცარიელ სიტყვებად ვაქციეთ, ჩავებით ძმათამკვლელ სამოქალაქო ომში, დაპატარავდა ქვეყანა შაგრენის ტყავივით.

**აი, ასეთ პირობებში თავის გადაწყვეტილებაში დარწმუნებულმა, პროფესიონალიზმითა და ორგანიზატორული უნარით დაჯილდოვებულმა კაცმა დანგრეული და გაპარტახებული ქარხნის ადგილზე აამუშავა წარმატებული საწარმო. ვერავინ გადალახავდა უიმედობის, უპერსპექტივობის ეჭვის წინალობას. ვერავინ — გოგი თოფაძის გარდა.**



**— როგორ მოახერხეთ ეს, ბატონო გოგი?**

— ცოტა — იდეალისტობა, ცოტა — იღბალი და ძალია ბევრი — შრომა. მოგეხსენებათ, რომ ვინც არ რისკავს, ის ლუდსაც ვერ სვამს (ეღიმება). ვრისკავდით, ძალიან ვრისკავდით, რა თქმა უნდა.

**— ორიოდ დღის წინათ ის თარიღი აღვნიშნეთ, ახლა რომ საქართველოს ოკუპაციის დღეს ეძახიან. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ ისტორიული თარიღის მიმართ?**

— ისეთივე, როგორიც ისტორიული თარიღის მიმართ უნდა მქონდეს, თუმცა ერთ მომენტს მაინც აღვნიშნავ. დღეს ისეთი ტენდენცია იკიდებს ფეხს, თითქოს 1921 წლიდან 1953 წლამდე საქართველოში მხოლოდ ნეგატიური მოვლენები ვითარდებოდა.

არადა, სტალინმა საბჭოთა კავშირი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოდ შექმნა.

ვიმედოვნებ, ეს ავანტიურისტული ცალმხრივობა მალე გადაივლის და წარსულს ობიექტური თვალით შევხედავთ. თორემ ჩვენი ისტორია ერთგვაროვანი რომ არ იყო, ეს ისედაც საყოველთაოდ ცნობილია. ასეთი მიდგომით შევძლებთ, ჩემი აზრით, უახლესი ისტორიის ურთულეს პერიპეტიებში გარკვევას. თუნდაც, მაგალითად, ვასილ მჟავანაძის პირველი მდივნობის პერიოდის შეფასებას, რომელიც უსამართლოდ გვაქვს მივიწყებული. ჩემი აზრით, ე.წ. სოციალიზმი ადამიანური სახით სწორედ მის დროს იწყებდა დამკვიდრებას, ეკონომიკის სექტორში თავისუფლად მოქმედების ყველა პირობა იყო შექმნილი, რასაც სახალხო მეურნეობის რეალური მდგომარეობა ადასტურებდა, ეროვნული საწყისი და ინტერნაციონალიზმი დაბალანსებული იყო, ხალხი თანდათან წელში გაიმართა. ამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმის გახსენებაც არ გვაწყენდა, რომ სწორედ ვასილ მჟავანაძემ გადაარჩინა ქართველობა ცენტრალურ აზიაში გადასახლებას, რასაც გვიპირებდა ტვინგამორეცხილი და ბოროტი ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც სტალინის ხელისბიჭობა ვერ მოინელა, წარმოიდგინა, რომ თვითონ გახდა ხალხთა ბელადი და შურისძიება ჩვენზე ჰქონდა გადაწყვეტილი.

უნდა ვთქვა, რომ იმ დროს საზოგადოება შეკრული იყო, ტრადიციული ურთიერთობა ფასდებოდა, ადამიანური საწყისის გათელვა ყოვლად მიუღებელი იყო, კანონი კანონობდა და კანონზე მაღლა იდგა ზნეობა — ორი საწყისის უნიკალური სინთეზი. შემდეგი 30 წელიწადი (შევარდნაძის ეპოქა) პრობლემური გვქონდა — თითქოს ეროვნულ ნიადაგზე ვრჩებოდით, მაგრამ ხელოვნური ექსპერიმენტებით გაუცნობიერებელი მომავლისკენ ვისწრაფვოდით. ამან შეარყია ჩვენი იდენტურობის საფუძველი და ისტორის გზაჯვარედინზე მისულები ცოტა დაბნეული აღმოვჩნდით. ამ პერიოდის რამდენიმე წელიწადი, როცა ჯუმბერ პატიაშვილი ხელმძღვანელობდა, ურთულესი აღმოჩნდა, რადგან არსებული წყობილების ბზარები უფსკრულივით ჩაღრმავდა და გადაულახავი გახდა. ბევრი სასიკეთო ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

2003 წლიდან 9 წელიწადი ჩვენთვის ტრაგედია იყო. თუ რამ დაგვრჩა წინა ხელისუფლებების გადარჩენილი საბჭოთა მემკვიდრეობიდან — ქარხნები, მეურნეობები, ყველაფერი გაცამტვერდა. საქართველო გასაწყლდა, ერთ მილიონამდე შრომისუნარიანი ჩვენი თანამემამულე უცხოეთში გაიხიზნა, სამუშაოს საშოვნელად გარბოდნენ აქედან. ბევრმა ნიჭიერმა მეცნიერმა დატოვა სამშობლო.

2012 წლიდან რადიკალურად შეიცვალა ვითარება, რომლის მოწმე ყველანი ვართ და ამიტომ სიტყვას არ გავაგრძელებ. მშვიდობიანი განვითარების ეტაპი არც ისე ილუზორულია, როგორიც აქამდე იყო.

(სიტყვას ჩამოვართმევ იუბილარს და შემოგთავაზებთ რამდენიმე ეპიზოდს მისი ბობოქარი ბიოგრაფიიდან)

## „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“

უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებულ ადამიანს ყაჩაღს თუ ვუწოდებთ, ილიას პოემის ეს სათაური ზუსტად მიესადაგება გოგი თოფაძის მოღვაწეობის ეპიზოდებს.

**ეპიზოდი პირველი.** 1996 წელი. ქართული ლუდის ბიზნესმა ფეხის ადგმა მაშინ სცადა, როცა ბაზარი გაურკვეველი წარმოშობის, ხარისხისა და შემადგენლობის უც- ▶

**გადიოდა ჩვენი პროდუქცია რუსეთში უდიდესი რაოდენობით. ახლა ეს ბაზარი, პრაქტიკულად, დაკარგულია. გადამამუშავებელი, საკონსერვო საწარმოების აღდგენა კი არც ერთ პროექტში, არც ერთ გეგმაში არ არის შეტანილი. ჩვენი ხელით გადავკეტეთ უზარმაზარი შემოსავლის წყარო**

თანამედროვე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გოგი თოფაძის ფონდმა 17 მილიონი ლარის ქველმოქმედება განახორციელა სპორტის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, შეჭირვებული ადამიანებისთვის ხელის გასამართად, ნიჭიერი ახალგაზრდების წასახალისებლად.

გოგი თოფაძის ტრადიციული ქარხანა




◀ ხოური ლუდით იყო გაჯერებული, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიოში ცნობილი „კასტელით" და ამ სარფიან საქმეს ზურგს უმაგრებდნენ ფინანსურად თუ პოლიტიკურად შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ჯგუფები, მათ შორის, მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც.

სწორედ ასეთ ფონზე, დიდი პაუზის შემდეგ ბაზარზე „ყაზბეგის" მარკით გამოჩენილმა პირველმა ქართულმა ლუდმა იმდენად შეავიწროვა ლუდის იმპორტს ჩაჭიდებული არაერთი კომპანია თუ კორუმპირებული მოხელე, რომ მოწინააღმდეგეთა გაერთიანებულმა ძალებმა ადგილობრივი წარმოების ჩანასახშივე ჩაკვლა სცადეს.

მას შემდეგ, რაც თოფაძესთან მოლაპარაკებამ, დაშინებამ შედეგი ვერ გამოიღო, 40 შეიარაღებული სპეცნაზელი ქარხანაში შევარდა, გოგი შვილთან და მოადგილესთან ერთად დააპატიმრეს და წარმოების გაჩერება მოსთხოვეს.

ამაოდ. თოფაძე ვერ შეაჩერეს.

**ეპიზოდი მეორე.** დაინტერესებული ჯგუფების მიერ განხორციელებული ფართო ლობისტური კამპანიის შედეგად, 1995 წლის ივნისში ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ადგილობრივი მეწარმეებისთვის აქციზის გადასახადი, არც მეტი, არც ნაკლები, 1000 პროცენტით გაეზარდა. პრესაში აღინიშნა, რომ ამ საგადასახადო გილიოტინამ მომაკვდინებელი შედეგი 2-3 წელიწადში გამოიღო: სასმელის მწარმოებლებს ისეთი დავალიანებები დაუგროვდათ, რომ უმეტესობა ან გაკოტრების ეჟიმში მოექცა, ან წელში ვეღარ გასწორდა და ავად თუ კარგად მოპოვებული საბაზრო პოზიციები საბოლოოდ დაკარგა.

გამონაკლისი მხოლოდ „ყაზბეგი" აღმოჩნდა. და ამის მიზეზი იყო უკიდურესად რისკიანი, თუმცა, ბიზნესის ლოგიკიდან გამომდინარე, აბსოლუტურად გამართლებული და, საბოლოო ჯამში, წარმოების გადასარჩენად მიღებული ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — თოფაძემ აბსურდულობამდე გაზრდილი აქციზის გადახდაზე უარი თქვა. განაცხადა, რომ ასეთი გადაწყვეტილება ალოგიკური, უსამართლო და დარგის დამღუპველი იყო. ზოგიერთი კომპანია შეეგუა ასეთ უსამართლობას, თოფაძემ კი „ყაზბეგი" ძველი სააქციზო გადასახადის რეჟიმში ამუშავა: ეს იყო საჯარო დაუმორჩილებლობა, იგივე ამბოხი არაკომპეტენტურ მოხელეთა წინააღმდეგ. ხელისუფლება იძულებული გახდა, შეეცვალა აქციზის განაკვეთი.

**ბატონმა გოგი თოფაძემ ლუდის წარმოებიდან დაიწყო ბიზნესსაქმიანობა. იმ დროს (ნულოვან წლებში), როცა მავანი და მავანი კონტრაფაქტული ალკოჰოლით წამლავდა წარმავალი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს და ცოდვიანი ზემოგებების მიღებით მდიდრდებოდა, თოფაძის ქარხნის პროდუქცია ხარისხის მაჩვენებელს არა თუ ინარჩუნებდა, აუმჯობესებდა კიდეც**

ეს კანონდარღვევა ეკონომიკური მიზანშეწონილობით იმდენად ლოგიკური იყო, რომ „ყაზბეგის" წინააღმდეგ ჩასაფრებულმა მაკონტროლებლებმა ვერც გარისკეს თოფაძის შევიწროება. გადარჩა კომპანია, გადარჩა მთელი რიგი დარგებისა.

„ყაზბეგმა" გაამრავალფეროვნა წარმოებული პროდუქცია, გააფართოვა გასაღების ბაზარი. დღეს მას სხვა ქარხნებიც, სასტუმროებიც და რესტორნებიც აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ 10 წელიწადში თოფაძის კომპანიის მიერ განხორციელებული ბიზნესპროექტებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 70 მილიონზე მეტი ლარი შევიდა.

იმავე პერიოდში **გოგი თოფაძის ფონდმა 17 მილიონი ლარის ქველმოქმედება განახორციელა სპორტის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, შეჭირვებული ადამიანებისთვის ხელის გასამართათ, ნიჭიერი ახალგაზრდების წასახალისებლად**: გოგი თოფაძის სტიპენდიით ათეულობით ქართველი სტუდენტი სწავლობს უთხოეთისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. მისი სტიპენდიანტები არიან ჩვენი უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლებიც.

ეს უკვე „რამდენიმე ეპიზოდი" არ არის, ეს თოფაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი მონაკვეთია.

## მისი პოლიტეკონომიკა

— თქვენი გაზეთის მკითხველები უთუოდ დამეთანხმებიან, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საქართველო დამოუკიდებლობის გზაზე შედგა, არც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის, არც დემოკრატიული რეფორმების განხორციელების ცოდნა და გამოცდილება არავის არ გაგვაჩნდა, — აგრძელებს საუბარს რესპონდენტი, — მაშინ გამოეცხადნენ ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდებული უცხოელი მრჩევლები და ექსპერტები, რომელთა მოვალეობა, როგორც დღეს ყველამ იცის, განვითარებული ქვეყნების დანამატად, უუფლებო და სატელიტ ქვეყნად საქართველოს ჩამოყალიბება იყო.

**იმ პერიოდში საქართველოს მრეწველთა კავშირის თავმჯდომარედ ვიყავი არჩეული. ბევრი ვიბრძოლეთ უცხოელი „პარტნიორების" მარწუხებიდან თავის დასაღწევად, მაგრამ ჩვენს კავშირს არავითარი ბერკეტები არ გაგვაჩნდა ვითარების რადიკალურად შესაცვლელად. მაშინ გადავწყვიტეთ და დავაარსეთ პოლიტიკური პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს".** შევძელით პარლამენტში შესასვლელი შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა და, პირდაპირ გეტყვით, რომ იმ მოწვევის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და შემდეგაც „მრეწველები" ერთადერთი მეამბოხე ფრაქცია ვიყავით, რომელიც საქვეყნოდ აცხადებდა იმ ნეგატიური მოვლენებისა და ტენდენციების შესახებ, რომლებიც სერიოზულად აბრკოლებდა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას.

საქმით დავამტკიცეთ, რომ უცხოელ მრჩეველთა თეორიებით გატაცება-აღფრთოვანება უპერსპექტივოა.

„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" იდეოლოგია კი ჭეშმარიტად პატრიოტული და პრაგმატული იყო. პარლამენტში ოთხჯერ ვმონაწილეობდით და ყოველთვის ქვეყნის ინტერესებს ვიცავდით. ანალიტიკოსების აზრით, ქვეყნის განვითარების უფრო მკაფიო, რეალისტური, კონკრეტული და საქმით დამტკიცებული პოლიტიკური ალგორითმი ქართული საზოგადოებისთვის არც ერთ სხვა პოლიტიკოსსა თუ პარტიას არ შეუთავაზებია.

**— რას გამოყოფდით განსაკუთრებულად?**

— რუსეთთან ურთიერთობის საკითხს. ჩვენს მეზობელ რუსეთს კავკასიაში თავისი ინტერესები აქვს. რომ არ ჰქონდეს, ის იქნებოდა გასაკვირი. ცხადია, რომ საქართველომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათმოს საკუთარი ინტერესები, მაგრამ ამ შემთხვევაში კონფრონტაცია ცუდი მრჩეველივითაა. ხომ ფაქტია, რომ რამდენჯერაც გავააქტიურეთ დასავლური კურსის პროპაგანდა, ჩრდილოატლანტიკური ბლოკისკენ სწრაფვა, იმდენჯერ გადმოწიეს აქეთ საზღვარი. გვისიგნალებენ, მიგვანიშნებენ — „გაჩერდით, დაფიქრდით, არ გინდათ". ხომ ვიცით, რომ ნატოში არ გვიღებენ. რამდენი წელიწადია, დაპირებებით გვკვებავენ თავიანთი ოპონენტების ჯინაზე, იმისთვის, რომ მიმართულება არ შევიცვალოთ და, ღმერთმა არ ქნას, სოროსის თუ მისნაირი სხვა ავანტიურისტის პროექტი არ ჩავაგდოთ. აპირებს თუ არა ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებას, არ ვიცი. სამაგიეროდ ვიცი, რომ ნებისმიერი ომი მშვიდობით მთავრდება. ძალიან ხომ არ ვაგვიანებთ?

სახიფათოა მხოლოდ ამერიკელების იმედად ყოფნა. ვითარებიდან გამოსვლის ერთ-ერთ ვარიანტად ურთიერთობათა ნორმალიზაცია მიმაჩნია ყველასთან, უწინარესად კი — რუსეთთან. უნდა მოვნახოთ რუსეთთან დიალოგის გზები.

მე ჩემი სამშობლო მტკივა და მადარდებს.

* * *

**ჩემო ბატონო გოგი, პატარა ბიჭობიდან ჩვენ ჩვენი გზებით ერთად მოვსულვართ დღემდე, 80 წლის მიჯნა ისე გადაგვილახავს, დაბერება არ შეგვიმჩნევია.**

**ეს ერთი ინტერვიუც ჩავათავეთ, — სათქმელ-მოსასმენი კიდევ ბევრი დაგვრჩა. ეჭვი არ მეპარება, რომ შენი მეამბოხე სულისა და გაუტეხელი ჯანის პატრონი სასაუბროდ კვლავაც გამონახავ დროს, რომელიც ჟამთა სვლის უსასრულობას ჩვენთვის გამოუყვანია.**

**არმაზ სანებლიძე**




# საქართველოს ჭეშმარიტად მოსიყვარულე პოლიტიკური ძალა მოევლინა

**ამ ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის სახელია „სოციალისტური კოალიცია აღორძინებისთვის". როგორც ვხედავთ, ის რამდენიმე თანამოაზრე პოლიტიკურ ორგანიზაციას აერთიანებს; მჯერა, ახლო მომავალში მას ახალი, ჯანსაღად მოაზროვნე ძალები შეემატებიან.**

მადლობა ეთქმის სიმართლის ჭეშმარიტ სიმბოლოს, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" სარედაქციო კოლეგიას, რომელმაც ახლახან გაზეთის მე-5 ნომერში (17-23 თებერვალი, 2021 წ.) პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი თავკაცის — პატივცემულ **თემურ ფიფიას** — მთელი მე-17 გვერდი რომ დაუთმო აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამის წარმოსადგენად. „საქართველო და მსოფლიოს" ჟურნალისტ **ეკა ნასყიდაშვილთან** საუბარში თემურ ფიფიამ დაწვრილებით გააშუქა საქართველოში სოციალისტური სისტემისა და, მაშასადამე, სოციალური სამართლიანობის აუცილებლად დამკვიდრების გზები და მიმართულებები. ეს არ იქნება საბჭოური სოციალიზმის ასლი, არამედ იქნება სოციალისტური სისტემისა და კერძო სექტორის თანაარსებობა და შეჯიბრება.

**მე, ისტორიკოს-პოლიტოლოგი, ახლახან 92-ე წელში გადაბიჯებული ხანდაზმული, მრავლისმნახველი და მათი გონებაში გადამხარშველი, უყოყმანოდ ვიწონებ „სოციალისტური კოალიცია აღორძინებისთვის" სამოქმედო პროგრამას და თავს უფლებას ვაძლევ, მოვუწოდო ყველა ქართველსა და არა მხოლოდ ქართველს, ხელში აიღონ „საქართველო და მსოფლიოს" აღნიშნული ნომერი და მუშტრის თვალით, გულისხმიერად გაეცნონ ახალი გეოპოლიტიკური ორგანიზაციის ჭეშმარიტად სამართლიან და ცხოვრების მიერ მბრძანებლურად ნაკარნახებ პროგრამას, რომელიც მე ორჯერ გულდაგულ გადავიკითხე.**

ბოლოს, მინდა განხილვისთვის საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ჩემეული ხედვა გაახლოთ. აი, ისიც: საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს სახალხო ფედერაციულ რესპუბლიკად, რომლის სუბიექტები იქნებიან კომპაქტურად დასახლებული აფხაზთა, ოსთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა ავტონომიური მხარეები სათანადო უფლებამოსილებებით, როგორც ადგილზე, მხარეებში, ისე ცენტრალურ ხელისუფლებაშიც; ამით შევქმნით ხელსაყრელ პირობებს ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანებისთვის. როგორ? საქართველოში მცხოვრები სომხები თუ აზერბაიჯანელები აღარ მღერიან და ცეკვავენ? აუცილებელია ტელეეკრანებიდან, აფხაზებთან და ოსებთან ერთად, მათი შემოქმედებაც ვიხილოთ, თანაც რეგულარულად.

ჩვენს მზრუნველობასა და განვითარებას მოითხოვს ქართველური ენები — მეგრული და სვანური.

**პატივისცემით,**

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის დოქტორი,**
**პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

**მე, ისტორიკოს-პოლიტოლოგი, ახლახან 92-ე წელში გადაბიჯებული, ხანდაზმული, მრავალისმნახველი და მათი გონებაში გადამხარშველი, უყოყმანოდ ვიწონებ „სოციალისტური კოალიცია აღორძინებისთვის" სამოქმედო პროგრამას და თავს უფლებას ვაძლევ, მოვუწოდო ყველა ქართველსა და არა მხოლოდ ქართველს, — ხელში აიღონ „საქართველო და მსოფლიოს" აღნიშნული ნომერი და მუშტრის თვალით, გულისხმიერად გაეცნონ ახალი გეოპოლიტიკური ორგანიზაციის ჭეშმარიტად სამართლიან და ცხოვრების მიერ მბრძანებლურად ნაკარნახებ პროგრამას, რომელიც მე ორჯერ გულდაგულ გადავიკითხე**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კოზიმო დი მედიჩიმ პერსევსის სტატუა ჩელინის შეუკვეთა, როცა მან დიდი თავადის ტიტული მოიპოვა. 1554 წელს „პერსევსი" დადგეს ზემოაღნიშნულ „ჰერაკლეს", მიქელანჯელოს „დავითსა" და დონატელოს „ივდითსა და ოლოფერნთან" ერთად. მოგვიანებით მიქელანჯელოსა და დონატელოს ქმნილებები მუზეუმში გადაიტანეს, მათ ადგილას კი ასლები მოათავსეს, „პერსევსის" ორიგინალი კი თავის ადგილას 500 წლის განმავლობაში იდგა და მხოლოდ დროდადრო უტარებდნენ რესტავრაციას.**

# ხელოვნების 5 ნიმუშის საიდუმლოებები

**თითოეულ ნახატსა და ქანდაკებას აქვს თავისი ისტორია, რომელიც წლების განმავლობაში გროვდება. გაგაცნობთ ხელოვნების 5 ნიმუშის საინტერესო ისტორიებს.**



## გობელენი ბაიედან

გობელენი ბაიედან შუასაუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არტეფაქტია. ეს არის 230 მეტრის სიგრძის ტილო, რომელზეც ნორმანების შეჭრისას **ვილჰელმ დამპყრობლისა** და **მეფე ჰაროლდის** ბრძოლის 50 სცენაა გამოსახული. მიუხედავად იმისა, რომ გობელენი 900 წლისაა, კარგ მდგომარეობაშია, თუმცა აშკარად ჩანს, რომ ბოლო ნაწილი აკლია. საერთოდ კი, გობელენი ბაიედან არის ნაქარგი, რომელიც ჰგავს გობელენს, მაგრამ დამზადებისას გამოყენებულია სხვა ტექნიკა. ძაფები ჩაკერებულია ძირითად ქსოვილში და ასეა შექმნილი გამოსახულება და არა საქსოვ დაზგაზე. ძველი ისტორია, რომ გობელენი შექმნეს მონაზვნებმა, არ დასტურდება.

ექსპერტთა აზრით, გობელენი, დიდი ალბათობით, შექმნილია გამოცდილი მქსოველების მიერ. ყველაზე დიდი გამოცანაა, სად და ვინ შექმნა ის.

გობელენის შემკვეთად ვილჰელმის ძმა, ეპისკოპოსი **ოდო** სახელდება. ბოლო ვერსიის თანახმად კი, გობელენი, შესაძლოა, დამარცხებული მეფე ჰაროლდის დამ, **ედიტ გოდვინსონმა,** შეუკვეთა, რათა ახალი მეფის კეთილგანწყობა მოეპოვებინა.



## «მოგვთა თაყვანისცემა»

„მოგვთა თაყვანისცემას", ჩვეულებრივ, უწოდებენ ცნობილ ბიბლიურ სცენას, როდესაც სამმა მოგვმა ჩვილ იესოსა და მარიამს თაყვანი სცა. ამ სცენას ფართოდ იყენებდნენ დიდი მხატვრები, მათ შორის **ბოტიჩელი, რემბრანდტი, ლეონარდო დავინჩი** და სხვები. მათ დახატეს თავიანთი ვერსიები, მაგრამ აქ ლაპარაკია **ჯოტოზე** — XIII საუკუნის იტალიელ მხატვარზე, რომლის „მოგვთა თაყვანისცემაც" შედევრად ითვლება. ნახატზე განსაკუთრებით აღსანიშნავია ბეთლემის ვარსკვლავი, რომელიც, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ჯოტომ დახატა კომეტა ჰალეას მსგავსი. ჯოტომ თავისი ტილო 1303 წელს დაიწყო და 1305 წელს დაასრულა, კომეტა ჰალეამ დედამიწას ჩაუქროლა 1301 წელს და სრულიად შესაძლებელია, ჯოტომ ის დაინახა და მიღებული შთაბეჭდილებებით შექმნა თავისი შედევრი. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ბაიეს გობელენზეც გამოსახულია კომეტა ჰალეას გამოჩენა 1066 წელს, რამდენიმე თვით ადრე ნორმანთა შეჭრამდე საფრანგეთში. როგორც ჩანს, ევროპის კოსმოსური სააგენტოს წარმომადგენლები ისე არიან დარწუნებულნი ტილოზე გამოსახული სცენის სიზუსტეში, რომ კომეტა ჰალეას შემსწავლელ კოსმოსურ მისიას მხატვრის პატივსაცემად „ჯოტო" დაარქვეს.





## «პერსევსი მედუზის თავით»

ფლორენციაში, პიაცა დელა სენიორნიაზე, ნახავთ აღორძინების ეპოქის შესანიშნავ ძეგლებს. მათ შორის არის **ბანდონელის** „ჰერაკლე და კაკუსი", **ჯამბოლინის** „საბინიელი ქალების მოტაცება" და სხვ. მათგან ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს **ბენვენუტო ჩელინის** „პერსევსი მედუზის თავით". ჩელინიმ გამოაქანდაკა მოზეიმე პერსევსი, რომელსაც მაღლა აწეულ ხელში უჭირავს მედუზა გორგონას მოკვეთილი თავი, ფეხებთან კი სხეული გდია. ეს ბერძნული მითოლოგიის ისტორია დღემდე პოპულარულია.

**კოზიმო დი მედიჩიმ პერსევსის** სტატუა ჩელინის შეუკვეთა, როცა მან დიდი თავადის ტიტული მოიპოვა. 1554 წელს „პერსევსი" დადგეს ზემოაღნიშნულ „ჰერაკლეს", **მიქელანჯელოს** „დავითსა" და **დონატელოს** „ივდითსა და ოლოფერნთან" ერთად მოგვიანებით მიქელანჯელოსა და დონატელოს ქმნილებები მუზეუმში გადაიტანეს, მათ ადგილას კი ასლები დადგეს, „პერსევსის" ორიგინალი კი თავის ადგილას იდგა 500 წლის განმავლობაში და მხოლოდ დროდადრო უტარებდნენ რესტავრაციას.

ჩელინიმ თავის ნამუშევარს უცნაურ ადგილას დააწერა თავისი სახელი — პერსევსის ქამარზე. ამას გარდა, თუ პერსევსის თავს უკნიდან შევხედავთ, დავინახავთ, რომ მისი მუზარადი და თმა ქმნის სახესა და თავს. თუმცა ეს არ არის იდეალური მსგავსება, ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ჩელინიმ თავისი თავი პერსევსის კეფაზე გამოსახა.





## «ცოლ-ქმარ არნოლფილების პორტრეტი»



„ცოლ-ქმარ არნოლფილების პორტრეტს", ჰოლანდიელი მხატვრის, **იან ვან ეიკის,** მიერ დახატულს, ექსპერტები ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სურათად და, ამასთანავე, წინააღმდეგობის მუდმივ წყაროდ მიიჩნევენ. დავიწყოთ იმით, რომ ნახატი შესრულებულია ზეთის საღებავებით. დღეს ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა, მაგრამ მსგავსი რამ იშვიათი იყო XV საუკუნის დასავლეთ ევროპულ ხელოვნებაში.

ზეთის საღებავებმა შესაძლებლობა მისცა **ვან ეიკს,** სრულიად გამოევლინა თავისი ნიჭი იმ მეთოდების საშუალებით, რომლებიც იშვიათად გვხვდება მის ადრინდელ ნამუშევრებში. თუ ნახატს ყურადღებით დავაკვირდებით, შევაჩნევთ, რომ უკანა კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში ასახულია მთელი ოთახი, მათ შორის კარში მდგომი ორი ადამიანი. საინტერესოა, რომ წყვილის ფეხებთან მდგომი ძაღლები სარკეში არ ჩანს. სარკის ჩარჩოს პატარა მედალიონებზე გამოსახულია ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენები. ნახატის ყველაზე საკამათო ნაწილი არის არა სარკე, არამედ თვით წყვილი. იმხანად უჩვეულო იყო ოთახში მდგომი ადამიანების დახატვა, ამიტომ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ნახატს შეიძლება ჰქონდეს ფარული აზრი. კერძოდ, ზოგიერთის მტკიცებით, ნახატზე გამოსახულია ახალდაქორწინებულები, ხოლო კარში მდგომი ფიგურები ხელისმომკიდეები არიან, მაგრამ ამ მოსაზრებას ბევრი არ ეთანხმება. ექსპერტები, უკვე კარგა ხანია, ცდილობენ, გააანალიზონ ვან ეიკის ტილოს დეტალები: როგორ უჭირავს ერთმანეთის ხელი წყვილს, როგორი ვარცხნილობა აქვს ქალს და სხვა, რათა გაარკვიონ, რა ურთიერთობა აქვს ამ ორ ადამიანს.

## «დამოუკიდებლობის დეკლარაცია»

ჯონ ტრამბულის „დამოუკიდებლობის დეკლარაცია" ერთ-ერთი გამორჩეული ტილოა აშშ-ის ისტორიაში. 1817 წელს შექმნილი ნახატი აშშ-ის კაპიტოლიუმის შენობაში, უკვე 200 წელიწადია, ინახება და გამოსახულია 2-დოლარიან ბანკნოტზე. სახელწოდებისა და ნახატის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბევრს შეცდომით ჰგონია, რომ ეს ხელოვნების ნიმუში ასახავს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერას. სინამდვილეში, ტილოზე გამოსახულია დეკლარაციის სარედაქციო კომიტეტი **თომას ჯეფერსონის** (თავმჯდომარე), **ბენჯამენ ფრანკლინის, ჯონ ადამსის, როჯერ შერმანისა** და **რობერტ ლივინგსტონის** შემადგენლობით, როგორ წარუდგენს დეკლარაციის პირველ პროექტს კონგრესის პრეზიდენტ **ჯონ ჰენკოკს.** ნახატზე გამოსახული 56-დან 42 ადამიანი, რომლებიც საბოლოოდ ხელს მოაწერენ დეკლარაციას.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვიაჩესლავ ფეტისოვმა 147 მატჩი ჩაატარა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და 150 ქულა მოაგროვა — 52 გოლი და 98 გადაცემა; საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით 2-ჯერ მოიგო ოლიმპიური თამაშები, 7-ჯერ — მსოფლიო ჩემპიონატი, 9-ჯერ — ევროპის ჩემპიონატი.**

# ლეგენდარული «წითელი მანქანის» კაპიტანი


ვიაჩესლავ ფეტისოვი დღეს

**საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ლეგენდარულ ნაკრებ „წითელი მანქანისა“ და არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის კაპიტანი, უამრავი სპორტული და სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი მმართველი პარტია „ედინაია როსიადან“ — ვიაჩესლავ ფეტისოვი 1958 წლის 20 აპრილს დაიბადა მოსკოვისპირა სოფელ დეგუნინოში. 1960 წელს სოფელი მოსკოვის შემადგენლობაში შევიდა. ვიაჩესლავის მშობლები საავიაციო ქარხნის მუშები იყვნენ. ოჯახში კიდევ ერთი ვაჟი იზრდებოდა, მაგრამ მისი სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა: 1985 წელს ძმები ავტოავარიაში მოყვნენ და ანატოლი დაიღუპა...**




ვიაჩესლავ ფეტისოვი მეუღლესთან ერთად

ვიაჩესლავი ყინულის მოედანზე მამამ მიიყვანა და მას შემდეგ ჰოკეით დაავადდა. 12 წლის იყო, ცსკა-ს (არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი) ბავშვთა გუნდში რომ ჩაირიცხა.

### სახელგანთქმულ ცსკა-ში

არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვიაჩესლავ ფეტისოვმა პირველად 1975 წლის 15 მაისს ითამაშა, 17 წლისამ, დებიუტი ჩელიაბინსკის „ტრაქტორთან“ არც ისე წარმატებული იყო და ყმაწვილი ახალგაზრდულ შემადგენლობაში გადაიყვანეს.

მცველი ფეტისოვი ცსკა-ს ლიდერი 1977-78 წლებში გახდა. არმიელთა მთავარმა მწვრთნელმა 19 წლის ჭაბუკი გამოცდილი **ევგენი ციგანკოვის** გვერდით დააყენა. შედეგად წყვილი — **ფეტისოვი-ციგანკოვი** — საუკეთესო იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში.

*** ცსკა-ს შემადგენლობაში ვიაჩესლავ ფეტისოვმა 478 მატჩი ითამაშა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში (16 სეზონი) და 14-ჯერ მოიგო ოქროს მედალი.**

### „საბჭოთა კავშირის“ ნაკრებში

1977 წელს ფეტისოვი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გამოვიდა და ჩემპიონობა მოიპოვა. ფინალური მატჩის შემდეგ, რომელშიც საბჭოთა ჰოკეისტებმა კანადელები დაამარცხეს (6:4), ფეტისოვი ტურნირის საუკეთესო მცველად დაასახელეს. ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ვიაჩესლავი ქვეყნის მთავარ გუნდში გამოიძახეს და კვლავ შესანიშნავად ითამაშა, ამჯერად დიდების მსოფლიო ჩემპიონატზე — მის ანგარიშზე იყო 3 გოლი და 3 გადაცემა. შემდეგ წელიწადს ფეტისოვი გუნდის ლიდერი იყო. **სულ კი 147 მატჩი ჩაატარა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და 150 ქულა მოაგროვა — 52 გოლი და 98 გადაცემა; საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით 2-ჯერ მოიგო ოლიმპიური თამაშები, 7-ჯერ — მსოფლიო ჩემპიონატი, 9-ჯერ — ევროპის ჩემპიონატი.**

„წითელ მანქანაში“ (ასე შეარქვეს საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებს კანადელმა ჟურნალისტებმა) ფეტისოვი თამაშობდა სახელგანთქმულ ხუთეულში **ფეტისოვი-კასატინოვი, მაკაროვი-ლორიონოვი-კრუატოვი.**

### 20 წლისამ კინაღამ დაასრულა კარიერა

1978 წელს ფეტისოვი ნაკრებთან ერთად ნიდერლანდებში ჩავიდა. ფრენის შემდეგ ჰოკეისტი ფეხს ველარ ამოძრავებდა, ამიტომ სასწრაფოდ დააბრუნეს მოსკოვში. ექიმებმა ნერვული დაბოლოებების დაზიანება დაუდგინეს. სჭირდებოდა ოპერაცია, რომლის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, შეიძლებოდა, ხეიბარი დარჩენილიყო. ვიაჩესლავს დაეხმარა ცნობილი ექიმი-ფიზიოლოგი **იაკობ კოცი**, რომელმაც უოპერაციოდ დააყენა ფეხზე, თუმცა აღდგენით პროცედურებს 6 თვის განმავლობაში იტარებდა.

### NHL-ში

1988 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, NHL-ის (ჰოკეის ნაციონალური ლიგა, რომელშიც კანადისა და აშშ-ის პროფესიონალური კლუბები თამაშობდნენ) კლუბ „ნიუ-ჯერსი დევილზის“ მენეჯერი **ლუ ლამორელო** მოსკოვში ჩავიდა და საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტთან მილიონდოლარიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ვიაჩესლავ ფეტისოვი ზემოხსენებულ კლუბში უნდა გადასულიყო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოხერხდა, რადგან NHL-ში მისი წასვლის წინააღმდეგი იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი **ვიქტორ ტიხონოვი**, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა საბჭოთა ჰოკეის სამყაროზე.


„წითელი მანქანის“ ლეგენდარული ხუთეული: თავდამსხმელი სერგეი მაკაროვი, მცველი ალექსეი კასატონოვი, თავდამსხმელი იგორ ლარიონოვი, მცველი ვიაჩესლავ ფეტისოვი და თავდამსხმელი ვლადიმერ კრუტოვი

*** ფეტისოვმა „ნიუ-ჯერსის“ შემადგენლობაში 341 მატჩი ჩაატარა და 19 შაიბა გაიტანა.**

### დეტროიტის სახელგანთქმული „რუსული ხუთეული“

1994 წელს 34 წლის მცველი მეორე პროფესიონალურ კლუბ „დეტროიტ რედ უინგზში“ გადავიდა, რომელშიც სპეციალურად შექმნეს „რუსული ხუთეული“. **ფეტისოვსა** და **იგორ ლარიონოვს** შეუერთდნენ **ვიაჩესლავ კოზლოვი, ვლადიმერ კონსტანტინოვი** და **სერგეი ფიოდოროვი.** ამ წამყვანმა ხუთეულმა ზედიზედ ორჯერ მოიგო ყველა ჰოკეისტის სანუკვარი პრიზი — სტენლის თასი. აღსანიშნავია, რომ ფეტისოვი სტენლის თასს მესამედაც დაეუფლა, ოღონდ „ნიუ ჯერსის“ მწვრთნელის რანგში.

1999 წელს ფეტისოვმა გამოსათხოვარი მატჩი ითამაშა და მწვრთნელობა დაიწყო. რუსეთის ნაკრები მისი ხელმძღვანელობით სოლტ-ლეივსიტის ზამთრის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა.

### პოლიტიკა

ვიაჩესლავ ფეტისოვი არჩეული იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად და ფედერაციის საბჭოს წევრად. იყო სპორტის სახელმწიფო კომიტეტის წევრი. არის გაეროს კეთილი ნების ელჩი არქტიკისა და ანტარქტიდის ეკოლოგიის დაცვის საკითხებში.

### პირადი ცხოვრება

ვიაჩესლავ ფეტისოვი 1989 წელს დაქორწინდა **ლადლენა სერგიევსკაიაზე** (ცნობილი ფეხბურთელის, **ვაგიზ ხიდიატულინის,** ცოლყოფილი); ჰყავთ ქალიშვილი **ანასტასია,** რომელიც 1991 წელს ნიუ-იორკში დაიბადა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


ვიაჩესლავ ფეტისოვი და უეინ გრეტცკი





**მიღწევები**
* ოლიმპიური ჩემპიონი — 2-ჯერ;
* ევროპის ჩემპიონი — 9-ჯერ;
* მსოფლიო ჩემპიონი — 7-ჯერ;
* სტენლის თასის მფლობელი — 2-ჯერ;
* სსრკ-ის ჩემპიონი — 14-ჯერ;
* დასახელებულია XX საუკუნის სიმბოლურ ნაკრებში.



# «ამერიკა ბრუნდება» ავიადარტყმებითა და გვამებით

**აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განკარგულებით, ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა დაბომბეს ინფრასტრუქტურა აღმოსავლეთ სირიაში, რომელშიც თითქოს პროირანული დაჯგუფებები მოქმედებდნენ. საავიაციო შეტევის შედეგად დაიღუპა 17 ადამიანი.**

ეტყობა, ამას გულისხმობდა **ჯო ბაიდენი**, როდესაც ამერიკის დაბრუნებაზე ლაპარაკობდა. სწორედ ეს არის ამერიკის დაბრუნება ავიადარტყმებითა და გვამებით. აშშ-ს ხომ სხვანაირად არ შეუძლია.

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**



# შვეიცარიაში 16 ადამიანი გარდაიცვალა ვაქცინაციის შემდეგ

**შვეიცარიაში 16 ხანდაზმული ადამიანი მოკვდა კორონავირუსის ვაქცინით აცრის შემდეგ, — განაცხადა სახელმწიფო ფარმაცევტულმა რეგულატორმა SWISSMEDIC-მა.**

რეგულატორმა შეისწავლა 164 ცნობა სხვადასხვა ვაქცინის სავარაუდო თანმდევ მოვლენებზე. მათგან 199 ეხებოდა Pfizer/BioNTech-ის, 154 — Moderna-ს ვაქცინებს. 2 შემთხვევაში ვაქცინა მითითებული არ იყო. 16 შემთხვევაში ადამიანები გარდაიცვალნენ. მათი წლოვანება საშუალოდ 81 წელი იყო.

**Lenta.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**



# ნიკოლა სარკოზის სამი წლით აღუკვეთეს თავისუფლება

**კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობისა და გავლენის ბოროტად გამოყენებისთვის საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს, ნიკოლა სარკოზის, სასამართლომ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარკოზი ერთ წელს შინაპატიმრობაში გაატარებს, ორი წელი კი პირობითი მსჯავრია. მოსამართლის განჩინებაში აღნიშნულია, რომ ექსპრეზიდენტს შეუძლია სასჯელი შინაპატიმრობაში მოიხადოს, ასეთ შემთხვევაში მისი ზედამხედველობა ელექტრონული სამაჯურის საშუალებით მოხდება.

სასამართლომ ანალოგიური სასჯელი გამოუტანა სარკოზის ადვოკატ **ტიერი ჰერცოგს** და მოსამართლე **ჟილბერ აზიბერს.** ისინი პროფესიული საიდუმლოს გამჟღავნებისთვის მოიხდიან სასჯელს. სარკოზი მოსამართლე ჟილბერ აზიბერის მოსყიდვის მცდელობაში დაადანაშაულეს. კერძოდ, ბრალდების თანახმად, სარკოზიმ მოსამართლეს თავის პოლიტიკურ პარტიაზე მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ მონაკოში პრესტიჟული სამსახური შესთავაზა.

სარკოზის განაჩენის გასასაჩივრებლად 10 დღე აქვს.

ნიკოლა სარკოზის საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტი 2007-2012 წლებში ეკავა.



# «ინდური ვაქცინით სოროსელები აცრათ!»

**უკრაინა ინდოეთში ყიდულობს ვაქცინას, რომელსაც კლინიკური გამოცდა არ გაუვლია და კარგი იქნება, თუ მასობრივი ვაქცინაციის დაწყებამდე მას სოროსელებზე გამოვცდით, — განაცხადა ტელეარხ UKRLIFE.TV-ის ეთერში პოლიტოლოგმა დიმიტრი ჯანგიროვმა.**

„ინდური ვაქცინის გარშემო განვითარებული მოვლენები, უბრალოდ, სასაცილოა. ის ინდოეთში მხოლოდ თაგვებზე გამოსცადეს, კლინიკური გამოცდის სტადიებიც კი არ გაუვლია. უკრაინა პირველი ქვეყანაა, რომელმაც ინდოეთისგან იყიდა ვაქცინა, მანამდე ზოგიერთ ღარიბ ქვეყანას ის უფასოდ აძლევდა, ჩვენ პირველები ვართ, ვინც იყიდა. ვაქცინა უფრო ძვირად ვიყიდეთ, ვიდრე AstraZeneca-ს ბრიტანული ორიგინალი ღირს.

AstraZeneca-ს მიმართ ბევრი კითხვაა, Pfzer -ის მიმართაც. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ინდოეთში ბრიტანული ვაქცინის გაუმჯობესებული ვერსია შექმნეს? მოდი, ეს ვაქცინები სოროსელებზე გამოვცადოთ! ისინი რიგში უნდა ჩადგნენ ასაცრელად და გვიჩვენონ, რომ მართლა უხარიათ უკრაინის წინსვლა!“

**politnavigator.net -ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**




# ინდიელთა ბელადმა «ჯიპს» მოსთხოვა, უარი თქვას სახელწოდება «ჩეროკიზე»

**აშშ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები აბორიგენი ხალხის (ინდიელთა ტომი) — ჩეროკის ბელადმა ჩაკ ჰოსკინ-უფროსმა ავტომწარმოებელ jeep-ს მოსთხოვა, შეწყვიტოს ხალხის სახელის გამოყენება ავტომობილის სახელწოდებაში, — იუწყება ტელეარხი CNN-ი.**

„ვფიქრობ, ჩვენი ქვეყანა იმ ასაკშია, როცა კომპანიებმა უნდა შეწყვიტონ მკვიდრი ამერიკელების სახელებისა და ტოტემური ცხოველების სახელების გამოყენება პროდუქციაზე. ჩვენთვის პატივი არ არის, როცა ჩვენი ხალხის სახელი მანქანას აწერია“, — ნათქვამია ჰოსკინის განცხადებაში.

CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰოსკინმა განაცხადა, რომ მისი ხალხი არაფრის დიდებით არ გაურიგდება „ჯიპს“.

„ჯიპი“ „ჩეროკის“ 1974-დან 2001 წლამდე აწარმოებდა, „გრანდ ჩეროკის“ — 1993-2013 წლებში. 2013-დან კომპანია კვლავ აწარმოებს ავტომობილს სახელწოდებით „ჩეროკი“.

**rusvesna.su-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**



# ლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა მოიმატა

**ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2021 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ფიზიკური პირებისთვის ლარში გაცემულ სესხებზე წლიურმა საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა მოიმატა.**

კერძოდ, ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საბაზო საპროცენტო განაკვეთი 14,4%-დან 15,7%-მდე გაიზარდა. ამავე მაჩვენებლების მიხედვით, სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მოხდა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე. კერძოდ, დეკემბრის მონაცემებით, ფიზიკური პირების სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 17%-ს, იურიდიულის — 11,6%-ს, უკვე იანვარში კი ფიზიკურ პირებზე სესხები 18,7%-მდე გაიზარდა, იურიდიულებზე — 12,1%-მდე. რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთს, აქ მცირე მატება აღირიცხა და ისიც მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის გაცემულ სესხებზე. დეკემბერში ფიზიკურ პირებზე სესხზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 6,2%-ს, იანვარში კი — 6,7%-ს. იურიდიული პირებისთვის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 7%-ს შეადგენს.

**bpn.ge**

# აშშ-ში ინგლისურის მასწავლებლების ნაწილი უარს ამბობს შექსპირზე «ჰომოფობიის, რასიზმისა და კლასობრივი დისკრიმინაციის» გამო

**გავრცელებული ინფორმაციით, სულ უფრო მეტი ამერიკელი მასწავლებელი ამბობს უარს უილიამ შექსპირის ნაწარმოებების სწავლებაზე, მიზეზად კი რასიზმსა და შეუწყნარებლობას ასახელებს.**

სასკოლო ბიბლიოთეკის ჟურნალის მიერ იანვარში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მინესოტელმა ბიბლიოთეკარმა, წიგნების გამყიდველმა და ჟურნალისტმა ამანდა მაკგრეგორმა იკითხა, რატომ განაგრძობენ მასწავლებლები გაკვეთილებზე შექსპირის სწავლებას.

**„შექსპირის ნამუშევრები სავსეა პრობლემური, მოძველებული იდეებით, ქალთმოძულეობით, რასიზმით, ჰომოფობიით, კლასობრივი დისკრიმინაციით, ანტისემიტიზმითა და შავკანიანი ქალების სიძულვილით“,** — წერს იგი.

მათ შორის, ვინც შექსპირის სწავლებაზე უარი თქვა, არის კლაირ ბრუნკი, რომელიც ინგლისურს ვაშინგტონის შტატში ასწავლიდა.

კიდევ ერთი მასწავლებელი ლიზ მეთიუსი, რომელიც კონექტიკუტში მე-9 კლასში ასწავლის ინგლისურს, სადაც მოსწავლეთა 95% შავკანიანი ან ლათინოამერიკელია, ამბობს, რომ შექსპირი უმცირესობების წარმომადგენელი ავტორებით ჩაანაცვლა.

**alt-info.com**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894